პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 29 სექტემბერი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 225 (2571)

დღიური

— მაკდონალდი შეერთ. შტატებში გაემგზავრა
— კომუნისტურ „რურ ეხო"-ს (გერმანია) რედაქტორების მიცემა პასუხისგებაში
— დააპატიმრეს ვენის „როტე ფანე"-ს რედაქტორი ცუკკერი
— აეროპლანი „საბჭოთა ქვეყანა" დაეშვა ამერიკის ნაპირზე. — საბჭოთა მფრინავები ფორდმა თავის ქარხანაში მიიპატიჟა
— ვახაბიტების თავდასხმა ინგლისის ტრანს-იორდანიაში
— სრული არევ-დარევა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზაზე
— გაიხსნა გერმანიის კომკავშირის ყრილობა

ფართოდ გავშალოთ თვითკრიტიკა!

(თბილ. საოლქო კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია საქ. კომპ. (ბ) ცეკას მოწოდების გამო)

საქ. კომპარტიის (ბ) საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, მოისმინა რა მან ამხ. ლ. ლომბერიძის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მ.-წ. 24 სექტემბრის მიმართვის შესახებ, მხურვალედ ესალმება საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც თავის მიმართვაში სავსებით სწორად მიუთითებს პარტიულ ორგანიზაციების მთავარ ნაკლოვანებებზე და მტკივნეულ მხარეებზე და პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე სახავს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, რომლებიც რეკონსტრუქტიული პერიოდის რთულ პირობებიდან გამომდინარეობენ და რომელთა გარშემო ახლა უნდა დაირაზმოს უფართოესი პარტიული მასების ყურადღება.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვა მთელი სიმტკიცით და ბოლშევიკური სიმკაცრით აყენებს თვითკრიტიკისა და პროლეტარული დემოკრატიის მაქსიმალურად გაშლის ამოცანას მუშათა მასებისა და მშრომელთა აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში ფართოდ ჩაბმის მიზნით.

პარტია აყენებს რა ამ ამოცანას, ხელმძღვანელობს იმ დებულებით, რომ „შეუძლებელია ჩვენი სამეურნეო, პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება, თუ წინ არ წავსწიეთ მშენებლობის საქმე და არ ავლაგმეთ ბურჟუაზიული მავნებლობა, თუ მთლიანად არ განვავითარეთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, თუ მასების კონტროლს არ დაუქვემდებარეთ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობა" (სტალინი).

მიმართვაში აღნიშნულ თვითკრიტიკის ჩახშობის, პარტიის კლასობრივი ხაზის გამრუდების, მემარჯვენე გადახრის გამომჟღავნების, შინაურულობის, ერთმანეთზე ხელის დაფარების (აჭარისტანის იარა, გახრწნა სამხრეთ - ოსეთში, თვითკრიტიკის შეზღუდვა და ოპორტუნისტული გადამახინჯებანი კახეთისა და აფხაზეთის ორგანიზაციებში და სხვ.) მომენტებს ადგილი აქვთ თბილისის ოლქის პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციების ცალკე რგოლებშიც.

ეს მთელი სიცხადით გვიჩვენებს იმას, რომ თვითკრიტიკა ჯერ კიდევ არ გამხდარა მეთოდი და ხელმძღვანელი პრინციპი ჩვენი ორგანიზაციის მთელ მუშაობაში, აგრეთვე საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციების (პროფკავშირები, კომკავშირი) მთელი სისტემის.

თბილისის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი სიფხიზლით და სიცხადით უნდა გაითვალისწინოს ბაქოს გაკვეთილები, გაკვეთილები თვითკრიტიკის ჩაკვლისა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ცალკე რგოლებში, შეითვისოს ეს გაკვეთილები იმ მიზნით, რომ თავის პრაქტიკულ მუშაობაში შესძლოს სწორად და ფართოდ გაშალოს თვითკრიტიკა — მუშაობის ძირითადი ბოლშევიკური მეთოდი, თვითკრიტიკის აშკარა ჩახშობის ფაქტები (ამიერ - კავკასიის რკინის გზების სამმართველოს უჯრედი, სავაგონო პარკის უჯრედი, ხაგზამ-სატრ. კოოპ., მეორე ზეთსახდელი ქარხანა და აგურის ქარხნები), მემარჯვენე განწყობილებათა და ტენდენციების გამომჟღავნება, კლასობრივი ხაზის გამრუდება, კავშირი კერძო ვაჭრებთან, შინაურობა და ერთმანეთზე ხელის დაფარება (მუშკოოპის, სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის და გლეხთა სახლის, მეტყავეთა № 1, შინამრეწ. კავშირის, თურქული უჯრედები); ყოფა-ცხოვრებითი გახრწნის (სახკინმრეწვის, მილიციის, მიწსახკომის, მეხუთე სტამბის უჯრ., თბილისის აღმასკომის კომკავშირის უჯრედი), — ყველა ეს მახინჯი ფაქტები შესაძლებელი იყო წარმოშობილიყვნენ და წარმოიშვენ მთელი სიგრძე-სიგანით გაშლილი თვითკრიტიკის და „პიროვნებათა მიუხედავად კრიტიკის" უქონლობის პირობებში.

ეს ფაქტები ნათლად მოითხოვენ თავიდან ბოლომდე, პარტიის თბილისის კომიტეტიდან დაწყებული უჯრედამდე, მუშაობის გარდაქმნის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების და ტემპის გაძლიერების საფუძველზე, მებრძოლი ლენინური თვითკრიტიკის, გაშლილი თვითკრიტიკის და პარტიის გენერალური ხაზის გადაუხრელად განხორციელების, გადახრებთან და პირველ რიგში ოპორტუნისტულ მემარჯვენე გადახრასთან და შემარიგებლობასთან ბრძოლის საფუძველზე — გახურებული შანთით ამოიწვას ყველა ეს მახინჯი მტკივნეული ხორცმეტი თბილისის საოლქო პარტიულ ორგანიზაციის ჯანსაღ ორგანიზმზე.

რეკონსტრუქტიული პერიოდის მთელი პირობები მოითხოვენ პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის მთელი მეთოდების გარდაქმნას, ამ პრობლემის დასმას, როგორც ცენტრალური პრობლემისას უახლოესი პერიოდისათვის.

თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ორგანიზაციის მუშაობის გაძლიერების საჭიროებას სოფლად, სოფლის პარტორგანიზაციების ბრძოლის გაძლიერებას მემარჯვენე გადახრის კონკრეტულ გამოხატულებასთან როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში, კლასობრივი ხაზის დამახინჯებასთან სოფლად მუშაობაში (კავშირი კულაკებთან, კლასობრივი ხაზის დამახინჯება სოფლის კავშირის ქსელის მუშაობაში, კოლმეურნეობებიდან კომუნისტების გამოსვლის შემთხვევები, საიჯარო პოლიტიკის დამახინჯება, სასოფლო-სამეურნეო კრედიტების არადანიშნულებისამებრ მიმართვა და სხვ.—მანგლისი, ალბულაღი, წალკა, ლიუქსემბურგი, ბაშკიჩეთი).

მემარჯვენე, აშკარა ოპორტუნისტული გადახრა მრავალ ეროვნებიან ამიერ-კავკასიის პირობებში უკავშირდება ნაციონალიზმს და შოვინიზმს, რომელთანაც ბრძოლა ნაციონალიზმის და შოვინიზმის მთელ რიგ კონკრეტულ გამოხატულებათა გამო (სამხედრო წისქვილის, „სოიუზხლებ"-ის, აგურის ქარხნის, პურის მცხობელთა და სხვ. უჯრედები) დასმული უნდა იქნეს თბილისის საოლქო პარტიული ორგანიზაციის წინაშე, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

თბილისის საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად სახავს მუშათა კადრების გაბედულად დაწინაურებას, მუშათა აქტივის, მისი მომზადების და გადამზადების დაწვრილებით შესწავლას. საბჭოთა აპარატის მომავალი წმენდა მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნას აპარატის გამუშურების მიზნით.

ლენინურ პარტიულ სწავლებას პარტიის გენერალურ, ლენინურ ხაზისაგან ყოველგვარ გადახვევასთან ბრძოლის პირობებში, ლენინურ დროშის პრინციპიალურ იდეურ სიწმინდისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამიტომ თბილისის საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი ხაზს უსვამს გადამწყვეტი გარდატეხის აუცილებლობას პარტგანათლების მთელ სისტემაში; აღმოფხვრილი უნდა იქნეს პარტგანათლების არასათანადოდ შეფასება მთელ რიგ პარტიულ უჯრედების მხრიდან და სასწრაფოდ ბოლო უნდა მოეღოს იმ დაუშვებელ გულგრილობას და ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, რომელსაც ადგილი აქვს ამჟამად პარტსწავლების ახალი წლის დაწყების წინ.

თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს ფართო პარტიულ მასებს გაშალონ ნამდვილი, ბოლშევიკური თვითკრიტიკა და კრიტიკა „პიროვნებების მიუხედავად", გადაჭრით და დაუზოგავათ აღმოფხვრან ბიუროკრატიული იარები, ფართოდ განავითარონ პროლეტარული კონტროლი აპარატის მუშაობაზე, მძლავრად შეუტიონ პარტიის გენერალური ხაზის ოპორტუნისტულ დამახინჯებას.

ფართოდ გაშლილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის, ფართო პროლეტარული კონტროლის, გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულების ლენინური თვითშემოწმების ლოზუნგით,—თბილისის საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი მოუწოდებს ორგანიზაციებს მუშაობის გადახალისებისაკენ, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ტემპის გაძლიერებისაკენ.

პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი წინადადებას იძლევა:

1. განხილულ იქნას ეს მიმართვა პარტიულ და უპარტიო მუშათა აქტივზე, პარტკომკავშირის უჯრედებზე და მუშათა კრებებზე.

2. ოლქის პარტორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ პროლეტარული საზოგადოებრიობის ყურადღება და გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოონ თვითკრიტიკის შეზღუდვის, შინაურულობის, ერთმანეთზე ხელის დაფარების და ყოფა-ცხოვრებითი გახრწნის ყოველგვარ შემთხვევებთან; მათ დაუზოგავათ უნდა გამოამჟღავნონ ასეთი დამახინჯების ყოველგვარი შემთხვევა და ამ მიზნით ყოველმხრივ გამოიყენონ პარტიის წმენდა, რომელიც ამჟამად გრძელდება.

3. ფართოდ გაშლილ იქნას მასიური თვითკრიტიკა თავიდან ბოლომდე, მიღებულ იქნას ზომები მუშაობის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისა, ტემპის გაძლიერებისა და ხელმძღვანელ პარტორგანოების გადაწყვეტილებათა და დირექტივების შესრულებისათვის.

4. უახლოეს დღეებშივე უნდა მოხდეს პრაქტიკული გარდატეხა ხელმძღვანელ პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობაზე მოწინავე საუკეთესო პროლეტარების დაწინაურების საქმეში. უზრუნველყოფილი უნდა იქნას უახლოეს პერიოდში საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივის შესრულება მუშაკების ხელმძღვანელ შემადგენლობის 10 პროც. გამუშურების შესახებ.

5. პრესა, კედლის გაზეთები, მუშკორთა მოძრაობა დარაზმული უნდა იქნან იმ პასუხსაგებ ამოცანის შესასრულებლად, რომელიც ეხება პარტიული მასების და ფართო პროლეტარული საზოგადოებრიობის ჩაბმას ფართოდ გაშლილი თვითკრიტიკის და კრიტიკის ლოზუნგის განხორციელებაში, მათ დასარაზმავად იმ ამოცანების გარშემო, რომელნიც მოითხოვენ პრაქტიკულ დახმარებას და საზოგადოებრივ ხელის შეწყობას მემარჯვენე გადახრის პრაქტიკასთან და თეორიასთან ბრძოლაში, თვითკრიტიკის შეზღუდველებთან ბრძოლაში; მათ ამასთანავე გაბედულად უნდა გამოამჟღავნონ ყოფა-ცხოვრებითი გახრწნის, კლასობრივ მტერთან შეზრდის და სხვ. ფაქტები.

გადამწყვეტ კურსს ფართოდ გაშლილ თვითკრიტიკაზე, შეცდომების და ნაკლოვანებების, ყოფა-ცხოვრებითი გახრწნის შემთხვევების დაუზოგავად მხილებას—მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტები შეაფასებენ ობივატელურად, პანიკურად და დაიწყებენ ლაყბობას პარტიის „ავტორიტეტის" დაკარგვის, მისი „გაბიუროკრატების" და სხვ. შესახებ.

თბილისის საოლქო პარტიული ორგანიზაცია შესძლებს გადაჭრით უარყოს ეს ობივატელურ-ოპორტუნისტული ლაყბობა მემარჯვენე და „მემარცხენე" ფრაზიორებისა, რომელთაც არ შეუძლიათ სწორად შეაფასონ თვითკრიტიკის როგორც მუშაობის ბოლშევიკური მეთოდის მნიშვნელობა.

თბილისის პარტორგანიზაცია სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს თვითკრიტიკის რეგლამენტაციის და შეზღუდვის ყოველგვარ ცდებს პარტიის ბიუროკრატიულ და დახავსებულ ელემენტების მხრიდან და სასტიკად დატუქსავს ყველას, ვინც შეეცდება გამოიყენოს თვითკრიტიკა პარტიის წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გამოცდილი ხელმძღვანელობით, თბილისის საოლქო პარტიული ორგანიზაცია დარაზმავს ყველა თავის ძალებს და გადაჭრით გარდაქმნის თავის მუშაობას, გააძლიერებს მის ტემპს და ხარისხს და წავა წინ ახალ მიღწევებისაკენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა!

დაუზოგავი ბრძოლა გადახრებს პარტიის გენერალურ ხაზიდან, განსაკუთრებით კი აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრას!

მტკიცეთ და გადაჭრით განვახორციელოთ პარტიის გენერალური ლენინური ხაზი!

მაღლა ავსწიოთ პროლეტარული თვითკრიტიკის მებრძოლი დროშა!

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტი.

ჰენდერსონმა მიიღო ამხ. დოვგალევსკის წინადადება

ავსტრიის ახალი მთავრობა მხარს უჭერს ფაშისტების მოთხოვნათა შესრულებას

მანჯურიაში გრძელდება საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა

ინგლის-საბჭ. კავშირის მოლაპარაკება

დოვგალევსკის ახალი შეხვედრა ჰენდერსონთან

ლონდონი, 27 სექტემბერი. მოხდა დოვგალევსკის ახალი თათბირი ჰენდერსონთან. (ადს)

ლონდონი, 27 სექტემბერი. გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა იმ თათბირის შესახებ, რომელიც პარასკევს ჰქონდათ ჰენდერსონსა და დოვგალევსკის. თათბირის შედეგად მიღწეულია შეთანხმება იმ საკითხების ნუსხის შესახებ, რომლებიც მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას სრული დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და ელჩების დანიშვნის შემდეგ.

შემდეგი თათბირი შესდგება სამშაბათს. (ადს)

„სეთარე ირანი" ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ

თეირანი, 27 სექტემბერი. გაზეთი „სეთარე ირან", წერილში, რომელიც ინგლის - საბჭოთა მოლაპარაკებას შეეხება, თვლის, რომ ეკონომიურმა მდგომარეობამ აიძულა ინგლისი მიელო საბჭოთა ფორმულა: ჯერ ცნობა, შემდეგ მოლაპარაკება. (ადს)

ეკონომიური კრიზისი ინგლისში

გასანაღდებელი პროცენტის გადიდების გამოძახილი

ლონდონი, 27 სექტემბერი. ინგლისის ბანკის დადგენილებამ გასანაღდებელი პროცენტის გადიდების შესახებ, 5 ნახ. — 6 ნახ.-დე, დიდი მღელვარება გამოიწვია პრესაში და სამრეწველო და პოლიტიკურ წრეებში. პროცენტის გადიდებას შეუძლია გაამწვავოს სამრეწველო კრიზისი და გააძლიეროს უმუშევრობა.

„დეილი ტელეგრაფ"-ი მიუთითებს, რომ ინგლისის ბანკს არ შეეძლო შერიგებოდა ოქროს მარაგის შემდგომ შემცირებას, რადგან ეს დალუპავდა ინგლისის კრედიტს. გაზეთი აღიარებს, რომ მაღალი პროცენტი არ არის ხელსაყრელი კომერციული წრეებისათვის, მაგრამ ფიქრობს, რომ პროცენტის გადიდებას არ უნდა მოჰყვეს წარმოების შემცირება. ამ აზრს გაზეთი გერმანიის მრეწველობის აღორძინების მაგალითით ასაბუთებს. გაზეთის აზრით, პროცენტის გადიდება დაბრკოლებებს შექმნის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ფინანსების მიწოდებისა და უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში.

შემდეგ გაზეთი მიუთითებს, რომ მინისტრების ნაწილი დაბეჯითებით მოითხოვს მუშათა პარტიის საარჩევნო დაპირებების შესრულებას უმუშევრობის საკითხში და შესაფერი კანონების დაუყონებლივ გამოცემას, მაგრამ სნოუდენი, გაზეთის სიტყვით, წინააღმდეგობას გაუწევს ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილება დიდ მსხვერპლს მოითხოვს ხაზინის მხრიდან. (ადს).

ჩინეთში გრძელდება საბჭ. მოქალაქეების დევნა

საბჭოთა მოქალაქეების სიკვდილით დასჯა

ტოკიო, 27 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, ციციკარში საველე სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს სამი საბჭოთა რკინისგზელი—ოსიპოვი, საროკოვი და ვასილიოკი. დახვრეტის შესახებ გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობები. რკინისგზელები დახვრიტეს ვითომ „მავნებლობისათვის", მაგრამ თუ რაში გამოიხატა ეს მავნებლობა, ცნობაში აღნიშნული არ არის.

დახვრეტამ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ხარბინის უცხოელთა წრეებში, რომელნიც ეხლა აშკარად აღიარებენ ჩინეთის ხელისუფლების მიერ საბჭოთა მოქალაქეების დასჯის ფაქტებს.

იაპონური გაზეთები ბეჭდავენ ცნობას ციციკარში მომხდარი დახვრეტის შესახებ (ადს).

ტოკიო, 27 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, სადგურ ლიდახეძინში იპოვეს ჩამოხრჩობილი ახალგაზრდა საბჭოთა მუშა უსტერეცკი. წინად ის დააპატიმრეს და აწამეს. გვამის დათვალიერებამ გამოარკვია, რომ მას მოტეხილი აქვს ფეხი და მუხლის სახსრები, რაც, როგორც ჩანს, იმით აიხსნება, რომ უსტერეცკის წინააღმდეგობა გაუწევია (ადს).

საბჭოთა მოქალაქეების ცემა

ტოკიო, 27 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, სამხედრო შტაბის შენობაში—ორ ოთახში და სარდაფში—დაპატიმრებულია 86 საბჭოთა მოქალაქე. მათ სდარაჯობს რუსი ზედამხედველი, რომელიც სცემს მათ. დაპატიმრებულთა შორის რამდენიმე ავადმყოფია (ადს).

საბჭოთა მოქალაქეების მძიმე მდგომარეობა

ტოკიო, 27 სექტემბერი. ხარბინიდან იუწყებიან, რომ მიღებულია ცნობები საბჭოთა მოქალაქეების ცემის სამი შემთხვევის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სადგურებზე.

სუმბეის ბანაკში კიდევ გაიხსნა ორი ბარაკი, სადაც მოათავსებენ საბჭოთა იმ მოქალაქეებს, რომლებიც სხვა ადგილებში იმყოფებიან, აგრეთვე იმათ, რომელთაც მომავალში დააპატიმრებენ.

უკანასკნელ დღეებში დაიწყო საბჭოთა მოქალაქეების მასიური გამგზავრება და გაქცევა საბჭოთა შირში. რადგან ეშინიათ რეპრესიების. საბჭოთა კავშირში მიემგზავრება მწერალი სკიტალეცი, რომელიც ხარბინში ცხოვრობს, როგორც ემიგრანტი. (ადს).

ჩინეთის ჯარი საზამთროდ ემზადება

ტოკიო, 27 სექტემბერი. ჩინეთის სარდლობამ მანჯურიაში ბრძანება გასცა ჯარებისათვის საზამთრო ბანაკის მომზადების შესახებ. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარემ გასცა ბრძანება გზის საშუალებებიდან 3 მილიონ დოლლარის გაცემის შესახებ ჯარისათვის ტანსაცმლის შესაძენათ. საფრანგეთიდან მიღებულია სამხედრო აეროპლანები (ადს).

ჩინეთის ჯარის შენახვის საკითხი მწვავდება

ტოკიო, 27 სექტემბერი. ჩრდილოეთ-მანჯურიაში მყოფ ჩინეთის ჯარების სურსათსანოვაგით უზრუნველყოფის საკითხი თანდათან უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს, ისედაც კრიტიკულ მდგომარეობას ამ დარგში ართულებს ის გარემოება, რომ ჩინეთის სარდლობას ყოველდღიურათ 20.000 იენის გადახდა უხდება ჯარებისათვის ჩამორთმეულ სურსათსანოვაგეში. მუკდენის ხელისუფლება ამ რამდენიმე ხნის წინათ შეეცადა თავი დაეღწია ამ მდგომარეობიდან ახალი ბანკნოტების გამოშვებით, მაგრამ ამან მუკდენის ვალიუტის დაცემა გამოიწვია. მუკდენი ამერიკელებთან მოლაპარაკებას აწარმოებს 20.000.000 ჩინურ დოლარის მიღების შესახებ სესხად (ადს).

საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება

ტოკიო, 27 სექტემბერი. ხარბინის გაზეთებში გამოქვეყნებულია ახლად დაპატიმრებულ 200 საბჭოთა მოქალაქის სია. ყველა ისინი გზის მუშა-მოსამსახურეებია (ადს).

თეთრგვარდიელების მობილიზაცია გრძელდება

ხაბაროვსკი, 28 სექტემბერი. ხარბინადან მიღებული ცნობებით, მუკდენში და ხარბინში გრძელდება თეთრგვარდიელების რაზმების შედგენა. ჩინეთის სარდლობა მათ აწვდის იარაღს და ცხენებს, ჩინეთის სარდლობა განაგრძობს სამხედრო სამზადისს ხანკას ტბის რაიონში, სადაც ხდება ცხენოსანი ნაწილების შეცვლა. ხანკას რაიონში თავს იყრიან ახალი სამხედრო ნაწილები და სწარმოებს სიმაგრეების აგება (ადს).

მოწოდება ჩინეთის პროლეტარიატისადმი

ტოკიო, 27 სექტემბერი. პროფკავშირთა სრულიად ჩინეთის ფედერაციამ ჩინეთის პროლეტარიატს მიმართა მოწოდებით მანჯურიის ამბების გამო. ფედერაცია მოუწოდებს ჩინეთის მუშებს ენერგიულად იბრძოლონ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დაკავების წინააღმდეგ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დაკავება მოხდა გომინდანის დირექტივების მიხედვით და იმპერიალისტების ინტერესებისათვის, რომლებიც მოითხოვენ მანჯურიის გამოყენებას საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ ჩინეთის მუშები სრულ თავისუფლებას მოიპოვებენ მხოლოდ ერთობით მსოფლიო პროლეტარიატთან და საბჭოთა კავშირის დასაცავად ბრძოლით. (ადს).

ჩინეთის ჯარების პროვოკაციული თავდასხმები გრძელდება

ხაბაროვსკი, 28 სექტემბერი. ჩინელმა ჯარისკაცებმა მდ. უსსურიზე 26 სექტემბერს სროლა აუტეხეს ჩვენს მეთევზეებს. არიან დაჭრილები და მოკლულები.

ჩიტაში 25 სექტემბერს ჩინელმა ჯარისკაცებმა, დაბა ბუგუტურის რაიონში, მანჯურიიდან ექვსი კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთით, სროლა აუტეხეს ჩვენს ჯარისკაცებს (ადს).

გზის მოსამსახურეთა ახალი სია

ტოკიო, 27 სექტემბერი. გამოქვეყნებულია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ახალ მოსამსახურეთა სია. ყველა ისინი ოსტროუმოვის (გზის ყოფილი თეთრგვარდიელი მმართველის) ძველი თანამშრომლებია. გზის მმართველმა ახალ მოსამსახურეებთან გაცნობის მიზნით გამართა ნადიმი, რომელზედაც ანტი-საბჭოთა სიტყვებით გამოვიდა

მატარებლების დამტვრევა

ტოკიო, 27 სექტემბერი. მატარებლების დამტვრევამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე სისტემატიური ხასიათი მიიღო. გულინის შტოზე დამტვრა ნახშირით დატვირთული მატარებელი. ორ ადგილას დაიმტვრა საბარგო მატარებლები (ადს).

სრული არევ-დარევა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ხაბაროვსკი, 28 სექტემბერი. არევდარევა და დეზორგანიზაცია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე გრძელდება, მატარებლების დამტვრევამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. ხარბინის სადგურზე მოხდა ორთქლმავლის დაჯახება საქონლის ვაგონებთან

აიძულებენ ჩინეთის ქვეშევრდომობა მიიღონ

ტოკიო, 27 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ყველა საწარმოში ხელისუფლება სავსებით აშკარად აიძულებს საბჭოთა რკინისგზელებს მიიღონ ჩინეთის ქვეშევრდომობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნითა და დაპატიმრებით ემუქრებიან მათ. კიდევ დაითხოვეს 20-ზე მეტი საბჭოთა მუშაკი (ადს).

ბრძოლა ჩინელ მილიტარისტების ბანაკში

ვან-ძინ-ვეის მოწოდება

შანხაი, 27 სექტემბერი. ვანძინ-ვეიმ გამოაქვეყნა მოწოდება ჩან-კაი-შის წინააღმდეგ, რომელშიც ბრალს სდებს მას დესპოტიზმში და მასების მდგომარეობის გაუარესებაში.

მოწოდება მიუთითებს მექრთამეობის ზრდაზე მოხელეთა შორის, პროტექციონიზმზე, უამრავი ქაღალდის ფულების გამოშვებაზე, უკანონო მკვლელობებზე, უკანონო კონფისკაციებზე, რომელთა მიზანია მოხელეთა მადაგახსნილობის დაკმაყოფილება.

მოწოდება ბრალს სდებს ჩან-კაი-შის იმაში, რომ მან გასძარცვა ხალხის სიმდიდრე, დაშალა თავის მოწინააღმდეგეთა ჯარები, რათა განემტკიცებია თავისი მდგომარეობა და უცხოეთის სახელმწიფოებთან დასდვა ჩინეთის დამამცირებელი ხელშეკრულებები. უკანონო დაპატიმრებანი, წამება, მკვლელობანი და სიკვდილით დასჯა საბაბს აძლევს უცხოეთის სახელმწიფოებს უარჰყონ ჩინეთის მოთხოვნა ექსტერიტორიალური უფლებების გაუქმების შესახებ.

შემდეგ მოწოდება ბრალს სდებს ჩან-კაი-შის იმაში, რომ მან დაამახინჯა და გაანადგურა გომინდანის პროგრამა.

ვან-ძინ-ვეი მოუწოდებს ენერგიული და შეურიგებელი ბრძოლისაკენ ჩან-კაი-შისთან, რომელმაც უღალატა თავის ქვეყანასა და ხალხს.

მოწოდებას ხელს აწერს გომინდანის პროვინციალურ ორგანიზაციების გაერთიანებული ბიურო და უცხოეთის ბიურო (ადს).

ჩან-ფა-გუის მარცხი

შანხაი, 27 სექტემბერი. ნანკინიდან მიღებული ცნობით, ჩან-ფა-გუის ჯარების პირველი ბრიგადა განაიარაღა ხუნანის ჯარებმა, 2000 კაცი ტყვეთ არის წაყვანილი.

ამავე დროს ოფიციალური წრეები იუწყებიან, რომ ჩან-ფა-გუის ჯარების და ოფიცრების ნაწილმა ერთგულება განუცხადეს ცენტრალურ მთავრობას (ადს).

გერმანიაში უმუშევრებს დახმარებას უმცირებენ

ბერლინი, 27 სექტემბერი. 28 სექტემბერს შესდგა სრულიად გერმანიის მთავრობის სხდომა იმ კანონპროექტის საბოლოოდ დასამუშავებლად, რომელიც შეეხება უმუშევართა დახმარების შემცირებას.

კომპარტია რეიხსტაგის მუშაობის განახლების დღისათვის აწყობს მასიურ დემონსტრაციას.

რეიხსტაგის კომფრაქცია არა მარტო იბრძოლებს უმუშევრობისათვის დახმარების შემცირების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე წამოაყენებს თავის წინადადებებსაც: სამუშაო დღის შემცირება 7 საათამდე, ზედმეტი მუშაობის აკრძალვა, მუშების დაზღვევა მრეწველის ხარჯზე და უმუშევართა დახმარების დაუყოვნებლივ გადიდება (ადს).

ავსტრიის ახალი მთავრობა

ფაშისტებს აღუთქვამს მათი მოთხოვნილებების შესრულებას

შობერის დეკლარაცია

ვენა, 27 სექტემბერი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ შობერმა პარლამენტში გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნა, რომ ავსტრიის მოსახლეობაში წარმოიშვა კონსტიტუციის შეცვლის სურვილი.

„ამ ნიადაგზე,—სთქვა შობერმა,—წარმოიშვა ძლიერი სახალხო მოძრაობა. ამ მოძრაობას დემოკრატიულ სახელმწიფოს მთავრობა გვერდს ვერ აუხვევდა იმ შემთხვევაშიაც კი, რომ ამ მოძრაობის წარმომადგენელნი მთავრობის შემადგენლობაში არ შედიოდნენ".

შობერის სიტყვით, მთავრობის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო კონტაქტი დაამყაროს ხეიმვერთან და ეს მოძრაობა წარმართოს იმ გზით, რომელმაც ხეიმვერის მოთხოვნების კანონიერ განხორციელებამდე უნდა მიგვიყვანოსო.

შემდეგ შობერმა განაცხადა, რომ ცხარე საზოგადოებრივი პოლემიკის შედეგად დაიბადა ეჭვი წესრიგისა და მშვიდობიანობის შენარჩუნების შესაძლებლობაში. შობერს დაუშვებლად მიაჩნია ხალხის აღელვება სიტყვიერი და წერილობითი გამოსვლებით და უცხოეთში ავსტრიის მდგომარეობაზე სრულიად არა სწორი წარმოდგენის შექმნა.

შობერის სიტყვით, ავსტრიის ხელისუფლების საშუალებები საკმაოთ ძლიერი და საიმედოა ყველა ამგვარი საფრთხის დასაძლევად.

შემდეგ შობერმა ზოგადად დაახასიათა კონსტიტუციის განზრახული რეფორმა, რომელიც უნდა შეეხოს პრეზიდენტის რწმუნებებს, პოლიციის საკითხის მოგვარებას და სახელმწიფო დაწესებულებებიდან პოლიტიკის განდევნას.

თავის დეკლარაციაში შობერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მიერ დასახულმა ზომებმა მთავრობას უნდა მისცენ შესაძლებლობა გამოაცხადოს საალყო წესები „დიდი არეულობის შემთხვევაში" (ადს).

ფაშისტები ესალმებიან ახალ მთავრობას

ვენა, 27 სექტემბერი. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „აბენდ" შობერის მთავრობას უწოდებს „კითხვითი ნიშანს". გაზეთი მოუწოდებს შობერს—მოიპოვოს მუშათა კლასის ნდობა.

ვენის ხეიმვერის ლიდერმა მაიორმა ფეიმ განაცხადა: ხეიმვერმა თავისი წარმომადგენლები არ გაგზავნა მთავრობაში იმ მიზნით, რომ „კვლავინდებურად შეასრულოს ხალხის გამაფრთხილებელი სინიდისის როლი".

შემდეგ ფეიმ განაცხადა, რომ ახალი მინისტრები ხეიმვერისათვის წარმოადგენენ ახალი კურსის გარანტიას. ამიტომ ხეიმვერი ესალმება და მხარს დაუჭერს ახალ კაბინეტსო (ადს).

რეფორმიზმის შეზრდა ფაშიზმთან

პრაღა, 27 სექტემბერი. კომუნისტური ორგანო „რუდე პრავო" სწერს, რომ ავსტრიაში მომხდარი ამბები წარმოადგენს რეფორმიზმის ფაშიზმთან შეზრდის შედეგს. გაზეთის სიტყვით, კაბინეტის შეცვლა ავსტრიაში წარმოადგენს სამზადისს ფაშისტური რეჟიმის დასამყარებლად შუაევროპის სხვა ქვეყნებში. (ადს).

შეტაკება მუშებსა და ფაშისტებს შორის

ვენა, 27 სექტემბერი. ვენის სამრეწველო გარეუბანში — ლააში — შეტაკება მოხდა ხეიმვერის რაზმებსა და მუშებს შორის. რევოლვერებით შეიარაღებული ფაშისტები თავს დაესხნენ მუშებს, რომლებმაც ღირსეული პასუხი მისცეს მათ, სასტიკად სცემეს რამდენიმე თავდამსხმელს. პოლიციამ დააპატიმრა სამი მუშა. (ადს).

შობერის მთავრობის წინააღმდეგ

ვენა, 27 სექტემბერი. 26 სექტემბერს გრძელდებოდა მუშათა დემონსტრაციები ფაშიზმის წინააღმდეგ ახალი მთავრობის სახით. სოციალ-ემოკრატიული ახალგაზრდობის კრების შემდეგ ფლორიდსდორფში მისმა მონაწილეებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით მოაწყვეს დემონსტრაცია. ფავარიტენის მუშათა უბანში გაიმართა მუშების და შუცბუნდის წევრების (სოც.-დემ. მუშათა თავდაცვის რაზმები) დემონსტრაცია, რომელსაც შეურთდენ ქუჩაში შეკრებილი მუშები. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და ფანტავდა მათ რეზინის ჯოხებით, მაგრამ მუშები კვლავ იკრიბებოდნენ. მაშინ პოლიციამ სროლა ასტეხა, თუმცა არავინ არ დაუჭრია. დემონსტრაციის რამდენიმე მონაწილე დაპატიმრებულია.

ვენის „როტე ფანე"-ს მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები იმ შეტაკებების შესახებ, რომლებიც 25 სექტემბერს მოხდა ფინერ-ნეიშტადტში ფაშისტებსა და მუშებს შორის. ბევრ ფაშისტს სცემეს. ადგილობრივი პოლიცია, რომელსაც სათავეში უდგანან სოციალ-დემოკრატები, ფაშისტებს იცავდა მუშებისაგან. ხმოსანი პრადინტერი, სოციალ-დემოკრატი, მოუწოდებდა მუშებს ხელი არ შეეშალათ ფაშისტების მსვლელობისათვის, მაგრამ მუშა-ქალებმა უფშტვინეს მას.

დღეს ჯარისკაცებისათვის მუშებთან დაძმობილებისაკენ მოწოდებისათვის დააპატიმრეს ვენის „როტე ფანე"-ს რედაქტორი — ცუკკერი (ადს).

ვენა, 27 სექტემბერი. 27 სექტემბერს ვენაში შესდგა კომპარტიის მიერ მოწვეული მუშათა კონფერენცია შობერის მთავრობისა და 29 სექტემბრისათვის დანიშნულ ფაშისტური გამოსვლის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად.

კონფერენციას დაესწრო 180 კაცი—კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები და უპარტიოები. კონფერენციამ დაამტკიცა კომპარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგები და მიიღო მოქმედების პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაედო ავსტრიის კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმის რეზოლიუცია.

ნდობა გამოუცხადეს შობერს

ვენა, 27 სექტემბერი. შობერის დეკლარაციის ირგვლივ გამართულ კამათის დროს უმრავლესობის წარმომადგენლებმა ნდობა გამოუცხადეს ახალ მთავრობას, შეპირდენ სრულ მხარის დაჭერას და აღნიშნეს კონსტიტუციის რეფორმის აუცილებლობა.

სოციალ-დემოკრატმა დენებერგმა მთავრობის დეკლარაციას ბუნდოვანი უწოდა. მისი აზრით, დეკლარაცია არ შეიცავს ეკონომიურ პროგრამას.

კონსტიტუციის რეფორმა დენებერგს არ მიაჩნია საჩქარო საქმედ; რეფორმას მხოლოდ მაშინ აქვს რაიმე აზრი, როდესაც უზრუნველყოფილია კონსტიტუციის ხელუხლებლობა და როდესაც ბურჟუაზიას და მემამულეებს არა აქვთ საშუალება შექმნან შეიარაღებული ძალები.

შემდეგ დენებერგმა სთქვა, რომ მას შესაძლებლად მიაჩნია მსჯელობის საგნად გახდეს ზოგიერთი კონსტიტუციონური რეფორმები.

დასასრულ დენებერგმა ოპოზიციის სახელით განაცხადა, რომ მთავრობისადმი უნდობლობის მოსპობა მხოლოდ მისი სათანადო მოღვაწეობით შეიძლება (ადს).

„რურ ეხო"-ს რედაქტორების მიცემა პასუხისგებაში

ბერლინი, 27 სექტემბერი. ამ დღეებში პასუხისგებაში მისცეს—„სახელმწიფო ღალატისათვის" ესსენის კომუნისტურ ორგანოს „რურ ეხო"-ს სამი რედაქტორი.

კომუნისტ-დეპუტატ რემმელეს წიგნაკის („1-ლი მაისის გაკვეთილები") გავრცელებისათვის პასუხისგებაში მიცემულია ესსენის მუშათა წიგნის მაღაზიის თანამშრომელი ქალი (ადს).

გერმანიის კომკავშირის ყრილობა

ბერლინი, 27 სექტემბერი. ბერლინის მუშათა უბანში — ნეიკელნში — გაიხსნა გერმანიის კომკავშირის ყრილობა. ყრილობის საპატივსაცემოდ გაიმართა მუშა - ახალგაზრდობის, პიონერების, ახალგაზრდობის აკრძალულ წითელფრონტელთა კავშირის, ანტი-ფაშისტური რაზმების და მუშა - სპორტსმენების გრანდიოზული დემონსტრაცია. (ადს)

გუგენბერგი იუნგის გეგმის წინააღმდეგ

ბერლინი, 27 სექტემბერი. იუნგის გეგმის საკითხის გამო საყოველთაო კენჭისყრის კამპანიასთან დაკავშირებით, ბერლინში შესდგა მემარჯვენე კავშირების კრება.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ნაციონალისტური პარტიის თავმჯდომარე გუგენბერგი, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

გუგენბერგის სიტყვით, ოფიციოზური გაზეთების მტკიცება, თითქო იუნგის გეგმა ერთგვარ შემსუბუქებას წარმოადგენს გერმანიისათვის, სიმართლეს არ შეეფერება. ვერსალის ხელშეკრულების დადების დღიდან მოკავშირეებს არას დროს არ შეუმსუბუქებიათ გერმანიის ხვედრი, პირიქით, ყოველი ახალი ხელშეკრულებით აუარესებდენ მის მდგომარეობას. იუნგის გეგმას მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ მან გაკოტრებისაგან იხსნა დაუესის გეგმა და გაახანგრძლივა მისი არსებობა. (ადს).

ვახაბიტების თავდასხმა

ტრანს-იორდანიაზე

ლონდონი, 27 სექტემბერი. „დეილი მეილ"-ის კორესპონდენტი იერუსალიმიდან იუწყება, რომ ვახაბიტების „თავზე ხელაღებული" ტომები სარგებლობენ იბნ-საუდის და ბრკოლებებით და თავს დაესხენ ტრანს-იორდანიას 3 პუნქტში. მათ წინააღმდეგ გაგზავნილია ინგლისის აეროპლანები და ჯავშნიანი ავტომობილები. იერუსალიმში, შიშობენ, რომ ამ თავდასხმებმა არ გამოიწვიოს საპასუხო მოქმედება ტრანს-იორდანიის ბედუინების მხრივ, რასაც შეძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

ნეჯდის წარმომადგენლობა კაიროში აცხადებს, რომ იბნ-საუდის წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებათა უმრავლესობა ჩაქრობილია ზოგიერთი ტომების წინააღმდეგ ნეჯდის სხვადასხვა კუთხეებში, სადაც გრძელდებოდა გამოსვლები, გაგზავნილია ძლიერი რაზმები,

სიკვდილით დასჯილია 200 მეამბოხე, რომელთაც იბნ-საუდმა პირველ ხანებში აპატია დანაშაული (ადს),

„საბჭოთა ქვეყანა"-ს გადაფრენა

„საბჭოთა ქვეყანა" ამერიკაში

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. კუნძულ უნალიაშკიდან 27 სექტემბერს დილის 9 ს. 30 წ. გამოფრენილი „საბჭოთა ქვეყანა" იმავე დღეს 17 ს. 42 წ. დაეშვა სიუარდში (ალიასკა) და გაიარა 1.300 კილომეტრი. (ადს)

ფორდის მიპატიჟება

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. გენრი ფორდმა „საბჭოთა ქვეყნის" მფრინავებს გაუგზავნა მიპატიჟება — ინახულონ მისი აეროპლანების ქარხანა. მაგრამ საეჭვოა, რომ „საბჭოთა ქვეყნის" გადაფრენის მარშრუტმა მფრინავებს საშუალება მისცეს მიიღონ ეს მიპატიჟება. (ადს).

ავსტრიის კომპარტია

მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ

ვენა, 27 სექტემბერი. ვენის „როტე ფანე" იუწყება, რომ ავსტრიის კომპარტიის გაფართოებულმა პლენუმმა მიიღო დადგენილება მემარჯვენე ოპორტუნისტული საფრთხის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ, თანახმად კომინტერნის აღმასკომის მეათე პლენუმის რეზოლიუციისა.

პლენუმმა მიანდო პოლიტბიუროს დაუყონებლივ მიიღოს ზომები პარტიის წმენდის ჩასატარებლად და ყველა აშკარა მემარჯვენე უკლონისტების გასადევნად პარტიიდან. (ადს).

ტერორი ბულგარეთში

ვენა, 27 სექტემბერი. ბულგარეთში კომკავშირელების უკანასკნელ დაპატიმრებებთან დაკავშირებით, ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, თითქოს პოლიციამ აღმოაჩინა კომპარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის არქივი და კონფისკაცია უყო მიწერ-მოწერას კომინტერნთან, აგრეთვე სამხრეთ-სლავიაში გაქცეულ რევოლიუციონერებთან. ჩხრეკის დროს თითქოს აღმოაჩინეს ბევრი ლიტერატურა და რამდენიმე ყუმბარა.

დაპატიმრებულთა შორის არის სტეფანოვი, რომელსაც პოლიცია კომპარტიის შიკრიკად სთვლის (ადს).

ტრაქტორები რაციონალურად გამოვიყენოთ

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დადგენილება

1. ცნობილ იქნეს საჭიროდ, რათა მომავალში სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორებით მომარაგება სწარმოებდეს ისეთ ფორმებში, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფდენ მათი სრულ და რაციონალურ გამოყენებას. ამ მიზნით შემდეგში ტრაქტორების მიწოდება წარმოებულ იქნეს, უმთავრესად, მანქანა-ტრაქტორების სადგურითა და სატრაქტორო კოლონების ორგანიზაციის ხაზით, ცალკე ტრაქტორების მიწოდება დაშვებულ იქნეს მხოლოდ იმ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეობათა ჯგუფური გაერთიანებათა მიმართ, რომელთაც შეუძლიათ ტრაქტორების სრული დატვირთვა.

2. წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი კვირის ვადაში შეადგინოს 1929-30 წ. შემოსატანი ტრაქტორების განაწილების გეგმა, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის მხედველობაში მიღებით. ამასთანავე 1929-30 წ. შემოზიდულ ტრაქტორებიდან შედგენილ უნდა იქნეს სატრაქტორო კოლონები.

3. საჭიროდ იქნეს ცნობილი არსებულ ტრაქტორებიდან სატრაქტორო კოლმეურნეობის დაუყონებლივ მოწყობა კოლმეურნეობათა ჯგუფურ გაერთიანებებთან შემდეგ რაიონებში: 1) (აპენი) (კახეთის ოლქი), 2. ლაგოდეხი (კახ. ოლქი), 3. ზემოქედი (კახ. ოლქი), 4) სარვანი (ბორჩალოს რაიონი), 5) შულავერი (ბორჩალოს რაიონი).

4. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს და სოფლის კავშირს დაუყონებლივ შეუდგენ აღნიშნულ სატრაქტორო კოლმეურნის მოწყობას მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ტეხნიკური ხელმძღვანელობით.

5. მიენდოს სახალხო კომისართა საბჭოს სარედაქციო-იურიდიულ განყოფილებას ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს დასკვნა სატრაქტორო კოლონების, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დებულების შესახებ და აგრეთვე ამ დებულების საბოლოო რედაქცია.

6. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს უზრუნველყოს მუდმივი აგრონომებით თავის ხარჯზე ის ჯგუფური გაერთიანებანი, რომლებთანაც კოლონები იქნენ მოწყობილი.

7. წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს მოამარაგოს ახლად მოწყობილ 5 კოლონაში თვითეულ კოლონასთან ერთი ინსტრუქტორი—მანტიორი.

8. საკითხი მოსაწყობად განზრახულ სატრაქტორო კოლონები კრედიტებით უზრუნველყოფის შესახებ გადაეცეს დასკვნისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

9. წინადადება მიეცეს სოფლის კავშირს მოაწყოს ახლად შექმნილ კოლონებთან ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების და მისაბმელი იარაღების ბაზა.

10. წინადადება მიეცეს ცეკავშირს მოაწყოს სატრაქტორო კოლონებთან სათბობის და დასაზეთი მასალის ბაზა.

11. ცალკე ტრაქტორების, კოლმეურნეობათა და სხვა გაერთიანებათა გამოყენების რაციონალიზაციის მიზნით საჭიროთ იქნეს ცნობილი: თვითეული ტრაქტორისათვის საწარმოო დავალებათა (გამომუშავების ნორმა) გამომუშავება. ამ სამუშაოს ჩატარება ადგილობრივ აგროორგანიზაციას და კოლმეურნეობათა ცენტრს დაევალოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით. საჭიროდ იქნეს ცნობილი ტრაქტორის მფლობელის და მეტრაქტორის პასუხისმგებლობის დაწესება საწარმოო დავალების შეუსრულებლობისათვის.

12. გაძლიერებულ იქნეს ინსტრუქტორ-მონტიორების კადრი, როგორც მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ისე სოფლის კავშირისა და ადგილობრივ ორგანოების ხაზით. თვითეულ ინსტრუქტორისათვის გამოყოფილ იქნეს მუშაობის ცალკე რაიონი.

ყველა ორგანიზაციის ინსტრუქტორ-მანტიორების მუშაობის ხელმძღვანელობა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ტეხნიკურ დახმარების აპარატს დაევალოს.

13. წინადადება მიეცეს სოფლის კავშირს გააფართოვოს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სათადარიგო ნაწილების საწყობების ქსელი, მათი მსხვილ კოლმეურნეობებთან და საკრედიტო ამხანაგობებთან მოწყობით.

წინადადება მიეცეს სოფლის კავშირს გააძლიეროს არსებული ბაზები სარემონტო სახელოსნოებთან.

14. წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს სათადარიგო ნაწილების სტანდარტული ასორტიმენტი და სახელმძღვანელოდ სოფლის კავშირს გადაეცეს.

15. წინადადება მიეცეს ცეკავშირს უზრუნველყოს ტრაქტორებისათვის საწვავი და დასაზეთი მასალების შეუფერხებლად მიწოდება, რისთვისაც მოაწყოს სათანადო საწყობები.

16. წინადადება მიეცეს სოფლის კავშირს დააჩქაროს არსებული სარემონტო სახელოსნოების დამთავრება და აგრეთვე მიიღოს ზომები ახლების მოსაწყობად.

17. წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს დააარსოს ცენტრალურ სარემონტო სახელოსნოებთან სასოფლო-სამეურნეო მექანიკოსების, მანტიორების და ინსტრუქტორების მუდმივი წლიური კურსები.

18. წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს გააძლიეროს მეტრაქტორეთა კადრის მომზადება და გადამზადება სათანადო 6 თვიანი კურსების მოწყობით.

19. წინადადება მიეცეს მიწსახკომს და შრომის სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს ამა დადგენილების მუხ. 17 და 18 აღნიშნული კურსები საშუალებებით მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით და აგრეთვე შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში უმუშევართა კვალიფიკაციის გასაძლიერებლად გაღებული თანხებიდან.

20 დაევალოს მიწსახკომს მიწა-ტყის კავშირის ცენტრალურ გამგეობასა და კოლმეურნეობათა ცენტრთან ერთად დაამუშაოს მეტრაქტორეთა მტკიცე განაკვეთის რაოდენობისა, სისტემისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

21. წინადადება მიეცეს მიწსახკომისარიატს იუსტიციის სახკომისარიატთან ერთად დაამუშაოს მოქმედი კანონების მიხედვით წესები მეტრაქტორეთა პასუხისმგებლობის შესახებ ტრაქტორის მდგომარეობისათვის.

საგეგმო ორგანოების მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი, 28 სექტემბერი. დამთავრდა საგეგმო ორგანოების მუშაკთა მე-6 სრულიად საკავშირო ყრილობა.

საბოლოო სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. **სტრუმილინის** მოხსენება 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების დამუშავების შედეგების შესახებ კომისიებში. გადაწყდა საბიუჯეტო შემოსავალი პირვანდელ ვარაუდთან შედარებით გადიდდეს 150 მილიონი მანეთით.

ყრილობამ კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები მიიღო საფუძვლად და მათი საბოლოო დამუშავება მიანდო სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

ამხ. კრჟიჟანოვსკის სიტყვა

ყრილობა დახურა ამხ. კრჟიჟანოვსკიმ.

„მომავალი წელიწადი,—სთქვა მან,— იქნება პროლეტარული აქტივობის შემდგომი გაშლის წელიწადი. 1929—30 წლის საკონტროლო ციფრებით ჩვენ ქვეყნის წინაშე ვაყენებთ ამოცანას, რომელშიც სიძნელეებთან ერთად გვაქვს მთელი რიგი შესაძლებლობანი ნაყოფიერი შრომისათვის, მე მგონია ამის თამასუქები ჩვენ თამამად შეგვიძლია. გავსცეთ, ვინაიდან დარწმუნებული ვართ, რომ მუშათა კლასი, მათ დაადასტურებს. სრულიად დარწმუნებული, რომ ეს ასე იქნება, მე ვამბობ: შევასრულებთ საკონტროლო ციფრებს და არა მარტო შევასრულებთ, არამედ გადავაჭარბებთ კიდეც" (ადს).

კოლმეურნეობათა მშენებლობის საკონტროლო ციფრები

მოსკოვი, 28 სექტემბერი. სრული საბუთებია იმის, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული. ხუთწლედის დამლევისათვის კოლექტიურად გაერთიანებული იქნება 22 მილ. ჰექტარი ნათესი; 1929—30 წელს კოლექტივებში გაერთიანებული იქნება 2.676.000 მეურნეობა, რაც ხუთწლიანი გეგმის 58 პროც. შეადგენს (ადს).

ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადება

მოსკოვი, 28 სექტემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს წინადადებით ახალი კოლხელშეკრულებების დადების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დაცვის, საწარმოს საერთო პირობების გაჯანსაღების, საბინაო და საკლუბო მშენებლობის სათანადოდ და დროულად გაშლის და ბავშთა ბაგების მშენებლობის საკითხებს.

კოლხელშეკრულებები დადებული და ხელმოწერილ უნდა იქნეს იმ ანგარიშით, რომ არა უგვიანეს 1930 წ. იანვრისა გამოკიდებული იქნეს ცეხებში და ხელზე დაურიგდეს მუშა-მოსამსახურეებს (ადს).

მუშათა დაწინაურების ახალი მეთოდი

მოსკოვი, 28 სექტემბერი. ელექტროქარხანამ შემოიღო მუშათა დაწინაურების ახალი მეთოდი. მან კავშირი დაამყარა ფინსახკომთან, სადაც სამუშაოდ გზავნის მუშათა ჯგუფებს, რომლებიც პერიოდულად იცვლებიან და უბრუნდებიან წარმოებას.

საკავშირო პროფსაბჭომ მოიწონა დაწინაურების ეს მეთოდი და საჭიროდ სცნო შუამდგომლობის აღძვრა სახკომსაბჭოს წინაშე—გამოიცეს სპეციალური კანონი 10.000 შტატიანი ადგილის გამოყოფის შესახებ საბჭოთა აპარატში მუშებისათვის, რომლებიც რიგ-რიგობით შესცვლიან ერთმანეთს.

საკავშირო პროფსაბჭომ დაადგინა სთხოვოს სახკომსაბჭოს—შექმნას სპეციალური კომისია ამ ღონისძიების გასატარებლად ცხოვრებაში (ადს).

წყალთა მეურნეობის საოპერაციო გეგმების განხილვის გამარტივება

მოსკოვი, 28 სექტემბერი. წყალთა მეურნეობის საოპერაციო გეგმათა განხილვის წესის გასამარტივებლად საკავშირო სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რათა შუა-აზიის ეკონომიურ საბჭოს და ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული საოპერაციო გეგმები საკავშირო საგეგმო კომისიაში წარდგენილ იქნენ არა უგვიანეს 15 სექტემბრისა, საგეგმო კომისიამ გეგმები სამი კვირის განმავლობაში უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად შრომისა და თავდაცვის საბჭოს. წვრიმალ სამუშაოთა ხარჯებს, რომლებიც არ აღემატება 300.000 მანეთს, ამტკიცებენ თვით შუა-აზიის ეკონომიური საბჭო და ამიერ-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭო (ადს).

წყალსადენი წყალტუბოში

წყალტუბო, 27 სექტემბერი. გადაწყდა წყალტუბოში წყალსადენის გაყვანის საკითხი. ამჟამად მიმდინარეობს წინასწარი გამოკვლევითი მუშაობა. წლის დამლევს დაიწყება მიწის სამუშაოები. მილების ჩალაგება განზრახულია 1930 წლის დასაწყისიდან. წყალტუბოს წყალსადენის ყველა სამუშაოთა ღირებულება ნავარაუდევია 60.000 მანეთის რაოდენობით (ადს).

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის
დღეს, კვირას, 29 სექტემბერს, კანტორა ღია იქნება
ხელის მოწერის მისაღებად დილის 8 ს. 3 საათამდე
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობა

ამხ. ა. რიკოვის მოხსენება მოსკოვის საოლქო საბჭოთა ყრილობაზე

> „მიმდინარე წლის შედეგების განხილვამ ცხადჰყო ბევრ დარგში ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შესაძლებლობა უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე ეს ჩვენის გეგმით არის გათვალისწინებული. ეს შეეხება სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების საქმეს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებას, ნავთისა და ნახშირის მრეწველობას და ზოგიერთ სხვა დარგს“.

ამხანაგებო! მე ვერ მოვახერხე გამოსვლა თქვენი ყრილობის მუშაობის დასაწყისში, მაგრამ კამათიდან და სხვა ამხანაგების გამოსვლებიდან გავიგე, რომ თქვენ მოგესალმათ მთელი რიგი დელეგაციები და ზოგიერთმა მათგანმა ესა თუ ის საჩუქარი მოგართვათ.

მოგესალმებით რა საკავშირო მთავრობის სახელით, მეც შემიძლია მოგართვათ მცირე საჩუქარი. ეს საჩუქარი მდგომარეობს იმაში, რომ მიმდინარე წლის შედეგების განხილვამ ცხადჰყო ბევრ დარგში ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შესაძლებლობა უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე ეს ჩვენის გეგმით არის გათვალისწინებული (მქუხარე ტაში). ეს შეეხება სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების საქმეს, სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებას, ფერადი მეტალურგიის განვითარებას, ნავთისა და ნახშირის მრეწველობას, და ზოგიერთ სხვა დარგს.

ჩემი გამოსვლის თემას შეადგენს მოკლე დახასიათება საბჭოთა კავშირის ურთიერთობისა ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყნებთან, უმთავრესად, იმ ქვეყნებთან, რომელთა პოზიციაც ჩვენს მიმართ თვალსაჩინოდ განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო სიტუაციის თავისებურობას. ეს, უპირველესად ყოვლისა, შეეხება იმ ამბებს, რომელთაც ადგილი აქვთ აღმოსავლეთში (აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე), შემდეგ — ინგლის - საბჭოთა დამოკიდებულებას.

ნანკინ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

რატომ არ ვღებულობთ გადამწყვეტ ზომებს

საკითხი ნანკინ - საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შესახებ სამართლიანად აღელვებს ჩვენი კავშირის მოსახლეობის ფართო მასებს, მით უფრო, რომ, ეს კონფლიქტი შედარებით დიდი ხანია ჩამოვარდა საბჭოთა მთავრობასა და ნანკინს შორის; და ჩვენი ურთიერთობა ჩინეთთან დღემდე არ არის მოგვარებული. ამ ბოლო დროს ხშირად მეკითხებიან: „რატომ არ ღებულობთ ისეთ ზომებს, რომელთაც ამ კონფლიქტის სასწრაფო ლიკვიდაცია მოჰყვება? რატომ არ გადადიხართ უფრო გადამჭრელ ზომებზე?“ საკავშირო მთავრობა არ მიმართავს უფრო გადამჭრელ ზომებს იმიტომ, რომ მოვალედ სთვლის თავს გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის. ჩვენ შევქმენით და სავსებით მოვამზადეთ სპეციალური არმია ჩინეთის საზღვართან. ეს არმია ზამთარში იმავე რაიონში დასარჩენად ემზადება. მაგრამ სანამ არსებობს ამ კონფლიქტის მშვიდობიანათ გადაჭრის მცირე შესაძლებლობაც კი, სწორი არ იქნება მივმართოთ უფრო სერიოზულ ზომებს მის გადასაჭრელად. მეორეს მხრით, ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ჩინეთის წინადადებანი, რომლებიც არ ჰქმნიან ბაზისს კონფლიქტის გადასაჭრელად, რადგან ჩინეთს სურს მოლაპარაკების წარმოება ისე, რომ მოლაპარაკების დროს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე დარჩეს ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ჩინეთის ხელისუფლების ძალმომრეობითი მოქმედების წყალობით, არ შეგვიძლია მივიღოთ ჩინეთის წინადადებანი იმ პირველ და ერთად - ერთი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულების უმსგავსოთ დარღვევის გამო, რომელიც ჩინეთმა ნებაყოფლობით დადო ჩვენთან. ასეთ პირობებში შეუძლებელია მოლაპარაკების წარმატებით ჩატარება. ჩვენ თავიდანვე მოლაპარაკების წინასწარ პირობად წამოვაყენეთ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც კონფლიქტამდე არსებობდა. ჩვენ თანახმანი ვიყავით მოლაპარაკებაზე, თუ ჩვენი მინიმალური მოთხოვნა შესრულდებოდა, ე. ი. თუ, ხელშეკრულებათა თანახმად, გზის მმართველად დაინიშნებოდა ჩვენი წარმომადგენელი. გზის მმართველს შეუძლია მოგვცეს იმის გარანტია რომ მოლაპარაკება მთელი კონფლიქტის გადასაჭრელად წარმატებით დამთავრდება. ეს ის მინიმუმია, რომლის უზრუნველყოფას მოითხოვს თვით საქმის ინტერესი, და ის გარემოება, რომ ნანკინის მთავრობამ ეს მინიმუმი არ მიიღო, მოწმობს, რომ მას თვით მოლაპარაკება კონფლიქტის გაჭიანურების საშუალებად მიაჩნია.

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის გამო შექმნილი კონფლიქტი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი წარმოადგენს, ასე ვსთქვათ, ნანკინის მთავრობასთან ჩვენი ურთიერთობის უკანასკნელ აქტს მას შემდეგ, რაც ჩან-კაი-შიმ ჩინეთის რევოლუცია ჩააშხო და ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. ამ მომენტიდან ჩან - კაი-შის პოლიტიკა წარმოადგენს ანტი - საბჭოთა პროვოკაციული მოქმედების გრძელ ჯაჭვს. სავსებით ცხადია, რომ ამას ლოღიკურად უნდა მოჰყოლოდა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა ორ სახელმწიფოს შორის. მოვაგონებთ თუნდაც კანტონში მომხდარ „შემთხვევას“, როდესაც ჩინეთის გენერლებმა, ნანკინის მთავრობის ლოცვა-კურთხევით, გაძარცვეს ჩვენი საკონსულო და მხეცურად დახოცეს ჩვენი თანამშრომლები, მათ შორის ვიცე - კონსული. თქვენ, ალბად, კარგად გეხსომებათ სხვა თავდასხმებიც ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე, საკონსულოსა და სამეურნეო დაწესებულებებზე, გეხსომებათ საბჭოთა მოქალაქეების გაუსამართლებლად დაპატიმრება, მათ მიმართ ძალმომრეობა და სხვ.

მთელი ამ პროვოკაციული ანტი - საბჭოთა გამოსვლების დაგვირგვინებას წარმოადგენს ჩინეთის გენერლების მიერ ბანდიტური ძალმომრეობით ხელში ჩაგდება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზისა და ამის შემდგომი ამბები. ნანკინის მთავრობის პოლიტიკას, იმ მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ჩინეთის რევოლუციის აწიოკების საფუძველზე წარმოიშვა, ახასიათებს გამძაფრებული ბრძოლა ჩინეთის მშრომელი მასების რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ და სიძულვილი მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოსადმი. აქედან წარმოიშვა ჩინეთის გენერლების ბრძოლა საბჭოთა მთავრობასთან, საბჭოთა რესპუბლიკასთან, რომელიც იყო და რჩება ჩინეთის ფართო მასების იდეალად და სულის ჩამდგმელად მათ რევოლუციონურ ბრძოლაში. ჩინეთ - საბჭოთა კავშირის კონფლიქტი მზადდებოდა ფარულად, მას აშკარა მფარველობას უწევდნენ იმპერიალისტები, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული სიცრუისა და ჭორის ჩვეულებრივი კამპანიების საშუალებით. ამ კამპანიებს ჯამი გაუკეთდა რკინის გზის ძალმომრეობით ხელში ჩაგდებისა და ამის გამო ჩინეთთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ერთ დოკუმენტში, რომელიც ამა წლის 19 აგვისტოს ამერიკის მთავრობას გადასცა ჩინეთის ელჩმა ამერიკაში. ამ დოკუმენტში არის განცხადება, ვითომ: ...„ადგილობრივმა (ჩინეთის) ხელისუფლებამ გაჩხრიკა ხსენებული (ხარბინის) საკონსულო და აღმოაჩინა მრავალი საიდუმლო დოკუმენტი, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა განზრახვათა გეგმებს: უპირველესად ყოვლისა, მკვლელთა ბანდის მოწყობას, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ყველა თვალსაჩინო პირს ნანკინსა, მუკდენსა და სხვა მთავარ ქალაქებში, შემდეგ — საიდუმლო (სამხედრო) ნაწილის მოწყობას, რომლის ამოცანა იქნებოდა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის განიარაღება“. (სიცილი).

საკმარისია მხოლოდ გადაიკითხოთ ეს ცნობა და გაიგებთ, რომ იგი ემყარება უხეშად შეთითხნილ ანტი - საბჭოთა ყალბ საბუთებს, რომლებიც აგებულნი არიან არაჩვეულებრივად ბრიყვ და აშკარად უაზრო ბრალდებებზე. ეს ცნობა ახასიათებს აგრეთვე იმ საშუალებას, რომლითაც ნანკინის მთავრობა ასაბუთებს თავის პოლიტიკას ჩვენს მიმართ.

სხვა არგუმენტების უქონლობის გამო, კაპიტალისტური დიპლომატია თანდათან უფრო თამამად მიმართავს ყალბ საბუთებს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მიმართ კაპიტალისტური პოლიტიკის უეცარი შეცვლის მომენტებში. არ არის გასაკვირველი, თუ ნანკინის მთავრობა, საკუთარ ქვეყანაში რევოლუციის ჩამხშობი მთავრობა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავისი უხეში გამოსვლის გასამართლებლად იმეორებს მხოლოდ იმ ჩემბერლენებისა და ხიქსების მეთოდებს, რომელთაც, სახელი გაითქვეს ანტი - საბჭოთა ყალბი საბუთებით.

ასეთია ნანკინის მთავრობის დამოკიდებულება ჩვენდამი, იმ მთავრობისა, რომელიც, ვიმეორებ, ჩინეთის რეაქციის გამომხატველია. მაგრამ ჩინეთში მოიპოვებიან მშრომელთა ფართო მასები, რომლებიც დიამეტრალურად წინააღმდეგი აზრისანი არიან ჩვენზე. ამასწინად უცხოეთის გაზეთებში დაიბეჭდა ჩინეთის უდიდესი რევოლუციონერის სუნ - იატ-სენის ქვრივის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

...„მაშინ, როდესაც ჩაგრული ხალხები მტკიცე ფრონტს ჰქმნიან იმპერიალისტური ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, ნანკინის რეაქციონური მთავრობა მთელ თავის ძალ-ღონეს უერთებს უცხოელ კაპიტალისტებს ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩინელი მასების უხეშად ჩახშობის საქმეში. არასოდეს კონტრ-რევოლუციონერი გენერლების ლიდერების მოღალატური ბუნება ასე უსირცხვილოდ არ გამოაშკარავებულა მთელი ქვეყნის წინაშე, როგორც ამჟამად. უღალატეს რა ნაციონალურ რევოლუციას, ისინი გადაიქცნენ იარაღად იმპერიალისტების ხელში და შეეცადნენ გამოეწვიათ ომი საბჭოთა კავშირთან. მაგრამ ჩინეთის მასები არ შეუშინდებიან რეპრესიებს, არ გაებმებიან ცრუ პროპაგანდის ქსელში და მხოლოდ რევოლუციის მხარეზე იბრძოლებენ. ტერრორიზმი მხოლოდ ხელს შეუწყობს უდიდესი მასების მობილიზაციას და განამტკიცებს ჩვენს გადაწყვეტილებას — ახლო მომავალში ბოლო მოვუღოთ დღევანდელ სისხლიან რეჟიმს“.

სუნ - იატ-სენის ქვრივის ეს დეპეშა არსებითად გამოხატავს ჩინეთის მშრომელი კლასების განწყობილებას როგორც ჩან-კაი-შის მთავრობის მიმართ, ისე ჩვენი სახელმწიფოს მიმართ.

ჩინეთის იმ გენერლების ხროვას, რომელნიც ჩვენ უაზრო ბრალდებებს გვიყენებენ, მხარს უმაგრებენ მე-2 ინტერნაციონალის სოციალ - დემოკრატიული ლიდერები, რომელნიც, ჩან-კაი-შისთან ერთად, ჩვენ „წითელ იმპერიალიზმში“ გვდებენ ბრალს.

უაზრობაა თვით ამ ორი სიტყვის — „წითელი“-სა და „იმპერიალიზმი“-ს შეერთება. აშკარაა, სიტყვა „წითელი“ იხმარება რევოლუციონურის სინონიმად, ხოლო საბჭოთა კავშირის მიმართ — რევოლუციონური პროლეტარული სინონიმად, „იმპერიალიზმი“ კი ნიშნავს უცხოეთის ფინანსიური კაპიტალის ბატონობას სხვა ქვეყნებზე და ამ კაპიტალის მიერ ხსენებული ქვეყნების გაძლიერებულ ექსპლოატაციას. რას წარმოადგენს იმპერიალიზმი ჩინეთში? იმპერიალიზმი ჩინეთში გამოიხატება, მაგალითად, ეგრედწოდებულ ექსტერიტორიალობაში უცხოელთათვის, ე. ი. იმაში, რომ ჩინეთის სასამართლოს არ შეუძლია უცხოელთა გასამართლება, აგრეთვე იმაში, რომ უცხოელნი განთავისუფლებულნი არიან პირდაპირი და მრავალი სხვა გადასახადისაგან. ამჟამად ჩინეთი ჯერ კიდევ არ სარგებლობს საბაჟო დამოუკიდებლობით. საბაჟო შემოსავალს კონტროლს უწევენ უცხოელი კაპიტალისტები და ამ შემოსავალს იღებენ ეს კაპიტალისტები და არა ჩინელები.

ეხლანდელი ჩინეთი

ჩინეთი დღემდე იხდის ვეებერთელა საბოქსერო კონტრიბუციას, რომელიც ამჟამად უზრუნველყოფილია საბაჟო შემოსავლით, ხოლო საბაჟოების ადმინისტრაციის სათავეში ჩაყენებულნი არიან უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტები. უცხოეთის კონტროლი დაწესებულია აგრეთვე მარილის გადასახადის ამკრეფ აპარატზე, ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობაზე და ზოგიერთი რკინის გზის მართვა - გამგეობაზედაც. ჩინეთის მრავალ უდიდეს ქალაქში (შანხაი, ტიანძინი, ხანკოუ და სხვ.) გამოყოფილია მიწის ფართო ნაკვეთები — უცხოეთის კონცესიებისათვის. ასეთი კონცესიები ჩინეთის ხელისუფლებას არავითარში არ ექვემდებარებიან და იქ შეუფერხებლად ბატონობს იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოს ხელისუფლება, რომელსაც კონცესია ეკუთვნის. კონცესიებს იცავენ უცხოელთა გარნიზონები და უცხოელთა პოლიცია. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შანხაის საერთაშორისო კონცესიას ანუ სეტლმენტს, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ „სახელმწიფოს სახელმწიფოში“ და, რომელსაც ფაქტიურად ინგლისელები მართავენ. სეტლმენტის ტერიტორიაზე ცხოვრობს ერთი მილიონი ჩინელი და სულ რაღაც რამდენიმე ათი ათასი უცხოელი, ფაქტიურად კი ჩინელებს არავითარი გავლენა არა აქვთ სეტლმენტის მართვა - გამგეობაზე. უფრო მეტიც — სეტლმენტის ტერიტორიაზე მცხოვრები ჩინელები ჩინეთის სასამართლოს კი არ ექვემდებარებიან, არამედ განსაკუთრებულ დროებით სასამართლოს, რომელშიაც ხელმძღვანელი გავლენა ეკუთვნის უცხოელებს.

პეკინში არსებობს განსაკუთრებული დიპლომატიური უბანი, რომელიც სრულებით არ ექვემდებარება ჩინეთის ხელისუფლებას. ჩინეთის პოლიციას და ჩინეთის ჯარს ამ უბანში ისე არ შეუშვებენ, თუ ამისთვის დიპლომატიურმა კორპუსმა არ მისცა სპეციალური ნებართვა (აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ კორპუსის არსებობის განმავლობაში ასეთი ნებართვა გაცემულ იქნა მხოლოდ ერთხელ — 1927 წელს საბჭოთა საელჩოზე თავდასხმისთვის).

ჩინეთის ტერიტორია ღიაა უცხოეთის ჯარისათვის. საბოქსერო ოქმის თანახმად, უცხოეთის მისიებს უფლება აქვთ სპეციალური გარნიზონები იყოლიონ როგორც თვით პეკინში, ისე მთელი იმ რკინის გზის გაყოლებაზე, რომელიც პეკინს ზღვასთან აერთებს. გარდა ამისა, უცხოეთის ჯარის განუსაზღვრელი რაოდენობა შეიძლება გადმოსხმულ იქნას შანხაის უცხოელთა სეტლმენტში და უცხოელთა ყოველ კონცესიაში, სადაც ყოველთვის დგანან უცხოელთა გარნიზონები. ჩინეთის მთელი საზღვაო სანაპირო ხაზი და შინაგანი წყლები ღიაა უცხოეთის სამხედრო გემებისათვის, კერძოდ მდინარე იანძიზე დგანან დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების მუდმივი სამხედრო ფლოტილიები.

უკანასკნელი წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმპერიალისტები ყოველი შემთხვევის დროს იყენებენ ჯარს თავიანთი პრივილეგიების დასაცავად და ჩინელთა დასამონებლად. ყველას კარგად ახსოვს ჩინეთის ქალაქების მთელი უბნების მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტა, რასაც უცხოელი სახელმწიფოები ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად სჩადიოდნენ ჩინეთის ტერიტორიაზე. ასეთი ზომები მომავალშიაც იქნება მიღებული, თუ ჩინელმა ხალხმა არ გაინთავისუფლა თავი იმპერიალისტებისა და მათი დამცველებისაგან.

უცხოელი სახელმწიფოების ყველა ეს უფლება და პრივილეგია უზრუნველჰყოფს იმპერიალისტური ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას ჩინეთში. რაც შეეხება უცხოეთის კაპიტალის ეკონომიურ პოზიციებს, ეს პოზიციები გამოიხატება იმაში, რომ უცხოელებს თითქმის სავსებით ჩაგდებული აქვთ ხელში სამთო მრეწველობისა და მძიმე ინდუსტრიის დიდი საწარმოები, ბამბის საქსოვი მრეწველობის თვალსაჩინო ნაწილი და მსუბუქი ინდუსტრიის ზოგიერთი სხვა დარგი. უცხოელთა ხელშია ბევრი რკინის გზის კონტროლიც. ჩინეთისათვის იმპერიალიზმის ბატონობა წარმოადგენს ჩინელთა სიღატაკესა და უუფლებობას, ჩინელი ფეოდალებისა და იმპერიალიზმის დამქაშების მცირე ჯგუფის გამდიდრებას.

იმპერიალისტების ბატონობას ჩინეთში ხელს უწყობს მეორე ინტერნაციონალი, რომლის ლიდერებიც ევროპის მთავარი ქვეყნების მთავრობათა წევრები არიან.

ის ხალხი, რომელიც პასუხისმგებელია არა თუ ჩინეთის რევოლუციის ჩახშობისათვის, არამედ უცხოელთა ჯარის გაუგონარი პარპაშისათვისაც სხვის ქვეყანაში — ჩინეთში, იმდენ უტიფრობას იჩენს, რომ ჩვენ გვისაყვედურებს, ვითომ „წითელი იმპერიალიზმის“ პოლიტიკას ვანხორციელებთ იქ.

ჩვენი პოლიტიკა ჩინეთის მიმართ გამოთქმულ იქნა 1919 წლის 25 ივლისის სპეციალურ დეკლარაციაში, რომლის შედგენაშიაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ვლადიმირ ილიჩმა. ამ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა უარს აცხადებს მიიღოს ჩინეთისაგან კონტრიბუცია 1910 წლის ბოქსერთა აჯანყებისათვის და იძულებულია მესამედ გამოაცხადოს ეს, იმიტომ, რომ, როგორც ჩვენამდე მოსული ხმებიდან ჩანს, მიუხედავად ჩვენი უარისა, ამ კონტრიბუციის მოკავშირენი ისევ ახდევინებენ ჩინეთს, რათა დააკმაყოფილონ მეფის ყოფილი პეკინელი ელჩისა, და მეფის ყოფილი კონსულების სურვილები“.

„საბჭოთა მთავრობა სპობს რუსი ვაჭრების ყოველგვარ განსაკუთრებულ პრივილეგიებს, ყველა ფაქტორიას ჩინეთის მიწა-წყალზე. ვერც ერთი რუსი მოხელე, მღვდელი ან მისიონერი ვერ გაბედავს ჩაერიოს ჩინეთის საქმეებში, ხოლო თუ იგი დანაშაულს ჩაიდენს, გასამართლებულ უნდა იქნას ადგილობრივ სასამართლოს მიერ. ჩინეთში არ უნდა არსებობდეს სხვა ხელისუფლება, სხვა სასამართლო, ჩინელი ხალხის ხელისუფლებისა და სასამართლოს გარდა“...

„თუ ჩინელ ხალხს სურს, რუსეთის ხალხის მსგავსად, გახდეს თავისუფალი და თავი დააღწიოს იმ ბედს, რომელიც მას ვერსალში მოუმზადეს, რათა იგი მეორე კორეად ან მეორე ინდოეთად გადააქციონ, მან უნდა გაიგოს, რომ მისი ერთად - ერთი მოკავშირე და მოძმე თავისუფლებისათვის ბრძოლაში არის რუსეთის მუშა და გლეხი და მისი წითელი არმია“.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზის ისტორია

ამ დეკლარაციაში გამოთქმულ პოლიტიკიდან საბჭოთა კავშირის მთავრობას არც ერთხელ ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია და არც გადაუხვევს. თავის ურთიერთობას ჩინეთთან საბჭოთა კავშირი ამყარებდა სრული თანასწორობისა და ურთიერთი პატივისცემის პრინციპებზე და თავს იკავებდა ჩინეთის სუვერენიტეტის რაიმე შელახვისაგან. ჩინელმა ხალხმა მშვენივრად იცის, რომ თავის ბრძოლაში უთანასწორო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ მას ჰყავდა მხოლოდ ერთი მოკავშირე — საბჭოთა ქვეყანა. საბჭოთა პოლიტიკამ გადაჭრით შეარყია ჩინეთის იმპერიალისტური ექსპლოატაცია.

თვალსაჩინო მაგალითს იმ პრინციპებისას, რომლებსაც ეყრდნობოდა საბჭოთა პოლიტიკა ჩინეთში, წარმოადგენს სწორედ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა, რომლის ხელში ჩაგდებასაც ამჟამად ჩინელი გენერლები სცდილობენ.

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა გაყვანილია ცარიზმის დროს და ეყრდნობოდა მუშებისა და გლეხების ექსპლოატაციას, ამასთან მეფის მთავრობა მთლიანად ჰფლობდა არა თუ რკინის გზას, არამედ ვეებერთელა ზოლსაც მის გასწვრივ და ჰყავდა იქ თავისი ჯარი, თავისი პოლიცია, თავისი სასამართლოები. ჩინეთის ხელისუფლებას მანჯურიაში არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა გზასთან და გზისთვის გამოყოფილი მთელი ზოლი გადაიქცა რუსეთის კოლონიად, რომელშიაც მეფის ჟანდარმები პარპაშობდნენ.

ჩვენ ეს გზა ჩინეთის მთავრობასთან შეთანხმებით გადავაქციეთ, ჯერ - ერთი, წმინდა კომერციულ საწარმოდ, მეორე — ისეთ საწარმოდ, რომელიც იმყოფება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის საერთო გამგებლობაში. გამგეობის სათავეში დგანან თავმჯდომარე — ჩინელი და თავმჯდომარის ამხანაგი — საბჭოთა მოქალაქე, გზის მმართველი — საბჭოთა მოქალაქე, ხოლო მისი თანაშემწე — ჩინელი. გზიდან შემოსული მოგება სანახევროდ იყოფა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. თვით გზაზე ჩინელებთან საერთო მართვა - გამგეობის დროს გატარდა მრავალი ღონისძიება, რამაც აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა პირველხარისხოვან მაგისტრალად გადააქცია. ადმინისტრაციამ მაღალ დონეზე აიყვანა გზის შემოსავლიანობა და მრავალ ზომას იღებდა მუშათა და მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის ეროვნების განურჩევლად. აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე შემოღებულია რვა საათის სამუშაო დღე, თვალსაჩინოდ გადიდებულია სამუშაო ხელფასი, გაუმჯობესებულია საბინაო პირობები. ჩინელი და სხვა ეროვნებათა მუშები უფლებრივად გათანასწორებულ იქნენ სამსახურისა და, კერძოდ, ხელფასის მხრით; შემოღებულ იქნა ყოველწლიური ორკვირიანი შვებულება იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც რკინის გზაზე დაჰყვეს არა ნაკლებ ექვსი თვისა, გამოყოფილ იქნა რამდენიმე კლიმატიური სადგური მუშებისა და მოსამსახურეების უფასო დასვენებისათვის. ჩვენ განვახორციელეთ შრომის კანონების კოდექსის უმთავრესი დებულებანი. აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მაგალითმა პირველად დაანახვა მთელს მსოფლიოს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მუშათა კლასის პოლიტიკა, ეროვნებათა სრული თანასწორობის პოლიტიკა. ეხლა გაზეთებში დრო და დრო იბეჭდება ცნობები იმის, შესახებ, რომ აქა-იქ ლაპარაკობენ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ეგრეთწოდებული ინტერნაციონალიზაციის შესახებ და ვითომ ჩინეთის ზოგიერთი წრეები, მზად არიან მხარი დაუჭირონ ამ ღონისძიებას.

მართლაცა, საერთაშორისო კაპიტალის თვალსაზრისით, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ჩამოვარდნილი კონფლიქტი არსებითად ნიშნავს ბატონობის იმპერიალისტური მეთოდების გავრცელების ცდას ჩინეთზე და აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე. სრულიად უდავოა, რომ ეს რკინის გზა ან იმუშავებს ჩინეთის ეროვნულ ინტერესებთან შეფარდებით და ამ შემთხვევაში, მისი მუშაობა შეთანხმებული იქნება მუკდენის ხელშეკრულებასთან, რომელიც გულისხმობს საერთო სარგებლობას, ან იგი იმპერიალისტების კუთვნილებად გადაიქცევა და მაშინ იმპერიალისტები ისევე გამოიყენებენ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზას, როგორც ყველა თავის საკონცესიო წამოწყებას იყენებენ ექსპლოატაციის მიზნით.

იმპერიალიზმის უშუალო დაინტერესებამ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის საქმეებით თავი იჩინა იმ ამბების დროს, რომლებიც დაკავშირებულია ერთა ლიგის მორიგი სესიის მოწვევასთან. ჟენევაში ჩინეთის დელეგაციას მეთაურობს უ - ჯაო-ჩუ, რომელიც სამართლიანად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის დაუძინებელ მტრად და უცხოეთის კაპიტალის გავლენის გამტარებლად ნანკინის მთავრობაში. უ - ჯაო-ჩუს ჟენევაში დემონსტრატიული თავაზიანობით შეხვდნენ; ეჭვს გარეშეა, მისი საშუალებით ჩინეთის მთავრობაზე გავლენას ახდენდნენ, რომ აეძულებინათ იგი — უფრო აგრესიულ პოზიციას დასდგომოდა საბჭოთა კავშირის მიმართ. ჟენევიდან მიღებული ცნობები გვიჩვენებდნენ, რომ ლიგის სვე-ბედის გამგენი მეტისმეტად სპეციფიურ ინტერესს იჩენენ ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტისადმი. ლიგა ვერ ბედავს ამ კონფლიქტში ოფიციალურად ჩარევას, მაგრამ არაოფიციალურად იგი ცდილობს ჩინეთის დელეგაციის აქტივობა სწორედ ამ კონფლიქტის ხაზით მიმართოს, რათა მისი ყურადღება უკუაქციოს უთანასწორო ხელშეკრულებათა არასასიამოვნო პრობლემისაგან.

როგორც ვიცით, ჩინეთის იმ ცდას, რომ აღეძრა უთანასწორო ხელშეკრულებათა საკითხი (ერთა ლიგის წესდების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებათა გადათვალიერების მოთხოვნის საშუალებით), ლიგის ყველაზე უფრო გავლენიანი დაჯგუფებანი აშკარა უარყოფით შეხვდნენ და არავითარი წარმატება არ მოჰყვა მას. სწორედ ამიტომ ჟენევაში განსაკუთრებულის გულმოდგინებით ეწევიან ინტრიგებს, რომ უფრო მეტად გაამწვავონ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი. ცხადზე უცხადესია, ეს ინტრიგა, თავისი საბოლოო მიზნების მიხედვით, დაკავშირებულია განსაზღვრული იმპერიალისტური სახელმწიფოების მისწრაფებასთან — გამოიყენონ ეს კონფლიქტი იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფორმით ხელში ჩაიგდონ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა.

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე შექმნილი კონფლიქტი ამჟამად საერთაშორისო კაპიტალისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის აქტივობის ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში. ჩან-კაი-შის მთავრობის ზურგს უკან სდგას საერთაშორისო კაპიტალი და ეს საერთაშორისო კაპიტალი ცდილობს — ერთის ხელით უფრო მაგრა გაუჭიროს თოკი ჩინეთის ხალხს, ხოლო მეორე ხელით — ყელში მისწვდეს საბჭოთა კავშირის ერებს, რომლებმაც კისრიდან ჩამოიგდეს თავიანთი და უცხოეთის კაპიტალისტების უღელი. ამ გარემოებით, აიხსნება ის სირთულე, ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ამბებსა და მთელი კონფლიქტის შედეგს მოჰყვა. ეს გარემოება შუქსა ჰფენს აგრეთვე იმ ტაქტიკას, რომელსაც ადგია ჩან - კაი-შის მთავრობა და რომლის მიზანია კონფლიქტის გაჭიანურება და გამწვავება.

მდგომარეობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტი უკვე ორ თვეზე მეტია, რაც დაიწყო. მტკიცე და ამავე დროს მშვიდობიანმა პოზიციამ საბჭოთა მთავრობისამ, რომელიც არ დაერიდა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტას, ჩინელი თავდამსხმელნი თავიდანვე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა, როგორც გარეშე ქვეყნების, მიმართ, ისე, უმთავრესად, თავისი საკუთარი საზოგადოებრივი აზრის მიმართ. ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტმა, რომელიც შეჰქმნა ჩინელი ონავრების უგნურმა ავანტიურისტულმა პოლიტიკამ, გააღრმავა პოლიტიკური და სამეურნეო კრიზისი თვით ჩინეთში, კერძოდ, მანჯურიაში.

ამ კრიზისის ზეგავლენით და საზოგადოებრივი აზრის დაწყნარების მიზნით, ჩინეთის ხელისუფალნი იძულებულნი იყვნენ შემარიგებელი წინადადებით გამოსულიყვნენ. ჯერ კიდევ 22 ივლისს მუკდენის მთავრობამ წინადადება მოგვცა — მოგვეწესრიგებინა კონფლიქტი მოლაპარაკების გზით, რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა წინანდელი მდგომარეობის აღდგენა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე და ამ გზის საბჭოთა მმართველის და მის თანაშემწის დანიშვნა. მაგრამ ნანკინი დაინტერესებული არ იყო კონფლიქტის ლიკვიდაციით. თუმცა თავისი სამშვიდობო პოლიტიკის ერთგულმა საკავშირო მთავრობამ დათმობის მაქსიმუმი გამოიჩინა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან მუკდენის მთავრობამ საჩქაროდ უკან წაიღო თავისი წინადადება. ამის შემდეგ ნანკინელ დიპლომატებს მთელს მსოფლიოში თავი მოჰქონდათ, რომ უკანასკნელ წუთს მათ გავლენა მოახდინეს მუკდენზე და აიძულეს იგი — უარეყო თავისი წინადადებანი.

ჟურნალი „ტრანსპასიფიკ“-ი, რომელიც ტოკიოში გამოდის, 29 აგვისტოს ნომერში ასე გვისურათებს ნანკინისა და მუკდენის ურთიერთობას:

„გენერალ ჩან - კაი-შის სურს — მუკდენის ახალგაზრდა მმართველი გენერალი ჯან - სიუე - ლიანი ჩამოაშოროს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთის სამ პროვინციაში და ნანკინის უშუალო კონტროლი დააწესოს ამ რაიონში. ეს მისწრაფება დაამტკიცა ჩინეთ - რუსეთის ეხლანდელმა კონფლიქტმა, რომელიც წარმოიშვა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებამ ჩინეთის მიერ.

„ნანკინმა ამას წინათ გადასწყვიტა — აღმოსავლეთის პროვინციებში გაგზავნოს არმია, 100.000 კაცი ჯან-სიუე-ლიანის დასახმარებლად; ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს ჩან - კაი-შის შეთქმულებას; მისი მიზანია — გაავსოს მანჯურია თავისი არმიით მუკდენელი მილიტარისტისათვის დახმარების მომიზეზებით და, თუ მართლა, შეტაკება მოხდება ჩინეთსა და რუსეთს შორის, აღმოსავლეთის სამი პროვინცია დაუქვემდებაროს ნანკინის პოლიტიკურ და სამხედრო კონტროლს.

„ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის დაწყებიდანვე ნანკინს განსაკუთრებული და შეურიგებელი პოზიცია უჭირავს საბჭოთა რუსეთის მიმართ, რათა, როგორც იწყებიან, მუკდენი ცუდ მდგომარეობაში ჩააყენოს, რადგან კონფლიქტის გაჭიანურება ჩჟან - სიუე-ლიანს ასუსტებს როგორც ფინანსიური, ისე სამხედრო მდგომარეობის მხრით“.

შინაური მიზნებისათვის და თვით ჩინეთში თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად ნანკინის მთავრობისათვის ეხლა საჭიროა დარწმუნებული ჰყავდეს მოსახლეობა, რომ მოლაპარაკება სწარმოებს და მალე დამთავრდება, რომ ესა და ეს რწმუნებული აქა და აქ მიდის და საკითხი უბრალო რამეზედაა დამოკიდებული. იგი ცდილობს შეჰქმნას მოლაპარაკების ილიუზია და ამით დაამშვიდოს ჩინეთის მოსახლეობა.

ჩვენის ცნობებით, ნანკინი უკმაყოფილოა იმით, რომ ჩვენ მთლიანად ვაქვეყნებთ ყველა დოკუმენტს ჩინეთის კონფლიქტის შესახებ. ამ უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ დოკუმენტების უბრალო გამოქვეყნება სავსებით ააშკარავებს ნანკინის მთავრობის თვალთმაქცობას. საიდუმლო დიპლომატია საერთოდ მავნებელია და მეტადრე მავნებელი იქნებოდა იგი ამ შემთხვევაში. საიდუმლო დიპლომატიის დახმარებით ნანკინის მთავრობა საშუალებას ეძებს საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად.

ნანკინი სცდილობს დააყენოს საბჭოთა მთავრობა საიდუმლო დიპლომატიის გზაზე, რადგანაც ეს ხელს შეუწყობდა ნანკინს — დაემალა თავისი მანევრები და, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ნანკინი ყოველ ახალ წინადადებაში იმის საწინააღმდეგოს ამბობს, რაც წინა წინადადებაში ამბობდა. გაზეთებიდან უკვე იცით, რომ ჩვენზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთ საშუალებად ჩინეთის მთავრობას მიაჩნია სრულიად არაჩვეულებრივი დევნა და შევიწროება საბჭოთა იმ მოქალაქეებისა, რომლებიც კონფლიქტის დროს ჩინეთის ტერიტორიაზე იყვნენ.

ჩვენ ცნობები გვაქვს საბჭოთა მოქალაქეების მასიური დაპატიმრების, გაუსამართლებლად დახვრეტის, დამცირებისა და მათზე ძალდატანების მოხდენის შესახებ.

ჩინეთის გენერლების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებას თან მოჰყვა არაჩვეულებრივად ველური უმსგავსოებანი და უკანონობანი, საბჭოთა მოქალაქეების ხოცვა, ძარცვა და ცემა-ტყეპა. მათ მასიურად აპატიმრებენ, გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ამწყვდევენ სატუსაღოებში და ჰგზავნიან საკონცენტრაციო ბანაკში.

ამავე დროს ჩინეთის იმპერიალისტები ჰქმნიან თეთრგვარდიელთა ბანდებს, რომლებიც ჩინეთის ჯარის ნაწილების დახმარებით თავს ესხმიან საბჭოთა ტერიტორიას.

ჩვენ არა ერთხელ მივაქციეთ ჩინეთის მთავრობის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ მისი წარმომადგენელნი მეტის-მეტად სახიფათო მდგომარეობას ჰქმნიან საზღვარზე, დაუსახელეთ საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმის კონკრეტიული ფაქტები და მოვითხოვეთ თეთრგვარდიელთა ბანდების დაშლა, თავდასხმის შეწყვეტა. ჩინეთის მთავრობამ ვერ უარჰყო ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ფაქტები, მაგრამ არც არავითარი ზომები მიიღო.

ჩვენს ტერიტორიაზე ყოველ თავდასხმას, ჩვენი საზღვრისაკენ ყოველი ტყვიის გამოსროლას ჩვენ ისე ვუპასუხებდით და ვუპასუხებთ, რომ ნანკინის მთავრობას პროვოკაცია დავაშლევინოთ.

ჩვენი პოლიტიკის მთავარი ხაზი ჩინეთის მიმართ ჩემი მოხსენების დასაწყისშივე დავახასიათე და ვსთქვი: შემოდგომის დაწყების გამო ბლიუხერის არმიას არა თუ უკან არ გამოვიწვევთ, არამედ მას განვამტკიცებთ, გავაძლიერებთ და უფრო უკეთესად მოვამზადებთ საბრძოლველად (მქუხარე ტაში).

ჩვენ საომარ მოქმედებას არ დავიწყებთ, ვიდრე მცირეოდენი იმედი მაინც გვექნება, რომ მშვიდობიანად მოვაწესრიგებთ კონფლიქტს (მქუხარე ტაში).

მაგრამ ჩვენ არ დავთანხმდებით იმ პირობებზე, რომლებსაც დღემდე გვთავაზობდა ჩინეთის მთავრობა და რომელთა მიღება არსებითად იქნებოდა ჩვენი მთავრობის კაპიტულაცია ჩინეთის გენერლების წინაშე (მქუხარე ტაში).

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ნანკინის მთავრობასთან კონფლიქტით ჩვენ აღმოსავლეთ საზღვარზე გამოინასკვა ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი კვანძი. მეორე მხარეს, დასავლეთით, არის ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის მეორე კვანძი. მე მხედველობაში მაქვს პროლეტარიატის დიქტატურის მთავრობისა და ინგლისის ე. წ. „მუშათა მთავრობის“ ურთიერთ დამოკიდებულება.

როგორც თქვენც იცით, ინგლისის კონსერვატიული კაბინეტის საგარეო პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის მიმართ გაკოტრება განიცადა. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტამ და ანტი-საბჭოთა ბლოკის შექმნამ დასახულ მიზნებს ვერ მიაღწიეს. ურთიერთობის გაწყვეტისაგან, პირველ ყოვლისა, ინგლისის მრეწველობამ იზარალა, რამაც ინგლისის ბურჟუაზიის ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდმა, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლას მოჰყვა, დაამტკიცა, რომ ამ ჩაშლას არავითარ შემთხვევაში არ შეუფერხებია მეურნეობის ზრდა ჩვენს ქვეყანაში და სავაჭრო და სხვა ურთიერთობის განვითარება სხვა ქვეყნებთან, გარდა ინგლისისა. სწორედ ამ ხნის განმავლობაში გააკეთა ჩვენმა მეურნეობამ უდიდესი ნახტომი, ჩვენ წინ უსწრებთ ამ ცოტა ხნის წინად დამტკიცებულ ხუთწლიან გეგმას და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა ქალაქად და სოფლად მიდის უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ეს ოდესმე იყო.

ამასთან ერთად კონსერვატორების მიერ აღებულმა კურსმა (ბოიკოტის გამოცხადება საბჭოთა ქვეყნისთვის და სამხედრო კავშირის დადება ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, საფრანგეთთან სამხედრო კავშირის განახლებით ურთიერთობის გამწვავება ამერიკის შეერთ. შტატებთან) იმდენად მოაახლოვა ომის პერსპექტივა, რომ ინგლისის მოსახლეობის ზოგიერთი წრეები გაიმიჯნენ ამ პოლიტიკისაგან.

კონსერვატიული მთავრობის აშკარა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, აგრეთვე რეაქციონურმა შინაურმა პოლიტიკამ გამოიწვია კონსერვატორებისადმი უკმაყოფილების ზრდა, რომლის ნაყოფიც არჩევნების დროს მოიმკო მუშათა პარტიამ.

მუშათა პარტიის გამარჯვება, რომელიც წარმოადგენდა მოსახლეობის ფართო ფენების პროტესტს კონსერვატორების წინააღმდეგ, მუშათა მთავრობას აკისრებს ამ პოლიტიკასთან კავშირის გაწყვეტას. სწორედ ამიტომ მივიდა მაკდონალდის მთავრობა ხელისუფლებასთან ისეთი პროგრამით, რომლის ერთ-ერთი მუხლიც შეიცავდა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დაუყოვნებლივ აღდგენას. ეს კარგად იციან საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშათა მასებმა. მუშათა კრებებზე ხშირად მეკითხებიან, რატომ აქამდე არ არის აღდგენილი დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენსა და ინგლისს შორის, მაკდონალდის მთავრობის პროგრამაში ხომ იყო მუხლი საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ? რამდენიმე თვემ განვლო უკვე მას შემდეგ, რაც მაკდონალდის მთავრობა სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას და ურთიერთობა კი იქავე დგას, სადაც კონსერვატორების დროს იდგა.

პასუხი ის არის, რომ მაკდონალდის მთავრობას სურს ასიამოვნოს კონსერვატორებს, აჩვენოს თავი ბურჟუაზიის ინტერესების უკეთეს დამცველად, ვიდრე თვით კონსერვატიული მთავრობა იყო, რომელმაც გასწყვიტა ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობა, და ამავე დროს „გაამართლოს“ ნდობა მუშებისა, რომელთაც ხმა მისცეს მუშათა პარტიას, რომლის პროგრამაშიაც აღნიშნული იყო საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა. კონსერვატორების წინაშე იგი „ეტიკეტია“, ვინაიდან დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან არ აღუდგენია და გამოურკვეველიცაა — როდის აღადგენს, ხოლო მუშების წინაშე მას შეუძლია განაცხადოს, რომ ურთიერთობის აღსადგენად მუშაობს, აქაო და ჩვენ პროცედურის განხილვაში ვართო. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ლონდონში ჩადის, მოლაპარაკება აქვს ჰენდერსონთან, მიდის პარიზში, უკანვე ბრუნდება, მისტერ ჰენდერსონიც აწარმოებს მოლაპარაკებას პროცედურის შესახებ, ვიღაც სადღაც მიდის და სხვ. ამრიგად, მათ ეძლევათ იმის საშუალება, რომ კონსერვატორებსაც ასიამოვნონ და მოლაპარაკების ილიუზიის შექმნით ჯერჯერობით თავიანთი მუშა ამომრჩევლების შენარჩუნებაც სცადონ. „მოლაპარაკება“ იმ შემდგომი მოლაპარაკების პროცედურის ირგვლივ, რომელიც უნდა გამართოს ორივე სახელმწიფოს შორის არსებული სადავო საკითხების არსებითი შინაარსის შესახებ, ბუნებრივად დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ უნდა გამართულიყო. საქმე ხომ იმ მოლაპარაკებას ეხება, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას უნდა მოჰყვეს. საქმე უნდა დაწყებულიყო ამ ურთიერთობის აღდგენით, ვინაიდან თუ აღდგენილ არ იქნა დიპლომატიური ურთიერთობა, არ შეიძლება დაიწყოს რაიმე მოლაპარაკება სადავო საკითხების არსებითი შინაარსის შესახებ, ე. ი. სავაჭრო ხელშეკრულების, პრეტენზიების, ინტერვენციის, ვალების, ჩვენი ოქროს და სხვა საკითხების შესახებ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც დავთანხმდით პროცედურის წინასწარ განხილვაზე, რადგან ვფიქრობდით, რომ ამ საკითხს დიდი დრო არ დასჭირდებოდა, ჯერ-ერთი იმიტომ, რომ ის წმინდა ფორმალური საკითხია და არ შეიძლება შეეხოს რაიმე საკითხის არსებით შინაარსს, მეორე — იმიტომ, რომ მაკდონალდის სამინისტროსთან პირველი მოლაპარაკების დროს ჩვენ უკვე მივიღეთ გამოცდილება და განვლეთ ეს პროცედურები და 1924 წელს მივედით არსებითი ხელშეკრულების დადებამდე, ე. ი. საკითხის გადაჭრამდე.

გუშინ ამხ. დოვგალევსკი კვლავ გაემგზავრა ლონდონში ეგრედ წოდებული პროცედურებისა (სიცილი) და იმ საკითხების ნუსხის განსახილველად, რომლებიც გარჩეულ უნდა იქნან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ.

პირველად დოვგალევსკი ლონდონიდან წამოვიდა მას შემდეგ, როცა მან გამოარკვია, რომ ლაპარაკი იყო არა პროცედურაზე და რომ მისტერ ჰენდერსონს სურდა სადავო საკითხების არსებითად განხილვა. ვინაიდან დოვგალევსკის მიცემული ჰქონდა სავსებით მტკიცე დირექტივები, რომ სანამ დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილი არ იქნება, ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე საკითხის არსებითად განხილვაზე, მან უარი განაცხადა განეხილა ეს საკითხები. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰენდერსონმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა მოლაპარაკება იქონიოს მხოლოდ პროცედურაზე. მაშინ ჩვენ გადავსწყვიტეთ — მეორედ გვეცადა ბედი და გავგზავნეთ ამხ. დოვგალევსკი, რომლის რწმუნებებიც განსაზღვრეთ მხოლოდ და მხოლოდ ეგრედ წოდებული პროცედურის საკითხებით, იმ ანგარიშით, რომ ყოველივე ლაპარაკი საკითხების არსებითი შინაარსის შესახებ გადატანილ იქნას იმ დროისათვის, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის მთლიანად იქნება აღდგენილი.

მახლობელი მომავალი გვიჩვენებს — მართლაც მხოლოდ პროცედურაზეა ლაპარაკი, თუ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მდგომარეობასთან, რომ მუშათა პარტიის ლიდერები, რომლებმაც 1924 წელს ხელშეკრულება დასდეს ჩვენთან, ეხლა, კონსერვატორთა შუბლმაგარი ფრაქციის გულის მოსაგებად, შეეცდებიან შემოგვაპარონ მოლაპარაკება დიპლომატიური ურთიერთობის არსებითი შინაარსის შესახებ.

გამოვიყენოთ უცხოეთის ტეხნიკა

მე აღარ შევეხები ჩვენი საგარეო პოლიტიკის სხვა საკითხებს და აღვნიშნავ კაპიტალისტურ მსოფლიოსთან ჩვენი ურთიერთობის მხოლოდ ერთ მხარეს, რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშაობასთან საბჭოთა მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

ეს მხარეა — მსოფლიო მეცნიერებისა და ტეხნიკის უახლოეს მიღწევათა თანდათან უფრო გამოყენება სოციალისტური მშენებლობისათვის. ამჟამად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მუშაობს მრავალი უცხოელი ინჟენერი, ტეხნიკოსი და პროფესორი — უცხოეთის უდიდესი ტეხნიკური ორგანიზაციებისა და საწარმოების წარმომადგენელნი. უცხოელი სპეციალისტები მონაწილეობას იღებენ ჩვენს ტრაქტორების მშენებლობაში, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების პროექტების შედგენაში. მაგალითად, ფორდი მონაწილეობას იღებს ჩვენი დიდი საავტომობილო ქარხნის მშენებლობაში. უცხოეთის მოწინავე ტეხნიკის გამოყენება ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის მიზნებისათვის ამ უკანასკნელ წელს არაჩვეულებრივად გაიზარდა, აგრეთვე დასავლეთ-ევროპისა და ამერიკის ინჟენერ - ტეხნიკოსთა წრეები თანდათან უფრო დიდ მონაწილეობას იღებენ ჩვენი მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის საქმეში. ოდესღაც ვლადიმერ ილიჩი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა კონცესიებს, როგორც მოწინავე ტეხნიკის შეთვისების მეთოდს. ლენინის აზრით, ჩვენი საკონცესიო პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს არა მარტო დოვლათის გადიდებას ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის კაპიტალის მოზიდვის საშუალებით, არამედ სასწავლო მიზანსაც. ამ უკანასკნელ დროს ჩვენ თვალსაჩინო შედეგებს მივაღწიეთ უცხოეთის ტეხნიკის უშუალოდ გამოყენების საქმეში. შეიძლება აღვნიშნოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩვენი ორგანოები ამა თუ იმ ნაგებობის პროექტის შედგენაზე დიდხანს, ხოლო ზოგჯერ რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობენ, მაგრამ უცხოეთის ექსპერტიზის პირველი შემოწმებისთანავე ირკვევა, რომ პროექტები უვარგისია და საჭიროა საქმის თავიდანვე დაწყება. უცხოეთის ტეხნიკის გამოყენება ძალიან გვიწყობს ხელს იმაში, რომ დავძლიოთ ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო ადგილი, რომელიც დაკავშირებულია ინჟენერთა კადრების ნაკლებობასთან და ჩვენს ტეხნიკურ ჩამორჩენილობასთან. ამ მხრივ უკვე მიღებულმა გამოცდილებამ საერთოდ და მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება და სწორი იქნება, თუ ჩვენ, მახლობელ წლებში მაინც, უფრო ფართოდ გამოვიყენებთ უცხოეთის ტეხნიკურ გამოცდილებას.

ჩვენი ძველი საინჟინერო კადრები საერთოდ აღიზარდნენ ომის წინა დროის რუსეთის ტეხნიკურად ჩამორჩენილი წარმოების პირობებში.

ამ უკანასკნელ წლებში, როგორც ვიცით, ამერიკის და დასავლეთ ევროპის ტეხნიკამ არაჩვეულებრივად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და აღმოაჩინა ტეხნიკური ამოცანების გადაჭრის ახალი ხერხები, რომლებიც ჩვენ რაც შეიძლება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჩვენს საამშენებლო მუშაობაში. მაგრამ ჩვენში, მიუხედავად იმისა, რომ ინჟენერ-ტეხნიკოსთა შორის არიან ზოგიერთი ნიჭიერი, ზოგჯერ ბრწყინვალე წარმომადგენელნი, რომელნიც სწრაფად ითვისებენ ყოველ ახალ ტეხნიკურ მიღწევას, რომელთაც წინ მიჰყავთ ტეხნიკური აზროვნება, ინჟენერ - ტეხნიკოსთა საერთო მასას არა აქვს საკმაო პრაქტიკა წარმოების თანამედროვე მეთოდების ხაზით, მათ საერთო მასას ჯერ კიდევ შეთვისებული ვერა აქვს უახლოესი ტეხნიკა. გარდა ამისა, ამ უკანასკნელ დროს აღმოჩენილი იქნა ზოგიერთი ძველი სპეციალისტის მავნებლობის მთელი რიგი შემთხვევები. ასეთი ძველი სპეციალისტები თავიანთ ტეხნიკურ ცოდნას იყენებენ არა სოციალისტური მშენებლობის განსამტკიცებლად, არამედ მის ჩასაშლელად. ხოლო ჩვენ ახალგაზრდა ტეხნიკურ კადრებს, მიუხედავად სოციალისტური მშენებლობის ერთგულებისა და მთელი თავიანთი ენტუზიაზმისა, საკმაო გამოცდილებისა და ცოდნის უქონლობის და, დასასრულ, მცირე რიცხვის გამო, ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ღონე შეავსონ ის ხარვეზი თანამედროვე ტეხნიკის გამტარებელთა კადრებში, რომელსაც ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა მოვუღოთ ბოლო. ამიტომ უცხოეთის ტეხნიკური დახმარების გამოყენება, უცხოელი ინჟენერების, ტეხნიკოსებისა და პროფესორების მოწვევა კონსულტაციისათვის, ექსპერტიზისათვის, პროექტების შედგენად და, განსაკუთრებით, რთულ წარმოებათა ორგანიზაციასა და რეკონსტრუქციაში მონაწილეობის მისაღებად მახლობელ მომავალში უფრო ფართოდ უნდა დავაყენოთ. ეს ძალიან გაგვიადვილებს ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ერთ-ერთი იმ მთავარი სიძნელის გადალახვას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ეს გეგმა, ჩვენი ქვეყნის ტეხნიკური სახის სრული გარდაქმნის გეგმა, ჩვენ უნდა შევასრულოთ იმ დროს, როდესაც განვიცდით თანამედროვე ტეხნიკის მცოდნე ხალხის უდიდეს დეფიციტს.

ამხ. ა. რიკოვი

ჩვენი შინაური მდგომარეობა ურყევია

ჩვენი საშინაო პოლიტიკის გენერალური ხაზის ურყევობა და საბჭოთა კავშირის შინაგანი მდგომარეობის საკითხები უკვე დაწვრილებით განხილულ იქნა თქვენს ყრილობაზე. ამიტომ მე მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხები.

იცვლება თუ არა ჩვენი საშინაო პოლიტიკის გენერალური ხაზი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჩემ მიერ დახასიათებულ საერთაშორისო მდგომარეობასთან და მიმდინარე სამეურნეო სიძნელეებთან (სასურსათო დაბრკოლებებთან, რიგებთან და სხვ.) დაკავშირებით?

გასული წლის შედეგები, როგორც მე მგონია, ერთხელ კიდევ ამტკიცებენ არა მარტო იმას, რომ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის გენერალური ხაზი სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას, არამედ იმასაც, რომ სამეურნეო მშენებლობის ტემპის გაძლიერების შესაძლებლობანი მთელ რიგ შემთხვევებში სათანადოდ არ იყვნენ შეფასებულნი.

მოვიყვან თუნდაც ასეთ მაგალითს:

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით მომავალ 1929-30 სამეურნეო წელს გეგმიანი მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაზე ჩვენ უნდა დაგვეხარჯა 2 მილიარდ მანეთზე ცოტა მეტი. ხოლო მრეწველობის საკონტროლო ციფრების წინასწარი ვარაუდით უნდა დაიხარჯოს დაახლოვებით 3 მილიარდი მანეთი, ე. ი. საერთოდ ხარჯები ინდუსტრიალიზაციისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვარაუდთან შედარებით, თითქმის მთელ ნახევარჯერ დიდდება. მართალია, კაპიტალური ხარჯების ეს ციფრი მთავრობას ჯერ კიდევ არა მიუღია, მის ირგვლივ ჯერ კიდევ დავაა, მაგრამ ეს დავა ისეთ თანხებს არ შეეხება, რომ მათ თვალსაჩინო ცვლილებები შეიტანონ კაპიტალურ სამუშაოთა პროგრამაში.

სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების ტემპმაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ხაზით გასულ წელს გადააჭარბეს ხუთწლიანი გეგმის ვარაუდებს და მომავალ წელსაც გადააჭარბებენ მათ. წვრილი გლეხური მეურნეობის განსაზოგადოება დაკავშირებულია გლეხის ინდივიდუალისტური შეგნების რღვევის უდიდეს პროცესთან. იმსხვრევა და ქარწყლდება წვრილი მწარმოებლის მრავალსაუკუნიანი ჩვეულებები. მაღალი ტეხნიკა, ტრაქტორი, კომბაინი ულმობელად აძევებს სასოფლო - სამეურნეო წარმოების ჩამორჩენილ მეთოდებს, ხოლო ამ ახალი ტეხნიკით სარგებლობის საზოგადოებრივი მეთოდები იწვევენ რევოლუციონურ პროცესს სოფლის სოციალურ ურთიერთობაში და წვრილ საქონელმწარმოებლის ჩამორჩენილ მეურნეობას სცვლიან მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობით. ყველა იმ დიდი დეფექტის, შეცდომისა და ავადმყოფური მოვლენის მიუხედავად, რასაც ადგილი ჰქონდა განსაზოგადოებული სოფლის მეურნეობის მშენებლობაში, ამ წლის გამოცდილებამ საქმით დაამტკიცა, რომ ჩვენი გეზი წვრილი გლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ სწორია და ამ მხრივ შესაძლებელია უფრო სწრაფი ტემპების მიღწევა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით.

ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას ჩვენი გენერალური ხაზის განმტკიცებისათვის და განზრახული გვაქვს უნახავ სიმაღლეზე ავიყვანოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება. სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია გულისხმობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და საკითხი თუ „ვინ ვის“ აჯობებს, ჩვენ ვაჯობებთ კაპიტალისტებს, თუ კაპიტალისტები გვაჯობებენ ჩვენ, საბოლოო ანგარიშით იმით გადაიჭრება, თუ რომელი სისტემა აღმოჩნდება უფრო ნაყოფიერი, მშრომელთა უფართოესი მასების ინტერესის უფრო შესაფერი.

ბრძოლა შრომის ნაყოფიერების აწევისა და მსხვილი სოციალისტური წარმოების გაშლისათვის, რომელიც შეიცავს შრომის ნაყოფიერების არაჩვეულებრივი ზრდის ყველა ელემენტს, ეს ბრძოლა, რომელიც ჩვენ მთელი ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ქვაკუთხედად გვიხადეთ, მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო შევძლებთ საწარმოო საშუალებათა წარმოების განუწყვეტელი ზრდის უზრუნველყოფას, რაც უფრო დაუახლოვდება სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი მსხვილი ინდუსტრიის განვითარების ტემპს. დღემდე სოფლის მეურნეობა თავისი ზრდის ტემპით ვერ აკმაყოფილებს ინდუსტრიალიზაციის გზაზე დამდგარ ქვეყნის მოთხოვნილებას, და მოსკოვის საოლქო პარტკონფერენცია სრულიად სამართლიანად აღნიშნავს თავის რეზოლუციაში, რომ „სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რასაც მას უყენებს ინდუსტრიალიზაციის გზაზე დამდგარი ქვეყანა“.

მაგრამ იქიდან, რომ ჩამორჩენილობა სოფლის მეურნეობის განვითარებაში ყველაზე უფრო სუსტ ადგილს წარმოადგენს, არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის საკითხი უნდა ამოვშალოთ მთელი ჩვენი პოლიტიკის სისტემიდან და გადავჭრათ იგი ცალკე გენერალური ხაზის გასატარებლად. სოფლის მეურნეობის სოციალისტური და ეკონომიური კავშირი სახალხო მეურნეობის გეგმის დანარჩენ ნაწილებთან იმდენად დიდია, რომ მარტო ამ ერთი პრობლემის გადაწყვეტა მეურნეობის სხვა მხარეებისაგან დამოუკიდებლად ყოვლად შეუძლებელია.

ამას წინად საკავშირო სახკომსაბჭოში მანქანათ მშენებლობის გეგმის განხილვის დროს ჩვენ განსაკუთრებით ხაზს ვუსვამდით იმას, რომ ჩვენი გეგმები არ არის სრული (შემდეგში ჩვენ ეს გეგმები საგრძნობლად გავაფართოვეთ), რომ სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობა დღემდე ინერციით მუშაობს იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც ის მუშაობდა რამდენიმე წლის წინად. სასოფლო - სამეურნეო მანქანათ მშენებლობა მისი გაშლა-გაფართოების პირველ პერიოდში, უფრო ემსახურებოდა წვრილი საქონლის მწარმოებელს, ეხლა კი იგი უნდა აკმაყოფილებდეს მსხვილ განსაზოგადოებულ სასოფლო მეურნეობას. სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომლის განვითარებაც დაკავშირებულია მეტალურგიასთან, დონბასის ლუმელების მუშაობასთან და სხვ., დიდად განსაზღვრავს ჩვენს წარმატებას იმ ბრძოლაში, რომელსაც ვაწარმოებთ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის სანედლეულო და სასაქონლო ბაზების განმტკიცება - გაფართოებისათვის. შეუძლებელია დონბასის ლუმელის მოწყვეტა ყანისაგან, მრეწველობის მუშაობის მოწყვეტა სოფლის მეურნეობის განვითარებისაგან.

ჩვენ თითქმის განვლეთ ხუთწლედის პირველი წელი და უკვე გვაქვს მისი ზოგიერთი შედეგები. ამ შედეგებიდან, პირველ ყოვლისა, სჩანს, რომ რიცხვობრივად ჩვენ გადავაჭარბებთ გეგმას: წინასწარი ცნობებით მოსალოდნელია გეგმიანი მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდება 24 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20,4 პროცენტისა, ამასთან ის, რაც გეგმას გადააჭარბებს, მოვა საწარმოო საშუალებათა და მოხმარების საგნების წარმოებაზე. ამნაირად, ხუთწლიანი გეგმის პირველი წელი იძლევა ინდუსტრიალიზაციის რიცხვობრივ მაჩვენებელთა ზრდას გეგმასთან შედარებით.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა, პროდუქციის თვითღირებულების დაკლებისა და მისი ღირსების აწევის საქმეში ხარისხობრივი მაჩვენებლები ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაშია. თვითღირებულების დაკლების მხრივ ჩვენ აუცილებლად ჩამოვრჩებით გეგმას. იგივე უნდა ითქვას წარმოების ინდექსის აწევის შესახებ: თუმცა აქ გვაქვს საგრძნობი მიღწევები, მაგრამ გეგმას მაინც ჩამოვრჩებით. ძალიან გაუარესდა პროდუქციის ხარისხი.

აი ყველაზე სუსტი ადგილები ჩვენი მრეწველობის მუშაობაში, ის სუსტი ადგილები, სადაც ჩვენ მოვალენი ვართ მივაღწიოთ უფრო დიდ შედეგებს, ვიდრე დღემდე გვაქვს.

რა საგეგმო ვარაუდი გვაქვს 1929-30 სამეურნეო წლისათვის? სამწუხაროდ, წრეულს ძალიან გაჭიანურდა საკონტროლო ციფრების შედგენა და ჯერ კიდევ არ შეგვიძლია მოვიყვანოთ სავსებით გარკვეული ციფრები. ერთი კი საჭიროა აღინიშნოს, სახელდობრ ის, რომ მომავალი წელი უნდა ჩატარდეს ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების ნიშნით, მაგრამ ინდუსტრიალიზაციის ტემპის ეს გაძლიერება ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დამოკიდებული უნდა იყოს მთელი ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებაზე. ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შეუსრულებლობა თვითღირებულების დაკლებასა და შრომის ნაყოფიერების აწევაში, მასალისა და ნედლეულის უკეთ გამოყენებაში, ხარისხის გაუმჯობესებაში და სხ. საფრხეს შეუქმნის მთელ გეგმის შესრულებას.

ჩვენ დიდი შესაძლებლობა გვაქვს ყველა საფაბრიკო-საქარხნო საწარმოს და ყველა სამეურნეო ორგანოს მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. მარტო ძირითადი კაპიტალის განახლება მრეწველობაში მომავალ წელს უკვე ერთ მესამედს გადააჭარბებს და უნდა მივაღწიოთ კიდევ თვალსაჩინო გარდატეხას ამ მიმართულებით., რაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაღწიოთ ამას. ამ პირობათა შორის, რომლებიც მომავალ წელს უფრო მეტი წარმატების მიღწევის საშუალებას გვაძლევენ, ვიდრე ეს ხუთწლიანი გეგმითაა გათვალისწინებული, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ჯერ ერთი, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას და, მეორე, განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლას.

მასების აქტივობა და მშენებლობის სიძნელენი

ამ ცოტა ხნის წინად ჩვენმა მთავრობამ განიხილა წინადადება ხუთდღიანი კვირის შემოღების შესახებ, ე. ი. ყველა მუშა-მოსამსახურეებისათვის ოთხი სამუშაო დღის შემდეგ მეხუთე, დასასვენებელი, დღის დაწესების შესახებ, მაგრამ იმ პირობით, რომ მოისპობა ყველა საეკლესიო უქმე და მუშაობის საყოველთაოდ შეჩერება მოხდება მხოლოდ ხუთ რევოლუციონურ დღესასწაულის დღეს. ამ წინადადების განხორციელება მოგვცემს დიდ საწარმოო შედეგებს, გაზრდის სახელმწიფოში საქონლის რაოდენობას, აწევს შრომის ნაყოფიერებას და, მეტი სისტემატიურობის გამო, უფრო რაციონალურს გახდის დასვენებას. ეს წინადადება, რომელსაც ჩვენ ვიხილავდით საკავშირო სახკომსაბჭოში წარმოადგენს არა მარტო უდიდეს რეფორმას წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საქმეში, არამედ ჩვენი ეპოქის იმ ღრმა სოციალურ ცვლილებათა უაღრესად ნათელ გამოხატულებასაც, რომლითაც აღიბეჭდება, მრავალი და მრავალი მილიონის არა მარტო მუშის, არამედ გლეხის აზროვნებაში. ასეთი საკითხის წამოყენება და გადაჭრა, ამ რევოლუციის გარეშე მუშებისა და გლეხების აზროვნებაში, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ ეს საკითხი არა თუ წამოვაყენეთ, არამედ ახლო მომავალში გადავჭრით კიდეც მას (ტაში). ამ რეფორმის განხორციელება, რასაკვირველია, შესცვლის მომავალი კალენდარის სახეს და გაანთავისუფლებს მას მრავალსაუკუნოებრივი საეკლესიო ნაგვისაგან.

ასეთი სახის ცვლილებები საზოგადოებრივ შეგნებაში, მუშათა კლასის შეგნებაში გავლენას ახდენენ სხვა დარგებზედაც, მაგალითად, სოციალისტურ შეჯიბრებაზე, საბჭოთა აპარატისა და პარტიის წმენდაზე, მუშათა კლასის აქტივობაზე და მის გულისყურზე სოციალისტური მშენებლობის ყველა საკითხისადმი.

ამას წინად გადმომცეს ასეთი შემთხვევა. მუშებმა თავიანთ ქარხანაში შრომის ნაყოფიერების ასაწევად შეადგინეს დამკვრელი ჯგუფი. როდესაც ამ ჯგუფმა გაიგო, რომ ქარხანაში მოხელეთა შტატი გაიზარდა, ამ ფაქტს უდიდესი ენერგიით მოეკიდა. რატომ? რატომ არ ჰქონია ასეთ მოვლენას ადგილი წინად? იმიტომ, რომ წინად, როდესაც მუშები თვითონ გულგრილად მუშაობდნენ და შრომის ნაყოფიერების ზრდასა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში სასტიკი ეკონომიის დაცვას თავიანთ საქმედ არა სთვლიდნენ, როგორც ამჟამად, ისინი სხვებსაც ნაკლებ მოთხოვნას უდგენდნენ. ამჟამად კი როდესაც ისინი მთელ ძალღონეს ანდომებენ იმას, რომ მზად ჰქონდეს საუკეთესო პროდუქცია, მზადდებოდეს უფრო იაფად და სწრაფად, ვიდრე წინად მზადდებოდა,— ხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მშენებლობის მიღწევები და ამოცანები

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება მოსკოვის 1-ლ საოლქო პარტკონფერენციაზე

ამხანაგებო, თქვენ კონფერენციაზე მოისმინეთ ამხ. მოლოტოვისა, აგრეთვე ამხ. ბაუმანის მოხსენებანი. ამხ. მოლოტოვმა ძალიან დაწვრილებით ილაპარაკა ჩვენი შინაური და საგარეო მდგომარეობის შესახებ. მე არ შევეხები ამ საკითხებს, არამედ მხოლოდ მოკლედ ვილაპარაკებ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის შესახებ და დაგანახვებთ, თუ რამდენად მართალი გამოდგა ც. კ. იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებს ყოველგვარ გადახრასთან—როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე გადახრასთან.

სინამდვილემ სასტიკად დასცინა მემარჯვენეებს

რამდენიმე წლის წინად, ჩვენი პარტიის მე-12 ყრილობაზე, როდესაც ლაპარაკი და კამათი იყო ჩვენი სახალხო მეურნეობის, კერძოდ მრეწველობის განვითარების სასურველი ტემპის შესახებ, შემდეგი იქნა აღნიშნული: ამერიკაში მრეწველობის პროდუქცია ყოველწლიურად იზრდებოდა 6—7 პროცენტით, ევროპაში დაახლოვებით —4-5 პროცენტით, ხოლო ჩვენ იმისთვის, რომ ვლადიმირ ილიჩის მითითება განვახორციელოთ—დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებს,—ჩვენი მრეწველობის განვითარების ისეთი ტემპი უნდა ავიღოთ, რომელიც პროდუქციის გაზრდის ყოველწლიურად 12—15 პროცენტით. მრეწველობის პროდუქციის ყოველწლიური ზრდა 12—15 პროცენტით იმ სასურველ ტემპად ითვლებოდა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დავწეოდით კაპიტალისტურ ქვეყნებს და გაგვესწრო მათთვის.

რა მივიღეთ ნამდვილად? 1927—28 წლის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს ვვარაუდობდით, რომ პროდუქციის ზრდა დაახლოვებით 18—19 პროცენტით მოხდებოდა. ნამდვილად კი მივიღეთ 21—22 %. მიმდინარე 1928—29 წლის საკონტროლო ციფრებით პროდუქციის ზრდა გათვალისწინებული იყო 20—21 პროცენტით. ნამდვილად კი მივიღეთ 24 პროცენტი. 1929—30 წლისათვის, ხუთწლიანი გეგმით, რომელიც ჩვენ მივიღეთ მე-16 პარტკონფერენციაზე, აგრეთვე საბჭოების ყრილობაზე, გათვალისწინებული იყო, რომ ჩვენი მრეწველობის პროდუქცია გაიზრდებოდა 20—21 პროცენტით. ნამდვილად კი საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, აგრეთვე სახელმწ. საგეგმო კომისიის მიერ გათვალისწინებული საკონტროლო ციფრები უდიდეს ზრდას გვიჩვენებენ: მძიმე მრეწველობაში—40-44 პროცენტს, მსუბუქ ინდუსტრიაში—28 პროცენტს, ხოლო მთელს მრეწველობაში — 32 პროცენტს.

ამგვარად, ამხანაგებო, რამდენიმე წლის წინად ვფიქრობდით, რომ მრეწველობის პროდუქცია ყოველწლიურად უნდა გაზრდილიყო 12—13 პროცენტით. ეს უდიდეს მიღწევად ითვლებოდა. ნამდვილად ყველა შემდეგ წელს გაცილებით უფრო მაღლა მივდიოდით, როგორც უკვე აღვნიშნე, ხოლო 1929—30 წლის მიჯნაზე ჩვენი სოციალისტური მეურნეობა აცხადებს: ყველა წინანდელი წინასწარმეტყველება შემცდარია, მისი ზრდა გაცილებით უფრო სწრაფია, იგი საბჭოთა სახელმწიფოს აძლევს არა 12 - 13 პროცენტს, როგორც ეს 5—6 წლის წინად იყო ნათქვამი, და არც 20—21 პროცენტს, როგორც ეს რამდენიმე თვის წინად იყო ნათქვამი, არამედ 30—32 პროცენტს მთელს მრეწველობაში. აი, ამხანაგებო, ჩვენი მრეწველობის განვითარების ნამდვილი ტემპი.

ავიღოთ სახელმწიფო ბიუჯეტი. ჩვენ რომ შარშან 1928—29 წლის შვიდ მილიონ ნახევრიან ბიუჯეტს ვამტკიცებდით, ყველა ამბობდა,—ეს უაღრესად დატვირთული ბიუჯეტია. წარსული წლის პირველი კვარტალის დამლევს დიდი განგაში ასტყდა: ჩვენი ბიუჯეტი რეალური არ გამოდგება, იგი მარცხით დამთავრდება, გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ვივარაუდეთო. ეხლა წელიწადი თავდება და ეს უაღრესად დატვირთული ბიუჯეტი უფრო მეტს გვაძლევს, ვიდრე შარშან ვვარაუდობდით მისი დამტკიცების დროს, დაახლოვებით 200 მილიონით მეტს. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია, რომ 1929—30 წლის ბიუჯეტი 9.200.000.000 მანეთის იქნება. ამჟამად ნავარაუდევია 10.200.000.000 მანეთის ბიუჯეტი, ხოლო სახელმწ. საგეგმო კომისია 10.500.000.000 მანეთსაც კი ვარაუდობს.

აი, ამხანაგებო, ის ზრდა და ის სიფართოვე, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს. გახსოვდეთ, ამხანაგებო, ვლადიმერ ილიჩი თავის უკანასკნელ წერილებში მუშგლეხინის შესახებ ამბობდა: „თუ ჩვენ მუშათა კლასს შევუნარჩუნებთ ხელმძღვანელობას გლეხობის მიმართ, საშუალება მოგვეცემა, რომ ჩვენს სახელმწიფოში მეურნეობის უდიდესი ეკონომიის გზით მივაღწიოთ იმას, რათა ყოველი უმცირესი დაზოგვილი თანხა დავცვათ ჩვენი მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის განვითარებისათვის და ელექტროფიკაციის, ჰიდროტორფის განვითარებისათვის, „ვოლხოვსტროის" აშენებისათვის და სხვ.

ეს და მხოლოდ ეს იქნება ჩვენი იმედი. მხოლოდ მაშინ შევძლებთ, ფიგურულად რომ ვსთქვათ, ერთი ცხენიდან გადაჯდომას მეორე ცხენზე, სახელდობრ, გლეხის გაძვალტყავებულ ცხენიდან გადაჯდომას იმ ცხენზე, რომელსაც პროლეტარიატი თავისთვის ეძებს და არც შეუძლია არ ეძებოს, იმ ცხენზე გადაჯდომას, რომელსაც ეწოდება მსხვილი სამანქანო ინდუსტრია, ელექტროფიკაცია, „ვოლხოვსტროი" და სხვ.". (ლენინი „სჯობს ცოტა იყოს და უკეთესი").

ვფიქრობ, რომ დიდი მასწავლებლის სიტყვები მთლიანად სრულდება და გლეხის გაძვალტყავებულ ჯაგლაგ ცხენიდან, რომლის შესახებაც ვლადიმირ ილიჩი ლაპარაკობდა, ჩვენ უკვე ვიწყებთ გადაჯდომას ფოლადის მერნებზე.

მაგრამ ამ უდიდეს ზრდასთან ერთად ჩვენ ვხედავთ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა კუდები ჩვენს კოოპერატიულ დუქნებთან. რაც არ უნდა ვსთქვათ, რაც არ უნდა ვაქოთ ჩვენი მიღწევები, ჩვენი მრეწველობისა და მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდა, ჩვენგან, მუშათა კლასისაგან მაინც ვერ დამალავთ კუდებს. ჩვენ ამ მხრით დიდი სიძნელეები გვაქვს. ამაზე თვალის დახუჭვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. საბჭოთა ხელისუფლების მეთორმეტე წლის თავზე ჩვენ განვიცადეთ სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტის ნაკლებობა. ჩვენი მემარჯვენე ამხანაგების აზრით ეს არის ჩვენი არასწორი პოლიტიკის შედეგი.

როგორც იცით, შარშან შემოდგომაზე, ბუხარინმა თავის ცნობილ წერილში „ეკონომისტის შენიშვნები" პირდაპირ სთქვა, რომ ჩვენში სოფლის მეურნეობის დეგრადაცია ხდებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ნადგურდებაო გლეხური მეურნეობის საწარმოო ძალებიო, ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხური მეურნეობა წინ კი არა, უკან მიდის. ასეა ნამდვილად? რას გვეუბნება ამის შესახებ გავლილი წელიწადი? არსებული ცნობების მიხედვით, არავის შეუძლია უარჰყოს ის ფაქტი, რომ წელს „დეგრადაციის გზაზე დამდგარმა გლეხურმა მეურნეობამ, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით, ნათესი სივრცე გაადიდა 6 პროც.-ით, ხოლო გათვალისწინებული იყო 7 პროცენტი; წარსული წლის შემოდგომაზე, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო (თავის დროზე წვიმა არ მოვიდა და გვალვა იყო), შემოდგომის ნათესი შემცირდა 3-4 პროცენტით, ხოლო გაზაფხულზე, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით, თესვის კამპანია გლეხობამ ისეთი რაოდენობით გაატარა, რომ თუმცა კულაკებმა შეამცირეს ნათესი სივრცე, მაგრამ, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენების მეცადინეობით, იგი 6 პროცენტით გადიდდა. როგორც ხედავთ, „დეგრადაციის გზაზე დამდგარი" გლეხური მეურნეობა კულაკთან დაწყებულ მკაცრ ბრძოლაში აფართოებს თავის ნათეს სივრცეს 6 პროცენტით.

კოლექტიურ-მეურნეობრივი მოძრაობა უდიდესად გაიზარდა; მან გადაამეტა გეგმით გათვალისწინებულ ყველა ვარაუდს. საბჭოთა მეურნეობანი, რომელთა მშენებლობასაც ჩვენ შარშან შევუდექით და რომელთა წარმატების შესახებაც ჩვენი მემარჯვენე ამხანაგები დიდ ეჭვს გამოსთქვამდნენ, წელსვე ამტკიცებენ უდავოდ ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა მეურნეობა „გიგანტ"-ში ერთი ფუთი პურის თვითღირებულება 70 კაპ. უდრის.

აი, ამხანაგებო, ის პასუხი, რომელსაც სოფლის მეურნეობა გვაძლევს ჩვენსა და მემარჯვენეთა შარშანდელ დავაზე. ჩემის აზრით, ყოველმა კომუნისტმა, რომელსაც სურს პატიოსნად გაერკვეს პარტიისა და მემარჯვენეების დავაში, უნდა აღიაროს, რომ ცხოვრებამ მემარჯვენეები დაუზოგველად გაასამართლა მთელ ხაზზე (ტაში). არც ერთ ოპოზიციას ისე სწრაფად არ გასტეხია სახელი, როგორც მემარჯვენეთა ოპოზიციას. ერთი წელიწადიც არ დაგვჭირდება, რომ იგი აბსოლიუტურად გაგვენიავებინა და იდეურად გაგვენადგურებინა. მაგრამ მემარჯვენე უკლონის განწყობილება ჩვენს ქვეყანაში უდიდესია. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენი პარტიის ყოველივე ოპოზიცია, რომელიც მცირედად მაინც შეაფერხებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის განვითარებას, დაუყოვნებლივ იპოვის ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე ასი ათას მომხრეს. სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ წვრილ-გლეხურ ქვეყანაში, როგორიც დღემდე საბჭოთა კავშირია, მომხრეები არ ეპოვა ყოველგვარ მემარჯვენე მისწრაფებას. სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ გლეხობას მოსწონს და შეგნებული აქვს სოციალიზმი, შეგნებული აქვს, თუ როგორ უნდა შეიქმნას იგი—ეს სისულელე იქნებოდა.

სატრაქტორო სადგურების, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მაგალითებით გლეხობას უნდა ვასწავლოთ და დავარწმუნოთ იგი, რომ მსხვილ, განსაზოგადოებულ სოფლის მეურნეობას უპირატესობა აქვს წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით და ამგვარად გადმოვიბიროთ იგი ჩვენს მხარეზე.

ამხ. ბუხარინის „წინასწარმეტყველებანი"

აიღეთ ჩვენი უზარმაზარი საბჭოთა აპარატი. მასში თქვენ იპოვით ყოველგვარი უვარგისი ადამიანების უდიდეს რაოდენობას, რომელსაც არა სურს სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც არა სურს მუშათა კლასის გამარჯვება. ისინი ყოველთვის მიემხრობიან ყოველგვარ ოპოზიციას, ოღონდ კი ამ ოპოზიციამ შეაფერხოს ჩვენი სოციალისტური განვითარება. და აი, ამხანაგებო, როგორც ეს არა ერთხელ თქმულა ამხ. სტალინის გამოსვლებში, მემარჯვენეთა გამარჯვება ნიშნავს კაპიტალიზმის აღდგენას ჩვენს ქვეყანაში. შეუძლიათ სთქვან—ასეთ ბრალდებას რათ უყენებთ ბუხარინსაო. განა ბუხარინს კაპიტალიზმი სურს? განა ოქტომბრის დღეებში ის ჩვენთან ერთად არ იყოო? რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ბუხარინს არა სურს კაპიტალიზმის აღდგენა, ოქტომბრის დღეებში იგი პარტიასთან ერთად იყო, უფრო მეტიც—მე ეჭვი არა მაქვს, რომ ის ახლაც მზად არის ულმობელად ებრძოლოს ბურჟუაზიას, მაგრამ საქმე სურვილი კი არაა,—პოლიტიკაა. ბუხარინის პოლიტიკა კი ჩვენ უკან გვწევს და არა წინ. თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, რომ შარშან, როდესაც ჩვენ ვითვალისწინებდით მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში 1.600 მილიონი მანეთის დაბანდებას, ბუხარინი თავის „ეკონომისტის შენიშვნებ"-ში პირდაპირ არ გამოვიდა ამ ციფრების წინააღმდეგ, მაგრამ აღნიშნა, საშენი მასალა არ გვყოფნისო, არ შეიძლება ფაბრიკები და ქარხნები ავაშენოთ მომავალი აგურების ხარჯზეო და სხვა ამისთანა სიბრძნენი. ყოველივე ეს იმიტომ იყო ნათქვამი, რომ ჩვენ მეტის-მეტად დიდ თანხებს ვაბანდებთ კაპიტალურ მშენებლობაში, რომ ჩვენ არა გვყოფნის საშენი მასალა და სხვ. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ აგურები გვეყო და ჩვენი კაპიტალური მშენებლობა წელს გაცილებით უკეთესად ჩავატარეთ, ვიდრე შარშან. ამით მე სრულებით არ მინდა ვსთქვა, თითქოს ჩვენს მშენებლობაში შეცდომები არ იყოს. რასაკვირველია, მოგვეპოვება შეცდომები, ზოგჯერ აღმაშფოთებელი შეცდომებიც, მაგრამ მათი რიცხვი წლითი-წლობით კლებულობს. რა თანხის დაბანდებაა წელს განზრახული მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში? ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, ეს თანხა 2.200 მილ. მანეთს უდრის. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ახალი პროექტით, ეს თანხა 3 მილიარდს აღწევს, ხოლო ს.მ.უ. საბჭო 3.200 მილ. მანეთს მოითხოვს. როგორც ხედავთ, ჩვენ მივიღეთ სულ სხვა სურათი, ვიდრე ის, რომელიც ბუხარინს ეგონა. ბევრს ლაპარაკობდა შარშან ბუხარინი იმის შესახებ, რომ გლეხს სტიმული აკლიაო. მაგრამ, ამხანაგებო, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ სტიმულის შესახებ, აქედან სრულებით არაფერი გამოვა, თუ ჩვენ რეალურად არ დავეხმარებით სოფლის ღარიბსა და საშუალო ფენებს. უამისოდ ყოველგვარ ლაპარაკს სტიმულის შესახებ მოჰყვება კულაკური სტიქიის ხელ-ფეხის გახსნა სოფლად და ამ კულაკური ელემენტების მიერ ღარიბი ფენების დაჩაგვრა. პარტიამ გადაჭრით უარჰყო ბუხარინის „სტიმული" და გაბედულად შეუდგა ღარიბი და საშუალო გლეხების დახმარებას უცხოეთიდან ტრაქტორების შემოტანის გზით, ჩვენს ქვეყანაში ტრაქტორების აგების გაძლიერებით, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის (40.000 ტრაქტორისათვის) აგების დაჩქარებით და ასეთივე სატრაქტორო ახალი ქარხნის აგების დაწყებით ჩელიაბინსკში. რას ნიშნავს ეს? ეს არის ღარიბი და საშუალო გლეხისათვის ნამდვილი რეალური დახმარების გაწევა. ტრაქტორის გარშემო ამათი დარაზმვის გზით გლეხობის დაქუცმაცებული მეურნეობა პარტიას გადაჰყავს სოციალისტურ რელსებზე.

რასაკვირველია, ამხანაგებო, ამ სამუშაოს დასამთავრებლად წლებია საჭირო, ჩვენ მრავალი წლის მიზნდარი და სისტემატიური მუშაობა დაგვჭირდება იმისათვის, რომ ტრაქტორისა, კოლმეურნეობისა, კომუნისა და არტელის გარშემო თავი მოვუყაროთ გლეხთა 25 მილიონიან დაქუცმაცებულ მეურნეობას. რასაკვირველია, შეუძლებელია ყველაფერი ეს ერთ დღეს გაკეთდეს. მაგრამ პარტიის მიერ ამ მიმართულებით აღებული გეზი აბსოლიუტურად უტყუარია, აბსოლიუტურად სწორია (ტაში).

ჩვენ რომ ეს ხაზი არ აგველო, ჩვენ რომ ამ გზას მტკიცედ არ დავდგომოდით, იმ შემთხვევაში სოფლად ჩვენ დავკარგავდით ხვალინდელ დღეს. შეიძლება დღეს კულაკური სტიქიისათვის ხელფეხის გახსნის გზით მივეღო მისგან ზედმეტი ფუთი პური, თუმცა ეს მეტად საეჭვოა, მაგრამ ხვალინდელი დღისათვის ეს იქნებოდა განახლებული კაპიტალიზმის გაძლიერებული შეტევა ჩვენს წინააღმდეგ. იქნებ სოფლად კულაკისათვის ხელფეხის გახსნით ოდნავ შეგვეთხელებია, თუმცა მე დიდი ეჭვი შემდის ამაში, რიგები ჩვენი კოოპერატივების წინ, მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში ოქტომბრის ბოლომდე მიყვანის და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხი არა თუ არ იქნებოდა გადაჭრილი, არამედ მისთვის დიდი საფრთხეც შეიქნებოდა. ჩვენ საკითხი ერთი დღისათვის კი არ უნდა გადავჭრათ, ჩვენ უნდა დავსვათ იგი მთელი სიგრძე-სიგანით. აი, როგორ იყო დასმული საკითხი შარშან. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე მოგველის. მაგრამ მხოლოდ ბრმას არ შეუძლია დაინახოს ის, რომ ჩვენი განვითარება სწარმოებს უდიდესი ტემპით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია სხვა ქვეყნების ისტორიაში.

ამხანაგებო, ვლადიმერ ილიჩი ამბობდა,—ჩვენ რომ 100 ათასი ტრაქტორი მოგვეპოვებოდეს, სოფლის მეურნეობის საკითხს გადავჭრითო. ილიჩის მოწაფეებმა მტკიცედ შეითვისეს ეს და გადასწყვიტეს შესრულონ მისი ანდერძი. ორი წლის შემდეგ, სულ ბევრი—ორნახევარი წლის შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში ყოველ წლიურად დამზადდება 120.000 ტრაქტორზე მეტი (ტაში).

აი, ამხანაგებო, როდესაც ლაპარაკობენ მუშებისა და გლეხების დაკავშირების შესახებ, ჩვეულებრივად ეს კავშირი ასე ესმით: მიეცი გლეხს ჩითი, მიეცი მას მარილი, ნავთი და სხვა სამრეწველო პროდუქტები. ამჟამად ეს არ კმარა. მუშისა და გლეხის ლენინური კავშირის რეალური შინაარსი ამჟამად უნდა გადატანილ იქნას საწარმოო კავშირზე, კავშირზე ტრაქტორის საშუალებით, სალეწი მანქანისა, კომბაინისა, გუთნებისა და სხვათა საშუალებით.

აი ამ დაახლოვებას ანხორციელებს ახლა პარტია სოფლად, რაც ვერ გაუგია ზოგიერთ მემარჯვენეს (ტაში).

ჩვენი სიძნელენი

და, როგორც ხედავთ, ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს. ამასთან ერთად გვაქვს დაბრკოლებანიც. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—უფრო მეტად გავშალოთ მიღწევები და დავძლიოთ დაბრკოლებანი. ეს ჩვენს წინაშე აყენებს ხალხისა და კადრების საკითხს. როგორ შევარჩიოთ ხალხი, როგორ გავანაწილოთ, როგორ დავაყენოთ თვითეული თავის ადგილზე? აი უდიდესი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას. თქვენ იცით, ამხანაგებო, ჩვენი დამოკიდებულება სპეცებთან. ერთი წლის წინად სტალინმა, შახტის საქმის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მთელი რიგი სხვა მავნებელი ორგანიზაციები იქნენ აღმოჩენილი (მე ვამტკიცებ: ჩვენი ორგანოების და, უმთავრესად, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შემწეობით რომ ეს მავნებელი ორგანიზაციები არ ყოფილიყვნენ აღმოჩენილი, ვინ იცის, რა მოგვივიდოდა გადამწყვეტ მომენტში, როდესაც ყველა ჩვენს სამრეწველო ორგანიზაციაში და ტრანსპორტზე მოკალათებული იქნებოდნენ კაპიტალისტების აგენტები, აგენტები ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა იმ მიზნით, რომ გადამწყვეტ მომენტში წაევლოთ ჩვენთვის ფეხში ხელი და წავეთრიეთ უკან) დასვა საკითხი საკუთარი პროლეტარული კადრების შესახებ, ეს საკითხი ერთბაშად ვერ გაიგო ზოგიერთმა ამხანაგმა. თითქო ჩვენ უნდობლობას ვუცხადებდით ყველა სპეცს. ეს არ არის მართალი. ეჭვი არაა, ჩვენს სპეცებში ბევრია (არ შემიძლია დანამდვილებით ვსთქვა, რამდენი პროცენტი, საერთოდ ჩვენი სტატისტიკა ზორბად მოიკოჭლებს ყველა მიმართულებით) ძველი ბურჟუაზიული სპეციალისტი, რომლებიც ჩვენთან მუშაობენ დაუზოგავი ენერგიით, გვეხმარებიან პატიოსნად და კეთილსინდისიერად.

რას მოვითხოვთ საბჭოთა აპარატისაგან

მაგრამ ამავე დროს საკმაოდ მოიპოვება ყველა ჯურის არამზადაც. თავს ნუ მოვიტყუებთ, ამხანაგებო. ბურჟუაზიულ სპეციალისტს უდიდესი გაჭირვებით და იშვიათად ეხერხება ჩვენი იდეების შეთვისება. ამხ. მოლოტოვმა ილაპარაკა სპეციალისტ გრომანზე. ეს მეცნიერი კაციაო. მაგრამ მეცნიერები სხვებიც არიან, მაგალითად, მილიუკოვი, კადეტების პარტიის ბელადი. იგი უეჭველად მეცნიერი, ჭკვიანი და ნიჭიერი კაცია, მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ის ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის მეთაურია და უდიდესი არამზადა (ტაში).

თუ გრომანის ამბავს მკითხავთ, უყოყმანოდ გეტყვით, რომ იგი ყოვლად მოუსყიდველი კაცია, მაგრამ ყველა ჩვენი სამეურნეო საკითხის გადაწყვეტის დროს, იგი ამ საკითხებს თავისებურად უდგება. მას არა სწამს არავითარი სოციალიზმი, მას შეუძლია, მაგალითად, „იმსჯელოს ასე: ბოლშევიკები აგებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, ეს კარგი საქმეა, ამაში მათ უნდა დავეხმაროთ, ისინი ანვითარებენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებს, ამაში მათ უნდა დავეხმაროთ. მაგრამ როდესაც ბოლშევიკები სოციალიზმის აშენების და სხვა ასეთი რამეების შესახებ ლაპარაკობენ, გრომანს ეს მიაჩნია ფანტაზიად, მას სწამს, რომ არავითარი სოციალიზმი ჩვენ არ გვაქვს და არც გვექნება და რომ ბოლშევიკები თანდათან უნდა დასწიოს საფეხურიდან საფეხურზე დემოკრატიულ-ბურჟუაზიული რელსებისაკენ. მე უკვე ვსთქვი, რომ, ჩემის აზრით, ის ყოვლად მოუსყიდველი ადამიანია, მაგრამ მისი იდეოლოგია უაღრესად საზიანო და მავნეა ჩვენთვის.

ავიღოთ, ამხანაგებო, სტატისტიკოსები, პირველი შეხედვით, რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო ობიექტური, როგორც სტატისტიკაა. კეთილსინდისიერად იანგარიშე ციფრები — მორჩა და გათავდა. მაგრამ არა. ჩვენთვის სტატისტიკა დიდი პოლიტიკური ფაქტორი ხდება და ჩვენი სტატისტიკოსები ამას მშვენივრად უწევენ ანგარიშს. გუშინ მე შემთხვევით მოვისმინე ცნობა, როგორ ულმერთოდ ურევს ყველა ციფრებს ჩვენი სტატისტიკური სამმართველოს საექსპერტო საბჭო. ავიღოთ, მაგალითად, პურის დამზადების საქმე. თუ აიღებთ ისეთ რაიონს, როგორიცაა უკრაინა, სადაც შარშან ზოგ ადგილას დიდი მოუსავლობა იყო, წელს მთელს უკრაინაში პურის დამზადება არ მიმდინარეობს ცუდათ. და ეს არა მარტო უკრაინაში; მე ამით სრულებითაც არ მინდა ვსთქვა, რომ იქ საქმე მშვენივრათ მიდის და რომ იქ არ არის და არ იქნება არავითარი დაბრკოლება. არა. პურის დამზადებისათვის წარმოებული მუშაობა უნდა წავიდეს შეუდრეკელად და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესუსტდეს, არამედ, პირიქით, უნდა ყოველნაირად გაძლიერდეს, რათა პურის დამზადება დამთავრდეს იანვრამდე და დანარჩენი თვეები გაზაფხულის თესვის კამპანიას მოხმარდეს. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ უკანასკნელი ორი თვის — აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში პურის დამზადება არ მიმდინარეობს ცუდათ, მაგრამ თუ ჩვენს სტატისტიკოსებს დაუჯერებთ, უნდა მივიღოთ წინააღმდეგი. აქ სტატისტიკამ ყველაფერი აურ-დაურია. რაშია აქ, ამხანაგებო, საქმე? ჩვენ გვგონია, რომ ჩვენს სტატისტიკას სურს იყოს არა მარტო სტატისტიკა, რომელიც პატიოსნად ითვლის ციფრებს, არამედ სურს პოლიტიკაც შექმნას. მათ მშვენივრად ესმით ციფრების ძალა. რამდენი პური გვაქვს ჩვენს ქვეყანაში, რამდენი დავამზადეთ, რამდენს გადავდებთ მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობისათვის და სხვ., — ამაზე არის დამოკიდებული რეალური პოლიტიკა. როდესაც აქ ყალბ ციფრებს გვაწვდიან, ამით სურთ გვაიძულონ დავადგეთ შემცდარ პოლიტიკას. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს აპარატს ძალიან ხშირად სურს გააკეთოს არა ის, რასაც პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვენ, არამედ სწორედ წინააღმდეგი. მე აუარებელი მაგალითის მოყვანა შემეძლო, მაგრამ არა მსურს შეგაწუხოთ.

ამხ. ს. ორჯონიკიძე

თქვენ იცით, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობაში ტრაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შარშან პუტილოვის ქარხანამ გამოუშვა რამდენიმე ასი ტრაქტორი. ჩვენ მას დაუყენეთ კითხვა 3000 ტრაქტორის გამოშვების შესახებ. მეურნეობის ხელმძღვანელებმა მხეცური წინააღმდეგობა გაგვიწიეს, მაგრამ რამდენიმე დღის წინად გავიგეთ, რომ ქარხანამ გამოუშვა სამი ათასი ტრაქტორი და მეტიც. მეტსაც ვიტყვი: ხუთწლიანი გეგმით ჩვენ გათვალისწინებული გვქონდა, რომ ხუთი წლის დამლევს პუტილოვის ქარხანა მოგვცემს 15.000 ტრაქტორს.

პოლიტბიურომ განიხილა ეს საკითხი და ზაფხულში შესაძლებლად სცნო ტრაქტორების წარმოება 1928-29 წელს აეყვანა 10.000 ცალამდე, ხოლო 1930—31 წელს — 15.000-მდე. ამრიგად, ხუთწლიანი გეგმა 3 წელიწადში სრულდება, დავა კი დაუსრულებელი იყო და წინააღმდეგობა მხეცური. ასეთივე მდგომარეობა იყო „იუგოსტალ"-ში, იგივე მდგომარეობა იყო მრეწველობის მრავალ სხვა დარგში. რას მოწმობს ყოველივე ეს? იმას, რომ ჩვენს სახალხო მეურნეობაში მოიპოვება უდიდესი, დღემდე გამოუყენებელი რეზერვები და ჩვენი განვითარების ტემპი შეიძლება კიდევ უფრო სწრაფი იყოს, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის ყოველ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ყოველ საპასუხისმგებლო დარგში ისხდნენ ისეთი ამხანაგები, რომელნიც მთლიანად და სავსებით შეითვისებენ მათთვის დავალებულ საქმეს, და არ იქნებიან სპეციალისტების აზრების განურჩევლად დამადასტურებელნი.

რათა გამოვიყენოთ ყველა ის შესაძლებლობა, რაც ჩვენს მეურნეობას მოეპოვება, რათა შევასრულოთ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები, უნდა გვქონდეს ისეთი საბჭოთა აპარატი, რომელიც მკაფიოდ და სინდისიერად უნდა ასრულებდეს პარტიისა და მთავრობის დავალებებს. ჩვენ აქ პირდაპირ უნდა ვსთქვათ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩვენი პარტია მუშაობს ასეთი აპარატის შესაქმნელად, ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი.

აპარატის წმენდის დაბრკოლებანი

ჩვენ დავიწყეთ საბჭოთა აპარატის წმენდა. როგორ ტარდება ეს წმენდა? კონფერენციაზე ეს პირდაპირ შეიძლება ითქვას: წმენდა ძალიან ცუდათ, პირდაპირ სამარცხვინოდ ტარდება. მუშათა კლასს და ჩვენს პროლეტარულ პარტიას პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებით მიეცა დავალება გასწმინდოს საბჭოთა აპარატი ბიუროკრატიულ, ჩვენთვის უცხო და გახრწნილ ელემენტებისაგან. გეკითხებით, ამხანაგებო, რას აკეთებთ იმისათვის, რომ ეს დავალება შევასრულოთ? თითონვე ვიძლევი პასუხს, ამ კითხვაზე: თითქმის არაფერს (სიცილი, ტაში). მე ძალიან მეშინია, რომ ჩვენ ამ საკითხის ირგვლივ კიდევ რამდენიმე თვეს ვიფუსფუსებთ, შემდეგ კი ყველა ბიუროკრატი და ყველა მათი მომხრე საქვეყნოდ დაიწყებს ღრიალს, რომ ჩვენ ვხრწნით, ვანგრევთ აპარატს.

საბჭოთა აპარატის გაწმენდა ბიუროკრატებისა და უცხო გახრწნილი ელემენტებისაგან ძალიან ძნელი ამოცანაა: პარტიის წმენდა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე საბჭოთა აპარატის წმენდა. ჩვენ თავს მოვიყრით და ერთმანეთს გავწმენდთ, ეს შედარებით ადვილია, მაგრამ აიღეთ საბჭოთა აპარატი. თუ ჩვენ საკითხს ისე მივუდგებით, რომ ყველა, ვინც პროლეტარული შთამომავლობის არ არის, უნდა გავაგდოთ მალე უაპარატოთ დავრჩებით, იმიტომ რომ ჩვენს აპარატში მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი მაინც არაპროლეტარული შთამომავლობისაა და ყველა ისინი რომ ჩვენი აპარატიდან გავდევნოთ, დარჩენილი ხალხით მუშაობას ვერ შევსძლებთ.

როგორ სდგას საკითხი? მოსამსახურეთა ამ მასიდან უნდა ამოვარჩიოთ უვარგისები, გავრეკოთ ისინი და მათ ადგილზე დავაწინაუროთ მუშები, უმაღლეს სასწავლებლების მსმენელები, მუშფაკელები და სხვები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუშის გაგზავნა საბჭოთა აპარატში კიდევ არ არის ყველაფერი, ის უნდა მოვამზადოთ ამ მუშაობისათვის, არ უნდა გავწყვიტოთ მასთან კავშირი, თორემ მალე ის თითონ გახდება აპარატის მსხვერპლი—გადაიქცევა პატარა ბიუროკრატად (სიცილი). თქვენ ფიქრობთ, რომ თუ მუშა ხართ, ყველაფრისგან უზრუნველყოფილი ხართ? უკაცრავად, ჩვენ ვიცნობთ ისეთ მუშებს, რომელნიც რამდენიმე ხნის შემდეგ ბიუროკრატებად იქცევიან. ხელის შეუწყობლად, დაუხმარებლად მუშა ადვილად შეიძლება დაიბნეს ჩვენს აპარატში. პარტიის წმენდისათვის ჩვენ მოვახდინეთ ცენტრალური საკონტროლო კომისიის, ცენტრალური კომიტეტის წევრების და მრავალი სხვა ხელმძღვანელი მუშაკის მობილიზაცია და გავგზავნეთ ისინი უჯრედებში. პარტია ხედავს ამას და ყურადღებას აქცევს, ეხლა აიღეთ საბჭოთა აპარატის წმენდა. როგორი დამოკიდებულება გაქვთ მის წმენდასთან თქვენ, მოსკოვის კომიტეტის წევრებს? თუნდაც ერთხელ დაესწარით საბჭოთა აპარატის წმენდას? არა. გააკეთეთ მოხსენებები აპარატის წმენდის შესახებ? არა. უნდა მოხდეს გადამჭრელი გარდატეხა, მთელმა პარტიამ უნდა მოჰკიდოს ხელი საბჭოთა აპარატის წმენდის საქმეს. საჭიროა, რომ პროფკავშირებმა, ბოლოს და ბოლოს ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს. ვიმეორებ, პარტიის წმენდა შედარებით გვარიანად მიმდინარეობს, მაგრამ აქაც შესამჩნევია ყურადღების შესუსტება, ხოლო საბჭოთა აპარატის წმენდა მეტად ცუდად მიმდინარეობს.

მუშგლეხინის აპარატი

ჩვენ ერთბაშად შევუდექით მეტად ბევრი ორგანოების წმენდას. ძალები არ გვეყო, ეს საქმე ვერ დავსძლიეთ. ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ამ დღეებში გამოიტანეს გადაწყვეტილება—არ დავქსაქსოთ ძალები მრავალ ორგანოებში, არამედ მთელი ყურადღება მივაპყროთ ჯერ-ჯერობით ორს—ფინსახკომს და მიწსახკომს და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

ზოგიერთ ადგილას ისე გაიგეს, რომ წმენდა საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების საქმეა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. რაც უნდა კარგი იყვნენ საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების ორგანოები, ამას კი ისინი ჯერ-ჯერობით ძალიან დაშორებულნი არიან, სულ ერთია, მარტო თავიანთი ძალებით, ამ ამოცანის შესრულებას ვერ შესძლებენ. ეს არის მთელი პარტიის, მთელი მუშათა კლასის საქმე. საწუხაროდ, ჩვენ დღემდე ვერ ვგზავნით ჩვენი საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების ორგანოებში ისეთ ხალხს, რომელზედაც ლაპარაკობდა ვლადიმერ ილიჩი. ხშირად, ამხანაგებო, ძველებურად იქცევიან: ვინც არაფერში არ გამოდგება და ვინც არავისთვის საჭირო არ არის, მას საკონტროლო კომისიის ორგანოებში გზავნიან (სიცილი). დღემდე ბევრი იმ აზრისაა, რომ საკონტროლო კომისიასა და მუშათა-გლეხთა ინსპექციაში უნდა დავსვათ ისეთი ხალხი, რომელსაც აქვს ადამის დროის პარტიული სტაჟი (სიცილი), და არა ისეთი, რომელიც მზად არის იბრძოლოს და შეუძლია იბრძოლოს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და ყველა უმსგავსოების წინააღმდეგ ჩვენს პარტიაში (ხმა ადგილიდან: „აუცილებლად მელოტი"). ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, სამწუხაროდ, ეს აუცილებელი ხდება, რომ ვლადიმერ ილიჩი წინადადებას გვაძლევს საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოებში გაგვეგზავნა საუკეთესო მუშაკები, რომლებსაც შეუძლიათ ებრძოლონ ბიუროკრატიზმს და გამოამჟღავნონ ყოველგვარი უმსგავსოებანი. ავიღოთ მაგალითად, ასტრახანი, ბაქო, ლენინგრადი და ის იარები, რომელნიც გამომჟღავნდნენ იქ. სად იყვნენ საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოები? რატომ თავის დროზე ვერ შეამჩნიეს და ვერ დასვეს მათ ეს საკითხები? თუ ადგილზე მათ მოახერხეს ჯეროვანი ყურადღება მიექციათ ყოველივე გამომჟღავნებულისათვის, რატომ არ შეატყობინეს ეს შემდეგში ცენტრალურ კომიტეტს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. რატომ გამოვიდა ასე? ეს იმიტომ გამოვიდა, რომ ჩვენი საკონტროლო ორგანოები ადგილებზე ძალიან ხშირად თავიანთი მდგომარეობის სიმაღლეზე ვერ დგანან. ეს ორგანოები შექმნილნი არიან სპეციალურად იმისათვის, რომ შეამოწმონ, თუ როგორ ხორციელდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები, როგორ მკაფიოდ სრულდება ეს ადგილებზე, სინამდვილეში კი ძალიან ხშირად ასე არ ხდება. რატომ? იმიტომ, რომ მათ ისეთ მუშაკებს არ აძლევენ, როგორიც საჭიროა. მე ძალიან მეშინია, ამხანაგებო, რომ თუ ჩვენ ამ მხრივ მდგომარეობა არ გამოვასწორეთ, თუ არ გავაკეთეთ ის, რაც საჭიროა, ჩვენი საკონტროლო ორგანოები დაჰკარგავენ ყოველგვარ ავტორიტეტს და ნდობას მუშებს შორის. როგორ გგონიათ—როდესაც ჩვენ ვაქვეყნებთ ცნობებს ასტრახანის შესახებ და ვიკვეხით — ო, რა ბიჭები ვართო, რას ამბობენ მუშები? — ეს ძალიან კარგი, რომ თქვენს უმსგავსოებას არ ფარავთ, რომ ამჟღავნებთ მათ, მაგრამ არ შეიძლება მოხერხდეს, რომ ასეთი უმსგავსოება სრულებით არ იყოს? (ტაში). ხომ არ შეიძლება მოხერხდეს, რომ მხოლოდ მომხდარი ფაქტის შემდეგ კი არ ვლაპარაკობდეთ, არამედ წინასწარ აღვკვეთოთ ეს უმსგავსოებანი? ხომ არ შეიძლება მოხერხდეს, რომ ისეთი პირველხარისხოვანი ორგანიზაციებში, როგორიც არის ბაქოს და ლენინგრადის ორგანიზაციები, არ დავუშვათ ის უმსგავსოებანი, რომელნიც შემდეგ მჟღავნდებიან (ხმა ადგილიდან: დროზე არ გვეხმარებიან). სწორია, საჭიროა დროზე დახმარება, საჭიროა მივიღოთ წინასწარი ზომები უმსგავსოების ძირშივე აღსაკვეთად და ამით დაუკარგოთ ჩვენს მტრებს იმის საშუალება, რომ ჩვენი ნაკლით გაიხარონ. თუ, ამხანაგებო, ჩვენ გვინდა გვქონდეს ნამდვილი საკონტროლო ორგანო, თუ მოსკოვის კომიტეტს სურს ჰქონდეს მჭრელი თვალი, რომლითაც შეეძლოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების შემოწმება, მაშინ, კეთილ ინებეთ, ამხანაგებო, და ისეთი მუშაკები გაგზავნეთ საკონტროლო ორგანოებში, რომლებსაც შეეძლოთ ამის გაკეთება, რომლებსაც ჰქონდეთ ასეთი თვალი. თუ ასეთი საკონტროლო ორგანოები გვეყოლება, ჩვენში ნაკლები იქნება ისეთი მოულოდნელობანი, როგორიც არის ასტრახანი და სხვ.

ბრძოლაში ჩვენი დეფექტების აღმოფხვრისა და გამომჟღავნებისათვის დიდია თვითკრიტიკის როლი. ამ ორი წლის წინად გადასროლილ იქნა თვითკრიტიკის ლოზუნგი. ზოგიერთი ამხანაგი ამბობდა, რომ ის ძველი ლოზუნგია, არაფერს ახალს არ შეიცავსო და სხვ. სინამდვილეში თვითკრიტიკა ბევრს არ ესიამოვნებოდა. ბევრი ფიქრობდა: ვაი თუ თვითკრიტიკიდან სკანდალი გამოვიდესო. განვლილმა ორმა წელმა დაამტკიცა, რომ თვითკრიტიკა აღმოჩნდა უდიდესი იარაღი ჩვენი დეფექტების გამომჟღავნებისა და აღმოფხვრის საქმეში. ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. საჭიროა გავშალოთ თვითკრიტიკა ჩვენი მუშაობის ყველა დარგში, აღმოვფხვრათ პარტიისა და საბჭოთა აპარატის ყოველი სიდამპლე, რათა წინ გავსწიოთ. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ თუ რომელიმე ამხანაგი ტყუილს იტყვის ან დასწერს, მისი უარყოფა არ შეიძლება. ჩვენი სამეურნეო მუშაკები ხშირად სჩივიან, რომ მათ პრესაში თავის გამართლების საშუალებას არ აძლევენ, რომ თვითკრიტიკის მახვილი უმთავრესად მიმართულია მათ წინააღმდეგ. რომ თვითკრიტიკა უმთავრესად მიმართულია ჩვენი მეურნეობისაკენ, ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ვინაიდან აქ ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი შეცდომა, მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ჩვენს სამეურნეო მუშაკებს თავის გამართლების საშუალება არ უნდა მიეცეთ, როდესაც მათ შესახებ ტყუილს სწერენ. პარტიამ აღზარდა დიდი სამეურნეო კადრები, ისინი სათავეში უდგანან ჩვენს სახალხო მეურნეობას, რომელიც წინ მიდის. უეჭველია, რომ ჩვენ შეგვეძლოა ვიამაყოთ ბევრი ჩვენი ტრესტის მუშაკით და ბევრი წითელი დირექტორით. პარტია არავის არ მისცემს ნებას ხელაღებით დასდოს მათ ბრალი, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვეუბნებით მათ: არც ერთ თქვენს შეცდომას არ გამოვტოვებთ, არ დავფარავთ.

ამ ცოტა ხნის წინად გამოქვეყნდა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ქარხნების ერთპიროვნული მმართველობის შესახებ. ეს აბსოლიუტურად სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ უჯრედები, ფაბქარხკომები და პროფკავშირები განზე უნდა დარჩნენ? სრულებითაც არა. მათი ამოცანა ძველებურად იმაში მდგომარეობს, რომ ფხიზლად ადევნონ თვალყური იმას, თუ რა ხდება ქარხნებში, ფაბრიკებში და ტრესტებში, აღნიშნონ ყველა ნაკლი და გამოასწორონ იგი. რა გვინდოდა გვეთქვა ჩვენი დადგენილებით? ჩვენ გვინდოდა მთელი პარტიისათვის მიგვეცა ის გეზი, რომ ყოველი კომუნისტი ქარხანასა და ფაბრიკაში ყოველნაირად ეხმარებოდეს სამეურნეო მუშაკს იმ დავალების გატარებაში, რომლის შესრულებაც მას პარტიამ მიანდო.

აი, ამხანაგებო, როგორ უნდა გარდავქმნათ მუშაობა. ჩვენში ზოგჯერ ისე ხდება, რომ დირექტორიც სწყვეტს, ფაბკომიც სწყვეტს, უჯრედიც სწყვეტს. ეს სწორი არ არის. ჩვენ ეხლა უნდა ვაშენებდეთ და ვმუშაობდეთ ისე, რომ ფუჭად არ დავკარგოთ არც ერთი წუთი, არც ერთი საათი, ამიტომ საჭიროა ერთი ნებისყოფა. დირექტორს შეუქმენი ამხანაგური ნდობის ატმოსფერო, გაუწიე მას ამხანაგური კრიტიკა, ყოველმხრივ დაეხმარე მას მუშაობაში და ზეგავლენა მოახდინე მასზე ყოველ ისეთ შემთხვევაში, თუ იგი უხვევს სწორი ხაზიდან და ნამდვილი მუშაობიდან.

ამ კონფერენციიდან დაბრუნებისას მოსკოვის ორგანიზაცია, რომელიც ძველებურად რჩება ცენტრალური კომიტეტის ბურჯად ბრძოლაში ყოველგვარ მერყეობასთან მარჯვნივ და „მარცხნივ" (ეხლა კიდევ გამოჩნდნენ ახალგაზრდა „მემარცხენენი" შაცკინი და სტენი, რომელნიც საკმაოდ დაბნეულად ლაპარაკობენ), ჯამს გაუკეთებს მთელ თავის მუშაობას და მთელ თავის ენერგიას გამოიყენებს ჩვენი სახალხო მეურნეობის განსავითარებლად, ფაბრიკაში, ქარხანაში და ტრესტში მუშაობის უკეთ დასაყენებლად და ამოცანად დაისახავს: მოცემულია ხუთწლიანი გეგმა, მოდით — მთელი ძალღონე და ენერგია მოვახმაროთ იმას, რომ 3-4 წელიწადში შევასრულოთ ეს გეგმა (ტაში). ასეთი მუშაობა იქნება პარტიის გენერალური ხაზის ნამდვილი გატარება. ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ზოგიერთი ნაწილის შესრულებას ჩვენ მართლაც შევძლებთ 3 წელიწადში, ხოლო 4 წელიწადში, ალბათ, მთელ ხუთწლიან გეგმას შევასრულებთ. თუ ჩვენ დღეს სიხარულს გამოვთქვამდით ჩვენი მიღწევების გამო და ამავე დროს ვლაპარაკობდით ჩვენს სიძნელეებსა და კუდებზე, ხუთწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ ყოველგვარი კუდი და სასურსათო სიძნელე წარსულს ჩაბარდება. ჩვენ უკვე გამოვედით სოციალისტური მშენებლობის ფართო შარა გზაზე და წინ მივდივართ (მქუხარე ტაში).

მეურნეო, საბჭოთა და პარტიულ აპარატში გულგრილობის ყოველი შემთხვევა არაჩვეულებრივად ძლიერ, მაგრამ სამართლიან რეაქციას იწვევს მუშების მხრით. ზოგჯერ ეს რეაქცია მტკივნეულ ფორმასაც ღებულობს. მაგრამ საქმე ამ მტკივნეულობაში როდია. მთელი ამ პროცესის სავსებით საღ სათავეს წარმოადგენს მაღალი აქტივობა და არაჩვეულებრივი სიფხიზლე საბჭოთა აპარატის მიმართ, არაჩვეულებრივი სიძულვილი ბიუროკრატიზმისადმი, ბრძოლა ზედნადები ხარჯების წინააღმდეგ და სხვ. საჭიროა, რომ ამ ნიადაგზე უფრო გაძლიერდეს ჩვენი მუშაობა მასების ჩასაბმელად სოციალისტურ მშენებლობაში.

ამ მხრით, მასების დამოუკიდებლობის გაძლიერების მხრით, ხუთწლიანმა გეგმამ უდიდესი როლი ითამაშა. თავის დროზე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენებაში მე აღვნიშნე, რომ ეს გეგმა წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ და კონკრეტიულ პროგრამას და ამავე დროს—მასების ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდს. მე ხაზგასმით აღვნიშნე, რომ თუ სოციალისტური მშენებლობის გეგმას შეითვისებენ მოსახლეობის ფართო მასები, თუ ჩვენ ამ გეგმას გავაცნობთ არა მარტო ოლქებსა და რაიონებს, არამედ ქარხნებს, საამქროებსა და სოფლებს, თუ მუშები და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები შეითვისებენ გეგმის ნამდვილ შინაარს და სისწორით გაიგებენ იმას, თუ რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დავსძლიოთ გაჭირვება, რომ ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება,—ეს იქნება მშენებლობის საქმისათვის მთელი მშრომელი მოსახლეობის მთელი ძალ-ღონის სრულებით განსაკუთრებული მობილიზაცია. ხუთწლიანი გეგმა აწვდის ამ მოსახლეობას უდიდეს სამუშაოთა კონკრეტულ პროგრამას. თვითკრიტიკა, სოციალისტური შეჯიბრება, ჩვენი პირველი მიღწევები საბჭოთა აპარატის წმენდისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში, საბჭოთა და სამეურნეო დარგში სამუშაოდ ახალი კადრების დაწინაურება, მასების ყურადღება ხელმძღვანელთა ყველა შეცდომისადმი, იმის შესაძლებლობა, რომ უდიდესი სისწრაფით გატარებულ იქნან ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის განუწყვეტელი წარმოება და ხუთდღიანი კვირა,— ყველაფერი ეს შედეგია იმ უდიდესი გარდატეხისა, რომელიც ამ ბოლო დროს ხდება მასების შეგნებაში და მათი აქტივობის ზრდაში.

საკმაოდ გამოყენებულია თუ არა ჩვენში ყველგან მასების ეს გაძლიერებული აქტივობა? მე ვფიქრობ, რომ არა. ჩვენ ჯერ მხოლოდ ვსწავლობთ, ჯერ მხოლოდ პირველი და მეტად გაუბედავი ნაბიჯები გვაქვს გადადგმული იმისათვის, რომ მთელი ჩვენი მუშაობა ამ ახალი პირობების მიხედვით გარდავქმნათ.

კერძოდ, მე მინდა აღვნიშნო ჩვენი მუშაობის ერთი დარგი, რომელშიაც ჯერ საკმაოდ არ უჩენია თავი ამ აქტივობას და რომელსაც ჯერ კიდევ საკმაოდ არ შეხებია თვითკრიტიკის ცეცხლი. მე სახეში მაქვს ჩვენი მომმარაგებელი და განმანაწილებელი აპარატის მუშაობა, კერძოდ, ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა. ყველამ ვიცით, რომ მომარაგების საქმეში ამჟამად ჩვენ ზოგჯერ მძიმე მომენტებს განვიცდით. მთელი ჩვენი პოლიტიკიდან კი გამომდინარეობს ის, რომ მუშათა სამომხმარებლო საჭიროებანი, შეძლებისდაგვარად, მთლიანად უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

თუ კაპიტალისტთან მუშა მხოლოდ მუშაძალაა, რომელსაც მანქანასთან ერთად ექსპლოატაცია უნდა გაუწიოს, ჩვენთან მუშათა სახელმწიფოში, მუშა ყველაზე მეტ ღირებულებას წარმოადგენს. ის არის საფუძველი და პატრონი მთელი სახელმწიფოსი.

მუშათა კლასის სურსათით მომარაგების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იმ ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც ტარდება საქონლის წარმოების გაძლიერების ხაზით, საჭიროა ყოველმხრივ გამოვასწოროთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი კოოპერაციის მუშაობა. ეხლა კერძო ვაჭრის სწრაფი ლიკვიდაციისაგან და სახელმწიფო და კოოპერატიული ხაზის მომარაგებისაგან დამოკიდებულია მუშათა მომარაგებაც. კერძო ვაჭარი ასპარეზიდან შორდება არაჩვეულებრივი სისწრაფით. მუშათა კლასმა უნდა შეიგნოს, რომ მისთვის [illegible] გაწევა, როგორც მომხმარებლისათვის, მთლიანად დამოკიდებულია კოოპერაციისაგან. სადა გვაქვს ჩვენ საზოგადოებრივობა ყველაზე ცუდათ მოწყობილი, თუ არა კოოპერაციაში? ამისათვის კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესება ფართო მასების მონაწილეობის მაქსიმალური ზრდით, უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. მშენებლობის ზრდის, შრომის ნაყოფიერებისა და შეჯიბრების ეხლანდელი მეტად დაჭიმული ტემპის დროს, სურსათ-სანოვაგის საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ უზრუნველვყოთ მუშათა კლასის ძალების თანდათანი აღდგენა.

ისეთი ამოცანები, როგორიც არის მთელი ჩვენი, საუკუნეებით შექმნილი, მახინჯი ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნა თანამედროვე პირობებთან შეფარდებით და ისეთ ვადებში, რომელიც იზომება არა ათი წლობით, არამედ უფრო მოკლე ვადებით, გადამწყვეტი გადასვლა მუშაობის ახალ ტემპზე, შრომის ნაყოფიერების აწევის ახალ მასშტაბზე, რომელიც მოწინავე ქვეყნების მასშტაბს უახლოვდება,—ასეთი ამოცანები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მილიონების უდიდესი აქტივობით, აქტივობით, რომელიც ემყარება ამ ამოცანების ნათელ გაგებას, თვითეულის შეგნებულ მიდგომას თავის სამუშაოსადმი, მრავალმილიონიანი კოლექტივის შემოქმედებით აღტყინებას.

არსებულ ეტაპზე სოციალიზმის განვითარება დაკავშირებულია სოფლად და ქალაქად კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან, კლასობრივი ძალების თავისებურ განაწილებასთან. პროლეტარული ბანაკის ძალთა კონსოლიდაციასთან და ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის როლის გავლენის გაძლიერებასთან ერთად, რაც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის სოციალისტური საფუძვლების გაფართოებასთან, კულაკურ-ნეპმანურ ბანაკში შესამჩნევი ხდება სოციალისტურ შეტევისადმი წინააღმდეგობის გაძლიერება. კულაკი სარგებლობს ყოველგვარი შეფერხებით, ჩვენი მუშაობის ყოველი შეცდომით, მოდუნებით, ძველისადმი სიყვარულით, უღარიბეს და საშუალო ჩამორჩენილი ფენების ყალბი შეხედულებებით, ჩვენი ორგანოების ყოველი ყალბი ნაბიჯით, რომელიც საზიანოა უღარიბეს და საშუალო გლეხისათვის, ბერავს ჩვენი საბჭოთა და კოლმეურნეობების ყოველ შეცდომას და ცდილობს უღარიბეს და საშუალო გლეხობის საბჭოთა და კოლმეურნეობებში მოწყობას, სამანქანო სატრაქტორო სადგურებისა და კოოპერაციის მუშაობას დაუპირისპიროს თავისი ხაზი, ე. ი. კაპიტალისტური განვითარების გზა.

მუშათა და გლეხთა ბლოკის განმტკიცება, ამ ბლოკში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება ასეთ პირობებში მოითხოვს მუშათა კლასის უფრო მეტ აქტივობას, ვიდრე აქამდე იყო. აქედან ჩვენი ძირითადი ლოზუნგია—თვითკრიტიკისა და მუშათა კლასის აქტივობის შემდგომი განვითარება ოქტომბრის მონაპოვართა სრული განხორციელებისათვის და კაპიტალიზმზე სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელსაც ოვაცია მოსდევს).

თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

მესამე სხდომა

ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება

პლენუმის მესამე სხდომაზე, 27 სექტემბერს, მოსმენილი იქნა ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება საქ. კპ. (ბ) ცეკას მიმართვის შესახებ თვითკრიტიკის უფრო ფართოდ გაშლის აუცილებლობაზე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს წინაშე გადაიშალა მთელი რიგი უმსგავსოებანი, რომელმაც, შესაძლებელია, ზოგიერთი ამხანაგები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჩვენი პარტია ირღვევა და შიგ შველა არსად არის.

უნდა ვიცოდეთ, რომ მთელი რიგი უმსგავსოებათა გამომჟღავნებით ჩვენი პარტიის მუშაობა უფრო ჯანსაღდება და მტკიცდება. გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩვენ უფრო მეტად გავაძლიერებთ და განვამტკიცებთ პარტიის გენერალური ხაზის ცხოვრებაში ურყევად გატარებას.

ყველა ეს უმსგავსოებანი, რომელთა მოწმენიც ჩვენ შევიქენით, გასაგებია. ეს არის ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის და აქედან გამომდინარე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის შედეგი. კულაკი სოფლად და ნეპმანი ქალაქად აშკარად გრძნობენ თავიანთი აღსასრულის მოახლოებას და სოციალისტური სექტორის შეტევას კაპიტალისტური კონტრ-შეტევით უპასუხებენ. ასეთი გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა ჩვენი პარტორგანიზაციის მუშაობაში თავის გამოხატულებას პოულობს. საგულისხმოა, რომ პარტიის ესა თუ ის წევრი შეიძლება ოფიციალურად იმიჯნებოდეს მემარჯვენე იდეოლოგიიდან და პარტიის პოლიტიკის მომხრედ აცხადებდეს თავის, მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში კლასობრივ მტერს ემსახურებოდეს, მის საქმეს აკეთებდეს. რით აიხსნება ის გარემოება, რომ კომუნისტი, რომელმაც მთელი თავისი შრომა და ენერგია რევოლიუციონურ ბრძოლას მოანდომა, დღეს იმათ საქმეს აკეთებს, ვის წინააღმდეგაც იგი ამდენ ხანს იბრძოდა? მიზეზი ამისა იფარება არა მხოლოდ ამ ადამიანის სუბიექტიურ შეფასებაში; ამის მთავარი მიზეზი ობიექტიური პირობებია.

ჩვენი მუშაობა დღეს უფრო რთული და ძნელი შეიქნა, ვიდრე ეს არალეგალური მუშაობის დროს იყო. და სწორედ ამ საქმეში აღარ შესწევთ ზოგიერთ ამხანაგებს ბრძოლის უნარი და იმის მაგიერ, რომ მხარში ამოუდგნენ პარტიას და ხელისუფლებას სოციალისტური მშენებლობის გარდამავალ სიძნელეთა დროზე დასაძლევათ, ისინი კლასობრივი მტრის გავლენის ქვეშ ექცევიან. დღევანდელ სიძნელეთაგან შეშინებულნი, ისინი აღარ ფიქრობენ იმ დიდ მომავალზე, რომელიც მოჰყვება სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ დღევანდელმა სიძნელეებმა და არც ერთი ნაბიჯით არ უნდა დავიხიოთ ინდუსტრიალიზაციის განვითარების აღებული ტემპიდან. დღეს ცოტა უნდა გავიჭირვოთ და მერმისათვის ვიფიქროთ. მაგრამ ამას ვეღარ უწევენ ანგარიშს ზოგიერთი კომუნისტები და შიშ და უიმედობაში ვარდებიან, ხოლო ზოგიერთნი კი სავსებით იხრწნებიან. ავიღოთ კახეთის, სამხრეთ-ოსეთის, აჭარისტანის და, თუ გნებავთ, აფხაზეთის ამბები. კახეთის ორგანიზაციას მთელი რიგი მიღწევები აქვს, მაგრამ მისი მიღწევები მოკლებულია კლასობრივ საფუძველს. კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელები აშკარად მოექცნენ კლასობრივ მტრების გავლენის ქვეშ, (მიუხედავად იმისა, რომ ისინი მემარჯვენეებად არ სთვლიდნენ თავიანთ თავს) და გაიხრწნენ და გადაგვარდნენ. კახეთის „გმირების" უმსგავსოებანი რამოდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. ავიღოთ მაგ., მართაშვილის საქმე. როგორ მოხდა, რომ მართაშვილი რამოდენიმე წლის განმავლობაში ათასგვარ უმსგავსოებას სჩადიოდა, რევოლვერით გლეხებს კბილებს ამტვრევდა, ამის შესახებ არა მარტო უპარტიო გლეხები, არამედ პარტიულებიც კი ვერ იღებდნენ ხმას. როგორ მოხდა, რომ უმსგავსოებანი აჭარისტანში რამოდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. ეს ხდებოდა იმისათვის, რომ თვითკრიტიკა იქ ჩახშობილი იყო. ადგილობრივი მუშები და გლეხები არ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ ყველა ბოროტებათა და უმსგავსოებათა მხილების შემდეგ მათ კარგი დღე არ დაადგებოდათ. ეს მოხდა იმისათვის, რომ იქ არ ხდებოდა პარტიის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შემოწმება, მარტო რეზოლიუციებით და დადგენილებებით კი მშრომელთა საქმე არ კეთდება.

საქ. კომპარტიის ცეკა მოუწოდებს პარტიის წევრთა და მუშათა კლასის ფართო მასებს გააძლიერონ ბრძოლა თვითკრიტიკის გასაშლელად და ყველა შემჩნეული დეფექტების დროზე და მოურიდებლად გამოსამჟღავნებლად. ულმობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს თვითკრიტიკის ჩახშობისა და შეზღუდვის კონკრეტიულ ფაქტებს. პარტიულმა, პროფესიონალურმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გაშალონ ფართე მუშაობა მუშათა კადრების უფრო გაბედულად დასაწინაურებლად და მუშათა აქტივის მოსამზადებლად. საბჭოთა აპარატის წმენდა უნდა გადაიქცეს უმნიშვნელოვანეს საფეხურად თვითკრიტიკის გაშლის საქმეში.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

კ ა მ ა თ ი

ამხ. ხაჯალია

თვითკრიტიკის ფართოდ განვითარებისათვის საჭიროა წინასწარი სათანადო მუშაობა, რაც ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაშლილი. მუშები სავსებით არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ სხვადასხვა დეფექტებისა და უმსგავსოებათა გამომჟღავნების დროს, მათ საშიშროება არ მოელით. ამ მხრივ უნდა გაიშალოს მუშაობა და ძირფესვიანათ უნდა აღმოიფხვრას თვითკრიტიკის შეზღუდვისა და ჩახშობის მოვლენები. გარდა ამისა, მთელ რიგ თათბირებზე და კონფერენციებზე გამოსულ მუშების წინადადებები და შენიშვნები მარტო ქაღალდზე არ უნდა იჭერებოდეს.

ამხ. წითლიძე

ლენინის რაიონში მიუხედავად დიდი მიღწევებისა, შემჩნეულია თვითკრიტიკის შეზღუდვისა და ჩახშობის ფაქტები: მაგ., სატრანსპორტო კოოპერაციის სავაგონო პარკის უჯრედი და სხვ.. რაიონულმა კომიტეტმა მტკიცედ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და, ალბად, უმსგავსოება იქნება აღმოჩენილი. უნდა ითქვას, რომ პროფკავშირები ადგილებს სათანადოთ არ გვიწყობენ ხელს. ცენტრალურმა კომიტეტმა სასტიკი ზომები უნდა მიიღოს აგრეთვე ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც ფარავს და ხელს უწყობს იმ სიმახინჯეების არსებობას, რომელთაც აქა-იქ ადგილი აქვს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. ა. მამულიამ, ფირალოვმა, სალუქვაძემ, იაგნეტინსკიმ და სხვ.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ საღამოს, პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენების ირგვლივ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. სხირტლაძემ, ბეჟანოვმა, მარკმანმა, ჭანკვეტაძემ, კ. ყოყიაშვილმა, შახსუვაროვმა, ლ. სუხიშვილმა და ერ.ასრიბეკოვმა.

საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუციები პლენუმზე მოსმენილ მოხსენებათა ირგვლივ. ამით დამთავრდა თბ. საოლქო კომიტეტის მეშვიდე პლენუმი.

მშენებელთა საგანგებო ყრილობა

კავშირის წევრთა გაერთიანებული ძალღონით უნდა გამოსწორდეს ძველი ხელმძღვანელობის შეცდომები

ყრილობის გახსნა

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს მშენებელ მუშათა პროფესიონალური კავშირის საგანგებო ყრილობა. ყრილობა გახსნა საორგანიზაციო ბიუროს წარმომადგენელმა ამხ. ნ. ღლონტმა, რომლის წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ფაბრიციუსის და ჩინეთის საზღვარზე მომხდარ შეტაკებების დროს დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას. გორის დელეგატების წინადადებით ყრილობამ დაადგინა ჩინეთის საზღვარზე დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სასარგებლოდ თვითეულმა დელეგატმა გადასდოს ორი მანეთი. არჩეულ იქნა სარედაქციო კოლეგია, რომელსაც დაევალა ყრილობის განმავლობაში კედლის გაზეთის გამოშვება და ხელმძღვანელობა. შემდეგ არჩეულ იქნა სამდივნო და საპატიო პრეზიდიუმი და დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი. დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები: 1) ცენტრალური გამგეობის დაშლა და საორგანიზაციო ბიუროს მოხსენება, 2) ცენტრალური გამგეობის საანგარიშო მოხსენება, 3) მშენებლობის პერსპექტივები, 4) სოციალისტური შეჯიბრება, 5) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 6) საორგანიზაციო საკითხები.

ამხ. ნ. ღლონტის მოხსენება

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს პროფსაბჭოს საორგანიზაციო ბიუროს წარმომადგენელი ამხ. ნ. ღლონტი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მშენებელთა კავშირის უკანასკნელმა გამგეობამ სრულიად ვერ შეასრულა მის წინაშე მდგომი ამოცანები. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საამშენებლო სეზონის დაწყებას, რის გამო სეზონი დიდათ იგვიანებდა და შეუსრულებელი რჩებოდა მშენებლობის გეგმები. არავითარი კონტროლი არ ეწეოდა მშენებლობას, ამის გამო ირღვეოდა მშენებლობის გეგმა და უნაყოფოთ იხარჯებოდა დიდძალი თანხები. სრულიად მოუგვარებელი იყო ხელფასის საკითხი და თვითეული მშენებელი ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა თავისი საკუთარი განკვეთებით. ცენტრალური გამგეობა და საოლქო განყოფილებები არა თუ არ ებრძოდნენ ცალკე მშენებელ მუშათა მტაცებლობას, არამედ თავისი მაგალითით აქეზებდნენ მათ. კავშირში სრულიად არ სწარმოებდა რაიმე მასიური მუშაობა და კავშირი, როგორც მთლიანი ორგანიზაცია მონაწილეობას არ იღებდა სხვადასხვა კამპანიებში. კავშირში გამეფებული იყო ანარქია და მტაცებლობა, გაფლანგვების წინააღმდეგ ცენტრალური გამგეობა არა თუ არ ღებულობდა რაიმე ზომებს, არამედ პირიქით აწინაურებდა მათ. თვით გამგეობის წევრებსა და მუშაკებს გაფლანგული აქვთ საგრძნობი თანხა. გამგეობა სათავეშივე ჰკლავდა თვითკრიტიკას და ყოველ ცალკე წევრს ან წევრთა ჯგუფებს, რომლებიც შეეცდებოდნენ გამგეობის მოქმედების კრიტიკული თვალსაზრისით განხილვას, დაუყოვნებლივ ხსნიდენ სამსახურიდან. ასეთ „საქმიანობაში" ჩაბმულ გამგეობას საკავშირო მუშაობისათვის დრო აღარ რჩებოდა და უყურადღებოთ იყო მიტოვებული, როგორც სხვა საკითხები, აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრება. ცენტრალური გამგეობა მთლიანად გადაყენებული იქნა და მის ნაცვლად ყრილობამ თავის წრიდან უნდა გამოყოს ამხანაგები, რომლებიც შესძლებენ წარსული გამგეობის შეცდომების და დეფექტების გამოსწორებას, მუშაობას ჩააყენებენ სასურველ კალაპოტში და მთლიანად განახორციელებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს.

მორიგი სხდომა შესდგება დღეს დილის 9 საათზე.

მილიციის უღირსი მუშაკები დასჯილნი არიან

ს. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტმა მოისმინა სპეციალური კომისიის მოხსენება გაზეთ „მუშა"-ს მე-2034 ნომერში მოთავსებულ წერილის („ჯავახიშვილი არცხვენს წითელ მილიციას") გამო, რომელშიაც თბილისის ადმინგანის უფროსის მოადგილის—ჯავახიშვილის და მილიციის მე-5 რაიონის უფროსის—ნიკოლაიშვილის წინააღმდეგ წამოყენებული იყო მთელი რიგი ბრალდებანი. კომისიის მოხსენების გამო თბილისის საოლქო პარტიულ კომიტეტმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1. აღინიშნოს თბ. მილიციის ზოგიერთ ხელმძღვანელ თანამშრომლების მთელი რიგი უმსგავსო მოქმედებები და გახრწნის ფაქტები (სისტემატიური ლოთობა სოციალურად უცხო ელემენტებთან.

2. მიუხედავად იმისა, რომ უმსგავსოებებს დიდი ხანიდან ქონდა ადგილი, ის არ ყოფილა გამოაშკარავებული არც მილიციის უფროსობის შემადგენლობისა და არც პარტიულ კოლექტივის მიერ; ეს უმსგავსოება არ ყოფილა გამოაშკარავებული კოლექტივის წმენდის დროსაც კი.

3. ასეთი მდგომარეობა აიხსნება უმთავრესად თვითკრიტიკის ჩახშობით, ძმა ბიჭურ-შინაურული ურთიერთობით და ერთმანეთის გამოსარჩლებით.

ზემოაღნიშნულის გამო **თბილისის კომიტეტი ადგენს:**

1. გამოეცხადოს საყვედური მილიციის კოლექტივის ბიუროს და მოხდეს მისი გადარჩევა.

2. მოიხსნას სამუშაოდან ჯავახიშვილი და ნიკოლაიშვილი და საქმე გადაეცეს ც. ს. კომისიას პარტიიდან გამოსარიცხად.

3. მოიხსნას სამუშაოდან ამხ. წერეთელი და გამოეცხადოს მას საყვედური ქეიფსა და დროს ტარებაში ნაწილობრივი მონაწილეობისათვის. აღიძრას საკითხი საქართველოს მუშგლეხინის წინაშე ასეთივე მოქმედებისათვის ტაბიძის სამუშაოდან მოხსნის შესახებ.

4. დაევალოს სახელმწიფო აპარატის შემმოწმებელ საოლქო კომისიას დააჩქაროს მილიციის შემადგენლობის გაწმენდა.

5. პარტიის რაიკომმა შეიმუშაოს ღონისძიებები კოლექტივის პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად და თვითკრიტიკის გასაშლელად.

თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი **ლ. სუხიშვილი.**

ქართული ტერნაწილების მანევრები

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართ. მსრ. ტერიტორიალური დივიზიის მანევრები დაიწყება ხვალ, 30 სექტემბერს. მანევრები იწარმოებს თბილისის მიდამოებში. დივიზია დაყოფილია ორ ნაწილად. ერთი ნაწილი—„წითლები"—აწარმოებენ შეტევას „ლურჯების" წინააღმდეგ. „ლურჯები" იგერიებენ „წითლების" შეტევას. „ბრძოლები" „წითლებსა" და „ლურჯებს" შორის იწარმოებს თბილისის სამხრეთით თელეთის მთებში, კოჯორის და წავკისის მიდამოებში.

მშენებელთა კავშირის საგანგებო ყრილობის 29 სექტემბ. სხდომაზე დილის 10 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოსმენილ იქნება

ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ

მშენებელთა კავშირის საორგანიზაციო ბიურო სთხოვს კავშირის მთელ აქტივს დაესწროს აღნიშნულ სხდომას.

ქრონიკა

აკადემიკოს შჩერბატსკოის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის წევრი და აკადემიასთან არსებულ ბუდისტური კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი **ფ. შჩერბატსკოი.**

პროფ. ზაუერი საქართველოს მუზეუმში

გერმანიიდან სხვადასხვა სამეცნიერო დავალებებით ჩამოსული არქეოლოგი პროფ. **ზაუერი** ესტუმრა საქართველოს მუზეუმს, სადაც დაათვალიერა მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების კოლექციები და წაიღო სია საქართველოს არქეოლოგიურათ ღირსშესანიშნავ ყველა იმ ადგილების, სადაც შესაძლებელია არქეოლოგიური გათხრების დაწყება.

პროფ. ზაუერთან ერთად მუზეუმს ესტუმრა გერმანელი ეთნოლოგი დოქ. **ფინდაიზენი.**

თათარისტანის მწერალთა დეპეშა

სახელოვნო დაწესებულებების მთავარმართველობის გამგემ ამხ. **ალავიძემ** თათარისტანის მწერალთა დელეგაციისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „თათარისტანის მწერალთა დელეგაცია, რომელმაც მოიარა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, მათ შორის საქართველო, უკვე დაბრუნდა ყაზანში და მადლობას გიძღვნით იმ დახმარებისა და ყურადღებისათვის, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ მას საბჭოთა საქართველოს კულტურულ მიღწევებთან გაცნობის საქმეში“.

ავლაბარში აღმოჩენილი ნაშთების შესწავლა

ავლაბარში თეატრის ასაგებ ადგილზე ამოთხრილ მიწაში ამას წინათ აღმოაჩინეს უძველესი ე. წ. ნაცრის ორმოები და სხვადასხვა ნივთები, რომელთა შესწავლა (უძველესი კერამიკა, გარეული ცხენის ძვლები და სხ.) მუზეუმმა დაავალა არქეოლოგიურ განყოფილებას.

ამ მიზნით ამ დღეებში მუშაობას შეუდგება არქეოლოგი გ. ნიორაძე.

მატარებლების მიმოსვლა 1-ლ ოქტომბრიდან

ა. წ. 1-ლ ოქტომბრიდან ა.-კ. რკინის გზებზე შემოღებულ იქნება მატარებლების მიმოსვლის ახალი ცხრილი.

ყველა საგარაკო მატარებლები მოხსნილია. დანარჩენი მატარებლების მიმოსვლის დრო უცვლელი რჩება.

ტრაქტორზე მომუშავეთა მომზადება

იმ მიზნით, რათა სახლში დაბრუნებულ წითელ-არმიელებს შეეძლოთ იმუშაონ ტრაქტორებზე, მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა სას.-სამ. მანქანების საცდელ სადგურთან გახსნა მოკლევადიანი კურსები, რომელზედაც მეცადინეობს 40 წითელ-არმიელი.

გარდა ამისა 15 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე გაიხსნება გრძელვადიანი სატრაქტორო კურსები.

საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

◆ **ახალ მიღებულთა კრება.** ორშაბათს, 30 სექტ., საღამოს 6 საათზე პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესდგება ამავე ინსტიტუტში ახალ მიღებულთა საერთო კრება.

◆ **ალმასბიუროს პლენუმი.** პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა ალმასბიუროს პლენუმი შესდგება ორშაბათს, საღამოს 7 საათზე.

სხვადასხვა

◆ **ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა** გადასწყვიტა თბილისში აგოს საკუთარი შენობა, რისთვისაც ც. კომბანკიდან სესხად გამოითხოვა 104.000 მ.

◆ **ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში** მეცადინეობა ყველა კურსებზე იწყება სამშაბათს, 1 ოქტომბრიდან, გარდა საამშენებლო და მექანიკური ფაკულტეტის მე-2 კურსისა.

◆ **ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიუროს** მიერ აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა წმენდის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია 1 ოქტომბერი. ვინც არ გამოცხადდება, აღრიცხვიდან მოხსნილი იქნება მექანიკურად.

ხელოვნების ქრონიკა

— **„მსუბუქი კავალერია“.** დღეს, 29 სექტემბერს, ხელოვნების მუშაკთა კავშირის კლუბთან ახლათ ჩამოყალიბებული სატირის თეატრი „მსუბუქი კავალერია“ წარმოდგენას გამართავს ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში.

◆ **სახ. ოპერის თეატრში,** დღეს, 29 სექტემბერს შესდგება ახალგაზრდა მომღერალ სოლისტების ხმის გასინჯვის გაგრძელება. დასაწყისი დღის 2 საათზე.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, საღამოს 7 ს. ი. ვართაგავა წაიკითხავს მოხსენებას „შანშიაშვილის შემოქმედება“.

შემთხვევები

ავტომობილის კატასტროფა

გუშინ, ნაშუადღევს კოჯრის გზატკეცილზე, თბილისიდან 35 კილომეტრის დაშორებით სოფ. პრიუტის მახლობლად ავარია შეემთხვა „ზაკავტოპრომტორგის“ ავტომობილს № 257.

მანქანა გადაწვა გვერდზე და გადავარდა ხრამში. მსუბუქად დაშავდა ერთი მგზავრი—ქალი. დანარჩენები უვნებლად გადარჩენ.

დღეს კატასტროფის ადგილზე გაემგზავრება სპეციალური კომისია, რომელიც გამოიკვლევს კატასტროფის მიზეზებს.

ტრამვაის ქვეშ

გუშინ ღამის 10 ნახ. საათზე ლენინის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი დაეჯახა უცნობ მოქალაქეს, რომელსაც გადასჭრა ორივე ფეხი. ვატმანი დაპატიმრებულია. სწარმოებს კვლევა-ძიება.

ფოსტის გაძარცვა

25 სექტემბერს ახალ-სოფლიდან თელავისაკენ მომავალ საფოსტო ეტლს შაქრიანის ხიდთან თავს დაესხენ ცნობილი ბანდიტები **რამანა და ჯაფარა სუმბაძეები** და აუტეხეს სროლა.

სროლის დროს ბანდიტებმა მოკლეს ფოსტის გამცილებელი მილიციელი კოლა ლეკბორაშვილი და ფოსტალიონი გიორგაძე, აგრეთვე თავში დასჭრეს მეეტლე ჩხუბიანაშვილი.

სუმბაძეებმა, რომელთაც თან ახლდათ კიდევ ორი ბანდიტი, გაიტაცეს სახაზინო ფული 5.105 მანეთის რაოდენობით.

ქურდობა

მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს „ზაკკნიგას“ წიგნის მაღაზია (თავისუფლების მოედანი № 1). წაიღეს 1000 მანეთის წიგნები.

დაჯახება

27 სექტემბერს, სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ტრამვაის ვაგონი (მარშრუტი მე-5) დაეჯახა ქვით დატვირთულ ურემს, რომელიც დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არ არის.

დაჭრა

გუშინწინ, ღამით, საბილიარდოში (რკინის გზის ქუჩა) ჩხუბის დროს ირაკლი იოსების-ძე ივანიშვილმა (მეტ სახელად „კაკულიამ“) და გიორგი ივანეს ძე ფურცელაძემ დანით მძიმედ დასჭრეს ზურგის არეში ღენტორ გასპარის ძე ავიასეპიანცი (მცხ. კამოს ქ. № 72), რომელიც გადაიგზავნა ქალაქის მეორე საავადმყოფოში. ორივე ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია. ფურცელაძეს აღმოაჩნდა დანით მიყენებული ჭრილობა მკლავში.

ავტომობილის ქვეშ

მუშკოოპის საბარგო ავტომობილი № 222, რომელსაც მართავდა შოფერი ალექსანდრე გედევანიშვილი, საბჭოთა ქუჩაზე სახლი № 30 პირდაპირ, დაეჯახა ზეგა მათეს ძე ავეტიკოვს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა. ავეტიკოვი უგრძნობელ მდგომარეობაში გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. შოფერი დაპატიმრებულია.

—:—

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი გიორგი მიხეილის-ძე გავრილოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს ს. მილიციაში, ოთახი № 7, ტ. კოპალეიშვილთან.

დიდი კატასტროფა სადგ. ალიკენდში

ჩქარი მატარებლის დამტვრევა

მოკლულია 10, დაშავდა 30 კაცი

27 სექტემბერს, ღამის 8 საათსა და 25 წუთზე, განჯასა და ევლახს შუა სადგურ ალიქენდში შესვლის დროს კატასტროფა განიცადა ჩქარმა მატარებელმა (მოსკოვი—თბილისი) № 18.

კატასტროფა მოხდა იმის გამო, რომ ჩქარი მატარებელი დაეჯახა სადგ. ალიქენდში მდგომ საბარგო მატარებელს № 2001-ს.

კატასტროფის დროს, შეუმოწმებელ ცნობებით, დაიმსხვრა 2 სამგზავრო და ერთი საბარგო ვაგონი, ერთი სამგზავრო ვაგონი გვერდზე გადაწვა და რამდენიმე ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა, ორივე ორთქლმავალი დაზიანდა.

არის ადამიანის მსხვერპლი.

მატარებლების მოძრაობა შეწყვეტილია, ევლახიდან და განჯიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებლები. ქიურდამირიდან და უჯარიდან გაემგზავრენ ექიმები.

მოკლულები და დაჭრილები

დამატებით მიღებულ შეუმოწმებელ ცნობებით, ჩქარი მატარ. № 18-ის კატასტროფის დროს მოკლულია 10 კაცი და მძიმეთ დაშავებულია 30 კაცი.

დაზარალებულთ აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება.

მოკლულები და დაჭრილები გადაგზავნეს სადგურ ევლახში, სადაც მოთავსებულ იქნენ საავადმყოფოში.

კატასტროფის მიზეზების გამორკვევა

კატასტროფის შესახებ ცნობის მიღებისთანავე თბილისიდან გაემგზავრნენ ა.-კ. რკინის გზების გამგეობის წევრი ინჟ. **გვერდწითელი** და ყველა ტეხნიკურ განყოფილებების უფროსები.

გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა და ა.-კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **პოზდეევმა** წინადადება მისცა ინჟ. **გვერდწითელს** პირადათ უხელმძღვანელოს კატასტროფის მიზეზების გამორკვევას.

დამატებითი ცნობები კატასტროფის შესახებ

გუშინ ღამით ა. კ. რკინის გზების გამგეობაში სადგ. ალიქენდში მომხდარ კატასტროფის შესახებ შემდეგი დამატებითი ცნობები მიიღეს:

საბოლოოდ გამოირკვა, რომ ჩქარი მატ. № 18-ის (მოსკოვი-თბილისი) კატასტროფის დროს მოკლულია 10 კაცი. მძიმედ დაშავდა 15 მგზავრი და მსუბუქად 15.

ჩქარი მატარებელი № 18 სადგ. ალიქენდში შესვლის დროს დაეჯახა საბარგო მატ. № 2001-ს.

ჩქარ მატარებელს მართავდა მემანქანე **ყაზარიანცი.** საბარგო მატარებლის ორთქლმავალზე კი მუშაობდა მემანქანე **სანაძე.**

კატასტროფის დროს სადგურზე მორიგეობდა სადგურის უფროსის თანაშემწე **ფაზაბეგოვი.**

დაჯახების დროს სულ დაიმსხვრა 3 ვაგონი, დანარჩენები საგრძნობლად დაზიანდა.

ხაზი გაფუჭებულია 50 მეტრის მანძილზე.

მსუბუქათ დაშავდა მემანქანე **ყაზარიანი** და მისი თანაშემწე **გრიგოლია.**

მოკლულთა და დაშავებულთა ვინაობა

როგორც გამოირკვა კატასტროფის დროს **მოკლულია:**

1) ნატალია თედორეს ასული პორაშინა (ზეინკლის ცოლი ქ. გროზნოდან), **2) დავით მარკის ძე ტორგოვიცკი** (კავკავის სახ. ცირკის მმართველი), **3) ანასტასია შოფსი** (სადგურ ევლახიდან), **4) ნიკოლოზ სოტერმანი** (სახ. ტრესტის „ვოდოკანალსტროი“-ს თანამშრომელი), 5) ბავშვი რომლის ვინაობა გამოურკვეველია, 6) **სიმონიანცი,** 7) უცნობი მამაკაცი, რომელსაც აცვია ლურჯი ხალათი, 8) ქალი, რომელსაც აცვია მწვანე კაბა, თითზე ბეჭედი აქვს. ფიქრობენ, რომ იგი არის წევის დარგის მეოთხე უბნის ზეინკლის მიხეილ კოვალიოვის დედა, 9) ქალი, რომლის ვინაობის გამორკვევა ვერ მოხერხდა, აქვს ორი ოქროს კბილი, ოქროს სამაჯური და ბეჭედი წარწერით „ვასია“. 10) ხანში შესული ქალი, ლურჯი მოსასხამით, **მძიმედ დაშავდნენ: 1) იერემია გრიგორიანი** (ბაქოს დეპოს მუშა), **2) ალა მამედ ნაჯაფოვი** (განჯის საფეიქრო ფაბრიკის ელექტრო ტეხნიკოსი), **3) კონსტანტინე ნათაძე** (თბილისის დეპოდან); **4) ვართან სიმონიანცი** (უმუშევარი როსტოვიდან), **5) სოფიო სიმონიანცი** სამი ბავშვით, **6) პროსტოვა** (კონდუქტორის ცოლი დერბენტიდან), **7) ეგიაზარ მარტიროსიანცი** (№ ბატალიონის მეთაური ბათომიდან), **8) ვალენტინ კუფენკო** (ლენინაკანის დეპოდან), **9) დიმიტრი იუზინი** (განჯის ზეთის სახდელი ქარხნის მუშა), **10) ჯანგირ აზიზოვი** (უმუშევარი), **11) ვართანოვი** (გლეხი), **12) მიხეილ მესკი.**

დანარჩენები (15 მგზავრი) მსუბუქად დაშავდნენ. ზოგი მათგანი განჯაში დარჩა და ნაწილი კი ჩამოვიდა თბილისში.

მოძრაობის აღდგენა

13 საათის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ, ევლახიდან და განჯიდან მისულმა დამხმარე მატარებლებმა გასწმინდეს გზა.

მოძრაობა აღდგენილ იქნა—16 საათსა და 10 წუთზე.

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტურის ორკვირეულის გახსნა

დღეს, 29 სექტემბერს, 12 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე მოხდება პროფკავშირების ფიზკულტურის ორკვირეულის საზეიმო გახსნა. მოედანზე გაიმართება შემოდგომის სეზონის პირველობის გათამაშებაში მონაწილე ყველა გუნდების ალლუმი, რის შემდეგაც მოხდება ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში „მესტრან“-სა და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდს შორის.

„მესტრანი“ (ტრანსპორტელთა გუნდი) გამოდის შემდეგი შემადგენლობით: **სოლომონინი, ოტტო, რამიშვილი, დოლგოლეევი, იმნაძე, ორეხოვი, ორლოვი, ასლამაზოვი, დიაკოვი, მაღალაშვილი და სომოვი.**

პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდი გაძლიერებული შემადგენლობით გამოდის. გუნდს შემატა რამდენიმე ძლიერი მოთამაშე. გუნდის ძირითად შემადგენლობაში შედიან: **პაპკოვი, ხუციშვილი, მაი, აკერერი, ორლოვი, კალოიანი, ალექსეევი, ადრიანოვი, სოლტანი, გიორგაძე, გუნია.**

შეჯიბრება დაიწყება ალლუმის დამთავრებისთანავე.

ა.-კავკასია— თბილისი

დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, „დინამოს“ სტადიონზე მოხდება ა.-კ. „დინამო“-ს ნაკრები გუნდის მეორე გამოსვლა: სტუხრეშის წინააღმდეგ თამაშობს მელითონეთა გუნდი.

საზეიმო სხდომა ტრამვაელთა კლუბში

დღეს, საღამოს 7 ნახ. საათზე, ფიზკულტურის ორკვირეულის გახსნის აღსანიშნავად ტრამვაელთა კლუბში შესდგება საზეიმო სხდომა. სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართება ფიზკულტურელთა გამოსვლა და კონცერტი. შესვლა მოსაწვევ ბარათებით.

ველო-მარულა

დღეს, საღამოს, ველოდრომზე გაიმართება ველო-მარულა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 30 სექ., დილის 10 ს. **ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში** შესდგება თათბირი, რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: **ბიბინეიშვილი** (სახელგამი), **ქუთათელაძე** (ცეკავშირი), **ტოროტაძე** („შრომა“), **ჩხარტიშვილი** (მთ. პოლიტგანი), **პ. საყვარელიძე** („ახ. სოფ.“), **ჭყონია** („კომუნისტი“), **სიხარულიძე** („მუშა“) და **გრიგორიანი** („რაბ. პრავდა)“.

—:—

საქ. კომპ. (ბ) ცეკას სააღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. გოკაძეს ი. ა., ანანოვს არმ. და დავთიანს შემოიარონ ცეკაში ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22).

—:—

ორშაბათს, 30 სექტემბერს, დღის 1 საათზე **თბილისის საოლქო კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილებაში** შესდგება თათბირი შეშის დამზადების საკითხის გარშემო.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება დაუგვიანებლად: **იორამაშვილი** (ხეტყის ტრესტი), **ადიკაშვილი** (თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება), **ერისთავი** (მუშკოოპი) და მიწსახკომის, კავკ. წითელდრ. არმ. სამეურნეო ნაწილის და ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს წარმომადგენლები.

—:—

ორშაბათს, 30 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება სახელ. უნივ. **პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს კომფრაქციის სხდომა.** დასწრება წევრთათვის სავალდებულოა.

ორშაბათს, 30 სექტემბერს, დილის 8 საათზე **თბილისის საოლქო კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილებაში მოწვეულია თათბირი,** რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

მუშკოოპი, საქ. ერბო-ყველის დამამზად. კავშირი, ცეკავშირი, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარ. რწმუნებულის სამმართველო, „სოიუზხლები“, საპონ-ზეთი, საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი, თბილ. აღმასკომის სავაჭრო განყოფილება, ჯანმრთელობის განყოფილება, ადმინისტრატიული განყოფილება.

—:—

ს. ს. პ. ი. სამთო-ქიმიურ ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება 30 სექტემბერს 2 საათზე. დასწრება წევრ-კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

—:—

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება აცხადებს, რომ ორშაბათს, 30 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბში (კომინტერნის ქუჩა) შესდგება **მბეჭდავთა კავშირის წევრ-ქალების და დიასახლისების კრება,** რომელზედაც მოხდება დელეგატქალების არჩევნები.

—:—

ორშაბათს, 30 სექტემბერს, დღის სრულ 12 საათზე შესდგება **სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა.** ბიურო-კოლექტივის წევრ-კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

გაზ. „კომუნისტი“-ს ექსპედიციის მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობთ გაზ. „ახალი სოფლი“-ს ექსპედიციის გამგის

ამხ. სამსონ კაციტაძის

გარდაცვალებას.

გაზეთ „ახალი სოფელი“-ს რედაქციისა და კანტორის მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გაზეთ „ახალი სოფელი“-ს ექსპედიციის გამგე

სამსონ სპირიდონის-ძე კაციტაძე

გამოსვენება ბინიდან, სასამართლოს ქუჩა № 33, 29 სექტემბერს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 3267

გაზეთ „ახალი სეფელი“-ს ექსპედიციის მუშები: შ. ცაგურია, რამიშვილი ქ., ლ. მანგუაშვილი, ვ. ასანიშვილი, დ. ჭიჭინაძე, ი. ნაყიშაშვილი და ა. ხატიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას ამხანაგის და ამავე ექსპედიციის გამგის

სამსონ სპირიდონის-ძე კაციტაძის

უდროოთ გარდაცვალებას. ნ. 3267

თბილისის მუშათა უნივერსიტეტის გამგეობა, ლექტორები და მსმენელები აუწყებენ საზოგადოებას ამავე უნივერსიტეტის მსმენელის დაუვიწყარ ამხანაგის

სამსონ კაციტაძის

გარდაცვალებას

გამოსვენება მოხდება დღეს, 29 სექტემბერს, დღის 3 საათზე საკუთარ ბინიდან სასამართლოს ქუჩა № 33. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე (ე)

ღრმად დამწუხრებულნი ძმა პლატონი, რძალი თამარი და ძმისწულები ნელი და ეთერი შუშანიები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფასს

რაჟდენის

გარდაცვალებას. 3371

ახლოესი მეგობრები თამარ და გრიშა ნემსიწვერიძეები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ექიმი რაჟდენ შუშანია

3372

დასავლეთ საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება მწუხარებით აუწყებს წევრებს და საზოგადოებას თავის წევრის

რაჟდენ გიორგის-ძე შუშანიას

კისლოვოდსკში გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში კვირას, 29 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, გოჭოურას სასაფლაოზე. (დეპ)

ტიტიკო (ტიმოთე) ივანეს-ძე მაღლაფერიძე უდროოთ დაობლებული პატარა შვილებით ლილი, გელა და ელგუჯათი მწუხარებით აუწყებს თავის მოწაფეებს, მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ

თამარ გრიგოლის ასულ დიდიძე-მაღლაფერიძის

ხსოვნის აღსანიშნავად კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 29 ენკენისთვეს, დღის 12 საათზე. 3378

გაუბედურებული დედა ბარბარე ფარულავა, ბებია ეკატერინე, და თამარი ქმრით გრიშა გორგიაშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 30 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ გოგონა

ნადიკოს

ხსოვნის აღსანიშნავად. 3376

დამწუხრებული მშობლები დედა ბარბალე, მამა გიორგი შვილებით: ბესარიონი, მარო და ირა გაბოძეები ღრმა მწუხარებით აუწყებ6 ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 29 სექტემბერს დღის 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

თამარა გიორგის ასული გაბოძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 3374

დამწუხრებული მეუღლე ვერა, დედა სოფიო, ძმები ბარნაბა, ანდრო, გრიშა და ექენია, დები აგრაფინა, მარია და ვერა; სიძეები ვასო ლოლუა და მალაქია ნაჭყებია, რძლები ნინა და ქსენია, ძმის შვილები ვალოდია და ნორა, დისშვილები ძიბა და ბუცა ლოლუები, ოთარი და ჯუმბერი ნაჭყებიები, თინა და კუჯულია კობახიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ

კონდრატე კონსტანტინეს-ძე გუკიას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ფოთის ნახუტურის სასაფლაოზე ა. წ. 1 ოქტომბერს, დღით სამშაბათს, 5 საათზე. ნ. 3268

დღეს, 29 სექტემბერს, დღის 1-ლ საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ექიმ

ვარია ნაცვლიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს გულმოკლული დები: ნინო ლობჟანიძისა და სოფიო ენუქიძისა, დისშვილები: მანია, ანეტა, ჟორჟიკა, აჩიკო ლობჟანიძეები, ჟორჟიკ, ფაცია, კუკური და კოტიკო ენუქიძეები და სიძეები: ვასილ ენუქიძე, სიკო ტაბლიაშვილი და ვალიკო გურგენიძე. 3370

ღრმად დამწუხრებული დაი გოლია შალიკაძისა შვილებით: კარლო და გივით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ფროლენცია (ფუცქურია) კალანდაძე

დაკრძალვა კვირას, 29 სექტემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 1 საათზე, სამხედრო ქ. № 6. (შ)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მართა და ნიკოლოზი, და ეფროსინე, ძმები: ამბროსი, ალექსანდრე, დავითი და ვალიკო, რძლები: ელენე და მაშურა, სიძეები მიხეილ ჯაყელი და ილიკო მეგრელიძე, დისშვილი მავრა კომახიძისა ქმარით დათიკოთი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი

ელენე ნიკოლოზის ასული ცინცაძე-ჩიგოგიძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 29 სექტემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება პეტრიაშვილის ქუჩა № 11, 3 საათზე. (შ)

დამწუხრებული დედა ბარბალე, მამა კოსტა, დაი მარო, ძმები: ევგენი, ვარლამი, შალვა, რძალი ნადია, ძმისწული ტოლია და გულნარა და დეიდა პელა იუწყებიან, რომ სამშაბათს, 1 ოქტომბერს, ს. ონტოფოში

სონია (ქსენია) კოსტას ასულ ნადარეიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. (შ)

გულდათუთქული მეუღლე გიორგი და დედა ანიკო, ძმები: სიმონი, შალვა, დები: თამარა, ნინა, რძალი კატუშა ნინიაშვილები იუწყებიან, რომ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ოლღა სტეფანეს ასული ალავერდაშვილი (ნინიაშვილის)

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ვლადიმერის ქ. № 15, სამშაბათს, 1 ოქტომბერს, 3 საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 3379

ორშაბათიდან, 30 სექტემბრიდან

მინიონი
პრემიერა
კაცი პორტფელით
ა. ფაიკოს ამავე სახელწოდებიან პიესის მიხედვით.
მთავარ როლებში:
დამს. მსახ. მონახოვი, ლავრენტიევი, ვოლოდკო.

პალასი
მხატვრული დრამა
სასიკვდილო ნომერი
რეჟისორი—გ. კროლლ
მთავარ როლებში:
დამსახ. მსახ. პევცოვი, არნოლდი და სხვ. სურათში გადაღებულია კაპიტან შნეიდერის ასი ლომი.

სოლეი
ბესტერ კეიტონი
იშვიათ კომედიაში
გენერალი

მალე: „ზეროს ვაჟი“ დუგლას ფერბენკსის მონაწილეობით. და „უკანასკნელი ატრაქციონი“

კინო-არფასტო
ორშაბათიდან 30 სექტემბრიდან
„ვიდოკ“
3—4 სერია.
ნ. 3271

სამშაბათს, 1 ოქტომბერს

ცირკის გრანდიოზული გახსნა

თბილისისათვის ყველაფერი ახალია

მონაწილეობენ **საბჭ. კავშირის სახ. ცირკების მსახიობები.** 27 გაწვრთნილი ცხენის და 3 აქლემის პირველხარისხოვანი საჯინიბო.

ცხენები გაწვრთნილია **ცნობილ მწვრთნელის** და სახ. ცირკის მსახიობის **ა. ვ. ლაპიადოს** მიერ. დაწვრილებით აფიშებში.

დირექტორი **ს. ნ. ქუთათელაძე.** დირექტორის მოადგილე **ქ. მაქს-ხოლსკო.**

აპოლო (საზამთრო)	**პატარა ქალის დიდი მწუხარება** 30/IX დან გრძელდება სურათის ჩვენება
პალასი	**ვიდოკ** მე-5 და და მე-6 სერია 30 სექტემბრიდან „სასიკვდილო ნომერი“
სოლეი	უკანასკნელად **სევილ** 30-დან „გენერალი“
მინიონი	უკანასკნელად **დედაბერი № 99** 30-დან „კაცი პორტფელით“
საზაფხულო აპოლო	**საქმე № 128** 30-დან „ცეცხლის კაცი“
საზაფხულო ეთერი	**ვიდოკ** 1 და 2 სერია 30-დან 3—4 სერია

0—24

გაზ. „კომუნისტი“-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზეთის ქაღალდის ეკონომიის გამო, თვის პირველ რიცხვებში გაზეთის ზედმეტი კომპლექტი არ იბეჭდება, რისთვისაც გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს, აგენტებს და კონტრაგენტებს, ხელის მოწერა მომავალი თვისათვის მოგვაწოდონ აუცილებლივ მიმდინარე თვის 30-მდე.

დაგვიანებით მიღებული შეკვეთები შესრულებული იქნება მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც მიღებული იქნება შეკვეთა.

ხელის მოწერის დღეს გაზეთი არ მიეცემა

0—4

„კომუნისტი“

მიიღება ხელის მოწერა ოქტომბრის თვისათვის

გაზეთი ეღირება

მუშების, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებელთათვის	დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის
წლის დამლევამდე	წლის დამლევამდე
3 თვით—2—90	3 თვით—3—80
2 თვით—2—	2 თვით—2—60
1 თვით—1—	1 თვით—1—30

0—4

განსახკომი

საფინანსო-საანგარიშო მეცნიერებათა

(საბუხჰალტრო)

სახელმწიფო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე ზოგადი და სპეციალური განყოფილებებით.

ზოგადი ბუხჰალტერია, სპეციალური დარგები (საქ.-საფაბრიკო, სუვაჭრო კოოპ., საბიუჯეტო, საბჭოთა და კოლ. მეურნეობათა ბუხ-ია), რაციონალიზაცია და შრომის მეცნ. ორგ. ანგარიშწარმოების ახალი ფორმები (დეფინიტივი, ორდერ-ბარათი და სხ.) ცნობების და განცხადებათა მიღება ყოველდღე საღამოს 6—8 საათ. პლეხან. პრ. № 166, მე-5 პროფსკოლის შენობა, სახკინმრეწვის გვერდით.

3—1 ნ. 3260

განათლების სახალხო კომისარიატის საფინანსო საანგარიშო (საბუჰხალტრო) მეცნიერებათა

სახელმწიფო კურსები

ზოგადი (ძირითადი) და სპეციალური (მაღალი ტიპის) დარგები.

1 ოქტომბრიდან იწყება მეცადინეობა მე-2 ჯგუფშიაც

მსმენელების მიღება გრძელდება. ჩაწერა და ცნობების მიღება ყოველდღე საღ. 5—8 საათამდე, კეცხოველის (ყოფ. ლორის-მელიქოვის) ქუჩა № 12. ნ. 3266

სრ. საქ. სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამზღვევ სალაროს გამგეობა

აცხადებს **სალაროს წევრთა, დაწესებულებათა და დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ,** რომ ა. წ. 1/X-დან 15 **ოქტომბრამდე** სალაროს გამგეობა

— **აწარმოებს** —

ძველი წიგნაკების გამოცვლას ახალზე

აღნიშნულ რიცხვის შემდეგ ძველი წიგნაკები კარგავენ ძალას. სალაროს ის წევრები, რომლებიც არ შეიძენენ **ახალ წიგნაკებს ნაჩვენებ ვადაზე** რაიმე საპატიო მიზეზების გარეშე, **გ ირიცხებიან მექანიკურათ სალაროს წევრთა რიგებიდან.**

ნ. 3265 **გამგეობა.**

ვაძლევ ბინას სადილით

როგორც დიდებს, ისე ბავშვებს. მეცხრე უბანი ვასერის ქუჩა (წინად კვირაცხოვლის შესახვევი) № 9, შესავალი ეზოდან. 3365

მათემატიკის მასწავლებელი

ივ. მაჩაიძე

ამზადებს რუსულსა და მათემატიკაში

(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.!. შესავალი პლეხანოვის პროსპ. № 25 ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ.

6—3 3311

ფოთის საბაჟო

აცხადებს, რომ 8 ოქტომბერს, დილის 11 საათზე

საბაჟოში დაიწყება

საჯარო ვაჭრობა

კონტრაბანდულ საქონლის, სახელდობრ: პაპიროზის ქაღალდი 120600 წიგნაკი, იალქნიანი ნავი-წაგლისა და სხვა და სხვა წვრილმანი საქონელი, სულ შეფასებით 2000 მანეთამდე. კერძო პირები დაიშვებიან საჯარო ვაჭრობაზე კოოპერატივების და სახ. ვაჭრობის ორგანიზაციათა შორის შეჯიბრების დასრულების შემდეგ.

ნ. 3270 ფოთის საბაჟო.

საქ. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ სტენოგრაფიისა და მანქანო-ბეჭდვის კურსებ

„სტენოტიპისტ“-ზე მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 7 ოქტომბერს. (ქართული და რუსული სექტორები). ციკლი: სტენოგრაფია, მანქანობეჭდვა, ქართული ენა, რუსული ენა და საზოგადოებათმეცნიერება. მიღება იწარმოებს საღ. 6-დან 8 საათამდე. რუსთაველის პროსპექტი № 8, მუშათა სასახლის პირდაპირ ტელეფონი № 22—21. 3360

ზესტაფონი ექიმი

პ. ს. ანანოვი

სიფილისი (შეხაპუნება 914) ვენერიული (სუსუნატი და მისი შედეგები) და კანის სნეულებ. მიღება: 1—2 დღით, საღმოს 6—8 ს. 25 თებერვლის ქ. 130.

3112 13—6

კ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ექ. თოდაძე

დაბრუნდა

სპეციალ. ქირურგია და უროლოგია. თირკმელების, ბუშტის და სასქესო ორგანოების დაავადებანი. ბელგიის ქ. № 1. 4—6 საათამდე 3080 25—8

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი („914“ შეშხაპ.) **ვენერიული** (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და **კანის** სნეულება.

მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.

მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.

2984 25—1

თმის მკურნალობა

და

სამკურნალო კოსმეტიკა

ექიმ

ნ. კონტოროვიჩისა

ფრეილიხის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა

ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება

მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—5

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალ. კუჭის და **ნაწლავების** დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7 — ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02.

3086 25—5

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა,** ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკაში

(პირის ღრუს, ყბების და კბილების სნეულებანი)

ავადმყოფობის მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდან. პლეხანოვის ქ. № 126.

13—1 3176

ექიმი

ი. დ. ბეგთაბეგოვი

დაბრუნდა.

სიფილისი, კანის და შარდ სასქესო ავადმყოფობა.

ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, დიათერმია, გალვანიზაცია, იონიზაცია ფარადისაცია, სტატიური ელექტრონია, დარ. ონვალი, კვარცის ლამპა (ულტრა იისფერი სხივები). ჯორჯაძის ქ. № 5. 13—1

პროფესორი

მუხაძე

დაბრუნდა.

3163 13—1

ექიმი

არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა და ღებულობს ქალთა ავადმყოფებს დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 13—1

ექიმი

მ. გ. შახნაზაროვი

სპეციალურად

სიფილისი, „914“ შეშხაპუნება ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი

ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალებია 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი

დავით ლაზარეს-ძე თევზაძე

დაბრუნდა და განაახლა ავად. მიღება

სპეციალობა. ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა — ხმის და მეტყველების მოუშლილობათა

ჰქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) - სოლოლაკში.

ტელ. 25—73. 25—1 32

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს.

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—3

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სას) ტუმბო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს., პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

და წყლ. მიღება

ექ. მ. ო. ზანდუკელი

შინაგ. და ნერვიულ სნეულებ. და ელექტრო-სინათ. სამკურნ. კაბინეტი

იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4—82. 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა.

რუსთაველის გამზირი № 12.

3255 13—1

ანა ვასილის ასული

მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრ. აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 1 მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.

25—1

დაიკარგა

„შპიცის“ ჯიშის ძაღლი **ტომკის** სახელწოდებით. მპოვნელს ვთხოვ შემატყობინოს, რაშიაც გასამრჯელოს მიიღებს. ენგელსის ქ. № 34, ბინა № 1. ძაღლის დამმალველის წინააღმდეგ კანონს მივმართავ. ნ. 3241

დაჰკარგვ პურის წიგნაკი ელო მინდიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 3366

დავკარგე პასპორტი (უვადო) გრიგოლ მინას ძე ტაბატაძეს სახელზე. ჩ. გ. 3367

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 34306 გრიგოლ ამაშუკელის სახელზე ჩ. გ. 3368

დავკარგე ფოთის ცხრაწლედის დამთავრების მოწმობა მარიამ ნიკოლოზის ასულ დგებუაძის სახელზე, ჩ. გ. 3369

დავკარგე პურის წიგნაკი დავით ივანეს-ძე ტაბიძეს სახელზე ჩ. გ. 3373

დავკარგე პარტიის საკანდიდატო ბარათი № 2788 ნადეჟდა ცომაიას სახელზე, ჩ. გ. 3375

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 135444 გაცემული, ყოფ. შორაპნის მაზრის ხელოსანთა კავშირის მიერ და სამხედრო საალრიცხვო ბარათი სამსონ ტერენტის-ძე გაჩეჩილაძის სახელზე, ჩ. გ. 3371

დავკარგე კოოპერატივის წიგნაკი № 573 ათანასე ბუჩინის-ძე ბეჟიხიას სახელზე ჩ. გ. 3372

ტირაჟი—44.289

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყაზ ოს ქუჩა № 68.